



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ფ/
1984 72

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

2.1984

ზაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1984, № 2

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



2.1984

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ



ს ა რ ე ლ ა ქ ე ი ო კ ო ლ ე ზ ი ა :

თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლაია (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე, ვ. კეშელავა-
ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე
(რედაქტორი), თ. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джioев О. И. (зам. редактора),
Кешелав В. В., Микеладзе З. Н., Натадзе Р. Г., Надирашвили Ш. А.,
Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор),

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შიკე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1984.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46

გადაეცა წარმოებას 15.3.84; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.8.84; შუკ. № 886;
ანაწყოების ზომა 7×11¹/₂; ქალაქის ზომა 7×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი
თაბახი 10.85; საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.4; უე 01259; ტირაჟი 850;
ფასი 85 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფილოსოფია

მ. ლომთათიძე, სოფლის კულტურის მატერიალური ბაზა	5
მ. გორგჯია, სოციოლოგიის ცნების გაგებისათვის რ. არონთან	21
ნ. შოთაბერიძე, ადამიანი და კანტის რაციონალური რელიგია	31
ლ. ალექსიძე, შემეცნების საფუძვლები პროკლე დიადოხოსისა და იოანე პეტრიწის შრომებში	41
ი. ბარაქანიძე, რიცხვითი მიმართებების თეორიასთან დაკავშირებული პითაგორული პრობლემები	48

ფსიქოლოგია

ბ. ყიფიანი, გარეგანი მოტივაცია და შემეცნებითი აქტივობის მიმართ სოციალური განწყობის ცნობიერების საკითხი	61
ი. იმედაძე, დემონტაჟის კმდეობის თეორიის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხი	70
თ. ბაკურაძე, მუსიკის სემანტიკური მნიშვნელობის აღქმის შესახებ	86
ი. ბერსაძე, მომღერლის აღზრდის ზოგიერთი საკითხი და განწყობის ფენომენი	101

ჩვენი მემკვიდრეობა

ს. დანელია, რეცენზია შ. ნუცუბიძის წერილზე „ბუნებისათვის ცნებისა“	115
რევაზ ნათაძე (ნეკროლოგი)	123



СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

Ч. А. ЛОМТАТИДЗЕ, Материальная база культуры села	5
В. Е. ГОРОЗИЯ, О понятии социологии у Р. Арона	21
Н. З. МШВЕНИЕРАДЗЕ, Человек и рациональная религия Канта	31
Л. З. АЛЕКСИДЗЕ, Ступени познания в трудах Прокла Диадоха и Иоанна Петрици	41
И. И. ГАРАКАНИДЗЕ, Пифагорейские проблемы в связи с теорией численных отношений	48

ПСИХОЛОГИЯ

Г. Г. КИПИАНИ, Внешняя мотивация и осознаваемость социальных установок к познавательной активности	61
И. В. ИМЕДАДЗЕ, Некоторые дискуссионные вопросы теории деятельности А. Н. Леонтьева	70
Т. О. БАКУРАДЗЕ, О восприятии семантического значения музыки	86
И. Е. ГЕРСАМИЯ, Некоторые проблемы воспитания певца и феномен ус- тановки	101

НАШЕ НАСЛЕДИЕ

С. И. ДАНЕЛИЯ, Рецензия на статью Ш. Нуцубидзе «О природе понятия»	115
Реваз Натадзе (некролог)	123



ფილოსოფია

აოლა ლომთათიძე

სოფლის კულტურის მატერიალური ბაზა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იენისის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალურ საკითხებს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ახალი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ფორმირების აუცილებლობისა და მისი განხორციელების გზებისა და საშუალებების შესახებ.

„საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა, შეუძლებელია, თუ არ შეიცვალა თვით ადამიანი. და ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კომუნისტური მშენებლობის არა მარტო უმნიშვნელოვანესი მიზანია, არამედ აუცილებელი პირობაც არის“ [3].

ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი სულიერი, კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებას. პიროვნების მაღალი კულტურით აღზრდას.

ახალი ადამიანის ფორმირების საკითხის წარმატებით გადაჭრა მრავალი საზოგადოებრივი მეცნიერებისაგან მოითხოვს საზოგადოებრივი სინამდვილის ცალკეული მხარის კვლევასა და შესწავლას, რადგან იგი მრავალ საზოგადოებრივ მოვლენასა და პროცესთან არის დაკავშირებული. „თუ ვულხანდილად ვიტყვი, — როგორც ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა სკკპ იენისის პლენუმზე, — ჯერაც არ შევვისწავლია სათანადოდ საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ და ვშრომობთ, ბოლომდე არ გამოგვივლენია მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, განსაკუთრებით ეკონომიკური, ამიტომ ბევრჯერ იძულებული ვართ ვიმოქმედოთ, ასე ვთქვათ, ემპირიულად, ცდებისა და შეცდომების ერთობ არარაციონალური ხერხით.“

მეცნიერებას, სამწუხაროდ, პრაქტიკისათვის ჯერ არ შემოუთვავაზებია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების საჭირო, განვითარებული სოციალიზმის პრინციპებისა და პირობების შესაბამისი გადაწყვეტის გზები“ (2).

საზოგადოებრივი მეცნიერებისადმი გამოთქმული ეს საყვედური სოციოლოგიასაც ეხება, მით უმეტეს რომ სოციოლოგიური გამოკვლევების მიმართ კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა აღნიშნულ პლენუმზე.

პიროვნების მაღალი სულიერი მოთხოვნილებების ფორმირების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კულტურის მატერიალურ ბაზას. იმ დაწესებულებების მუშაობას, სადაც თავმოყრილია კულტურული ღირებულებები. ისინი მოვალენი არიან ამ ღირებულებებს აზიარონ მასები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს გადმოვცეთ სოფლის კულტურის მატერიალური ბაზის სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რამდენად აქმაყოფილებს იგი სოფლის ახალგაზრდობის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს; ვაჩვენოთ ის სიძნელები, რომლებიც ხელს უშლიან სოფლად კულტსა-

17.869

საქ. სსრ კ. მარქსის!
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

განმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას და გამოვქვეით ზოგიერთი მოსაზრება მათ დასაძლევად.

1. კულტურის მატერიალური ბაზა. კულტურის მატერიალურ ბაზას განეკუთვნება ყველა ის საგანი, რომლებშიც განივთებულია ადამიანის ესა თუ ის უნარი ღირებულებების სახით. ადამიანთა უნარების განივთება ხდება როგორც მატერიალური, ისე სულიერი ღირებულებების სახით — შესაბამისად იქმნება მატერიალური და სულიერი კულტურა.

ამ შემთხვევაში გვინტერესებს სულიერი კულტურა, სულიერი ღირებულებები, მისი მატერიალური ბაზა. სულიერი კულტურის მატერიალურ ბაზად ჩვენ მიგვაჩნია ადამიანთა მიერ შექმნილი სულიერი ღირებულებები, რომლებიც არსებობს მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურისა და სხვათა სახით.

კაცობრიობის განვითარების მანძილზე შექმნილი კულტურული ღირებულებები საზოგადოებისათვის რომ ხელმისაწვდომი გახდეს, ამისათვის თვით საზოგადოება ქმნის პირობებს. იქმნება კულტურული დაწესებულებები, რომლებიც მოწოდებული არიან თავი მოუყარონ კულტურულ ღირებულებებს და აზიარონ მას მასები. ასეთი კულტურული დაწესებულებებია: ბიბლიოთეკა, კლუბი, მუზეუმი, კინოთეატრი, დრამატული თეატრი, რადიო, ტელევიზია. მართალია მათი როლი და ფუნქცია საზოგადოებაში კულტურულ ღირებულებათა მასებამდე მიტანის საქმეში განსხვავებულია, მაგრამ, როცა კულტურის მატერიალურ ბაზას ვეხებით, ამ შემთხვევაში მათი ამ კატეგორიაში შეტანა, გარკვეული აზრით, შეიძლება.

როგორც ნაშრომის შესავალში ითქვა, ჩვენს მიზანს შეადგენს დახასიათებული იქნეს სოფლის მშრომელთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მატერიალური ბაზა.

ქალაქისაგან განსხვავებით, სადაც კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელია, ბიბლიოთეკების, კლუბების, კინოთეატრების, დრამატული თეატრის, მუზეუმებისა, საკონცერტო დარბაზებისა და სხვათა სახით, რომლებიც ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან, სოფლის პირობებში, ჯერჯერობით მხოლოდ კლუბები და ბიბლიოთეკებია, რომელთა მხრებზედაც გადადის სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურების მთელი სიმძიმე. ეს მაშინ, როცა სოფლის მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებანი სულ უფრო და უფრო იზრდება, უთანაბრდება ქალაქის მცხოვრებთა სულიერი მოთხოვნილებებს. ერთია კულტურულ დაწესებულებათა სიმცირე და მეორეა მომსახურების დონე. ცხადია, სოფლად კულტურულ დაწესებულებათა მომსახურება ქალაქთან შედარებით, მათი სიმცირის გამო, არასაკმარისია, ხოლო მომსახურების ხარისხი დაბალია.

სოფლად კულტურულ დაწესებულებათა მუშაობა თავისებური ხასიათის მატარებელია, რაც განპირობებულია, პირველ რიგში, სოფლის ცხოვრების თავისებურებით, როგორცაა არანორმირებული სამუშაო დღე, ფიზიკური შრომის უპირატესობა, საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობის აუცილებლობა, სოფლის დასახლების თავისებურება, სატრანსპორტო კომუნიკაციის განუვითარებლობა. ამიტომ სოფლად კულტურულ დაწესებულებათა მუშაობა (ბიბლიოთეკა, კლუბი) ბიბლიოთეკისა და კლუბის შენობაში მუშაობით არ უნდა ამოიწურებოდეს. ის უნდა ხელმძღვანელობდეს სოფლად ყოველგვარ კულტურულ ცხოვრებას, მის დაგეგმვასა და ჩატარების ორგანიზაციას.

2. კულტურის მატერიალური ბაზის სოციოლოგიური გამოკვლევა. რო-

გორც ითქვა, ქალაქი თავისი კულტურის მატერიალური ბაზის რაოდენობით, მრავალფეროვნებითა და მრავალმხრივობით დიდად განსხვავდება სოფლის კულტურის მატერიალური ბაზისაგან. ქალაქის მოსახლეობას გაცილებით მეტი საშუალება აქვს დაიკმაყოფილოს თავისი სულიერი, კულტურული მოთხოვნილებები, ვიდრე სოფლის მოსახლეობას. ამ მხრივ ქალაქის მოსახლეობას ფართო არჩევანის შესაძლებლობა აქვს, მაშინ, როცა სოფლის მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებები დიდად არ განსხვავდება ქალაქის მცხოვრებთა სულიერი მოთხოვნილებებისაგან. ხოლო სოფლის კულტურის მატერიალური ბაზა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ჩამორჩება ქალაქისას. ასეთ პირობებში სოფლის კულტურის მატერიალური ბაზის სოციოლოგიური კვლევა, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის შესწავლა, აქტუალური ხასიათის მატარებელია, რადგან კვლევის შედეგად დადგინდება ის სიძნელებები, რაც ხელს უშლის ამ დაწესებულებათა მუშაობას და დაისახება მისი დაძლევის გზები და საშუალებები.

კ ვ ლ ე ე ი ს მ ე თ ო დ ი. სოფლის კულტურის მატერიალური ბაზის სოციოლოგიური გამოკვლევისათვის გამოყენებული იქნა დოკუმენტური მასალის ანალიზისა და ინტერვიუს მეთოდი.

დოკუმენტური მასალის ანალიზის მეთოდით შესწავლილი იქნა საქართველოს 69 სასოფლო-სამეურნეო რაიონის საკლუბო დაწესებულება და ბიბლიოთეკა. კვლევის გეგმა ითვალისწინებდა სოფლის კულტურულ დაწესებულებათა როგორც რაოდენობის ზრდის, ისე მათი საქმიანობის დინამიკაში განხილვას. აქედან გამომდინარე, გაანალიზდა 1976 წლის 1 იანვრის და 1981 წლის 1 იანვრის მდგომარეობის აღმნიშვნელი მონაცემები, რათა ამ ორი პერიოდის ფაქტობრივი მდგომარეობის შედარებით დაგვედგინა განვითარების ტემპი.

ანალიზს დაექვემდებარა სასოფლო რაიონების საკლუბო დაწესებულებებისა და ბიბლიოთეკების მუშაკთა რაოდენობა, მათი მატერიალური ბაზა და მთელი ის საქმიანობა, რისთვისაც მოწოდებული არიან აღნიშნული დაწესებულებები.

ჩატარდა ორი სახის ინტერვიუ: ინტერვიუ საქ. სსრ კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებთან, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კადრების მომზადების მდგომარეობის, კადრებით უზრუნველყოფის, კადრების დენადობის მიზნების დადგენას, ამ დაწესებულებათა ქსელის ზრდის, მათი სრულყოფისა და მომსახურების ღონის ამღობის სიძნელებების შესწავლას. ინტერვიუ ჩატარდა 1983 წლის შემოდგომაზე.

მეორე სახის ინტერვიუ, ეს იყო ინტერვიუ უშუალოდ კულტურულ დირექტულებათა მომხმარებლებთან, სოფლის მუშა-ახალგაზრდობასთან. ინტერვიუ მიზნად ისახავდა დაგვედგინა, ერთი მხრივ, გამოკითხულთა ოჯახის კულტურის მატერიალური ბაზა — ოჯახის კულტინვენტარი და ბიბლიოთეკა. და რაც მთავარია, მიგველო ინფორმაცია სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ ჩატარებული ღონისძიებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ინტერვიუ დაექვემდებარა შერჩევის მეთოდს, რომელმაც მოიცვა რესპუბლიკის შვიდი რაიონის: მახარაძის, ზესტაფონის, ქედის, ამბროლაურის, ლენინგორის, ახმეტისა და დუშეთის 42 კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის 1100 რესპონდენტი. ინტერვიუ ჩატარდა 1982 წლის ზაფხულში.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდი მოპოვებული მასალის ანალიზის ორი ძირითად გარემოებას მაინც გულისხმობს, ჯერ ერთი, კვლევის ამოცანიდან გამომდინარე, მთელი მასალა დაჯგუფდეს გარკვეული ნიშნის მიხედვით, და მეორე, მასალის გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელი იყოს მეცნიერული დასკვნების გაკეთება. ამიტომ მოკლედ შევეხებით ჩვენს ხელთ არსებული მასალის დაჯგუფებისა და მისი ანალიზის შედეგთა მოტანის საკითხს.

როგორც ითქვა, კვლევას დაექვემდებარა საქართველოს ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომლებიც დაყოფილია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონად. სახელდობრ:

I. ალაზნის ვაკის მევენახეობის ზონა მეთამბაქოეობისათვის, რომელშიც შედის ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონები;

II. გარეკახეთის ზეგანის მარცვლეულ-მეცხოველეობის ზონა, რომელშიც შედის სიღნაღის, წითელწყაროს, საგარეჯოს რაიონები;

III. ქვემოქართლის ბარის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა, რომელიც აერთიანებს გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის რაიონებს;

IV. აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანი მეცხოველეობის ზონა, რომელშიც შედის ლენინგორის, ჯავის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის რაიონები;

V. შიდაქართლის ბარის მეხილეობის ზონა შაქრის ქარხლის თესვით, რომელიც აერთიანებს კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ცხინვალის, ზნაურის რაიონებს.

VI. ჯავახეთის მთიანეთის მეცხოველეობის ზონა, აერთიანებს წალკის, დმანისის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის რაიონებს;

VII. სამცხე-თრიალეთის მეცხოველეობისა და მეხილეობის ზონა, რომელშიც შედის ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის რაიონები;

VIII. იმერული მდლობის და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მევენახეობის ზონა; აერთიანებს თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის რაიონებს;

IX. დასავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონა, რომელიც აერთიანებს ონის, ლენტეხის, მესტიის რაიონებს;

X. კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკულ კულტურათა ზონა, რომელიც მოიცავს გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, ქობულეთის, ოჩამჩირის, გალის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ხობის, ცხაკაიას, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, წულუკიძის, აბაშის, სამტრედიის, წყალტუბოს, ტყიბულის რაიონებს;

XI. ზემო აჭარის მეთამბაქოეობის და მეცხოველეობის ზონა. აერთიანებს ხულოს, ქედის, შუახევის, ხელვაჩაურის რაიონებს.

მოპოვებული მასალა დაჯგუფდა აღნიშნული ზონების მიხედვით და ანალიზის შედეგები ნაშრომში მოტანილია პროცენტული სიდიდეებით.

3. **კვლევის შედეგები.** ჩვენს რესპუბლიკაში გასული, მეათე ხუთწლეულის მანძილზე მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული კულტურის მატერიალური ბაზის განვითარებისათვის. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სოფლად ბიბლიოთეკების რიცხვი გაიზარდა 273 ერთეულით. ე. ი. 8.5%-ით. წიგნების რაოდენობა 1614 ათასით (12.6%). საკლუბო დაწესებულებები 234 ერთეულით (11.7%). ასევე საყურადღებოა და მნიშვნელოვანია ის, რომ რესპუბლიკის მასშტაბით მუზეუმების რაოდენობა გაიზარდა 29.6%-ით, თეატრებისა 30.4%-ით, კინოთეატრებისა 4.5%-ით.

გაიზარდა წიგნების რაოდენობა 171 ნაბეჭდი ერთეულით, 4.5%-ით. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში გამოდის 81 დასახელების ჟურნალი და 141 დასახელების გაზეთი [4, გვ. 223—239].

კულტურის მატერიალური ბაზის ზრდის ეს ტემპი, რასაც ადგილი ჰქონდა გასული ხუთწლეულის მანძილზე, შეიძლება ითქვას, არ არის ცუდი, მაგრამ, როგორც ქვემოთ კვლევის მონაცემთა ანალიზისას დავინახავთ, იგი ვერ აკმაყოფილებს სოფლის მცხოვრებთა გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებებს.

კულტურის მატერიალური ბაზის ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანთა განათლებისა და კულტურის დონე. კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხული მუშა-ახალგაზრდობის მხოლოდ 1.5% აქვს დაწვებითი განათლება. აბსოლუტური უმრავლესობის განათლება ასეთია: არასრული საშუალო — 8.21%, პროფტექნიკური — 8.91, საშუალო ზოგადი — 51.72%, საშუალო სპეციალური — 20.65%, დაუმთავრებელი უმაღლესი — 3.18% და უმაღლესი 5.83%.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობა განათლების საკმაოდ მაღალი დონით არის წარმოდგენილი და უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ საკმაოდ მაღალი სულიერი მოთხოვნილებები გააჩნიათ, რომელთაც დაკმაყოფილება და სწორად წარმართვა სჭირდება.

თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა 48% სოფელზე მოდის, მაშინ ნათელი გახდება, ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის კულტურის მატერიალური ბაზის როგორც რაოდენობრივ ზრდას. ისე მათი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ა) საკლუბო დაწესებულება. სოფლის მოსახლეობის ცხოვრებაში კლუბს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს აიხსნება იმით, რომ საკლუბო დაწესებულება მისი მოღვაწეობის ხასიათის მიხედვით უნივერსალურია.

სოფლის საკლუბო დაწესებულება მოწოდებულია ატარებდეს მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას. კლუბში (კულტურის სახლში) ტარდება სხვადასხვა სახის ლექციები, თემატური საღამოები, ზეპირი ჟურნალი და სხვა მასობრივი ღონისძიებები; ხდება შეხვედრები შრომის გმირებთან, წარმოების მოწინავეებთან, მეცნიერებთან, კულტურის მოღვაწეებთან; მუშაობს სხვადასხვა წრე; უჩვენებენ კინოფილმებს, ეწყობა კონცერტები და მოძრავი გამოფენები. კლუბში მიდიან ადამიანები რათა დაისვენონ სამუშაო დღის შემდეგ.

ერთი სიტყვით, საკლუბო დაწესებულება წარმოადგენს სოფელში ამა თუ იმ, მცირე ან მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარების ორგანიზატორს. ამით აიხსნება ის დიდი ყურადღება, რასაც პარტია და მთავრობა აქცევს საკლუბო დაწესებულებათა მუშაობის გაძლიერებისა და სრულყოფის საქმეს.

სოფლის მოსახლეობის განათლებისა და კულტურის ზრდა, მათი მოთხოვნილებებისა და ინტერესთა სფეროს გაფართოება იწვევს თავისუფალი დროის სტრუქტურის შეცვლას, ეს კი ახალ მოთხოვნებს უყენებს სოფლის კლუბის მუშაობას.

სოციოლოგიური კვლევისას, როცა გვაინტერესებს საკლუბო დაწესებულებათა საქმიანობა, ჩვენ აუცილებლად უნდა შევხებით საკლუბო დაწესებულებათა ღონისძიებებზე დამსწრეთა საკითხს. ვინ არიან ისინი, რა იზიდავთ მათ კლუბში, როგორია მათი ინტერესი, რეალიზდება თუ არა ეს ინტერესები კლუბის საქმიანობაში.

ამ საკითხთა შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს გამოვლენილ იქნეს კლუბის საქმიანობაში გამოუყენებელი რეზერვები, რაც ხელს შეუწყობს კლუბის მუშაობის გაუმჯობესებას.

კლუბის მეშვეობით ადამიანთა შეგნებაზე იდეური ზემოქმედების საკითხი განხილული უნდა იქნეს საკლუბო დაწესებულების აღმზრდელთა — შტატის თანამშრომელთა საკითხთან დაკავშირებით.

საკლუბო დაწესებულების მუშაკთა — „აღმზრდელთა აღზრდის“ საკითხი თანამედროვე პირობებში ძალზე რთული საკითხია.

თანამედროვე ადამიანის კულტურის დონე, ადამიანისა, რომელიც სისტემატურად განიცდის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გავლენას, ძალიან მაღალია. კლუბის მუშაკთა უმეტესობა უკეთეს შემთხვევაში, არის საშუალო სპეციალური განათლების მქონე, მუშაობას იწყებს იმ ასაკში, როცა თვითონ მას სჭირდება აღზრდა.

როგორც უკვე ითქვა, საკლუბო დაწესებულება სოფლის პირობებში წარმოადგენს მასებთან მთელი კულტურული საქმიანობის ცენტრს. სოფლად საკლუბო დაწესებულება მოწოდებულია ორგანიზაციის უკეთებდეს მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალურ გამოყენებას. ამიტომ აუცილებელია მათი რაოდენობრივი ზრდა, საკლუბო დაწესებულებების ქსელის გაფართოება. დღევანდელ პირობებში ჩვენი რესპუბლიკის ყველა სოფელი როდია უზრუნველყოფილი საკლუბო დაწესებულებით და მათი მომსახურებით. თუმცა ამ მიმართულებით, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ბევრი რამ გაკეთდა გასულ მეათე ხუთწლეულში.

1981 წლის პირველი იანვრისათვის, 1976 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო რაიონებში საკლუბო დაწესებულებათა რაოდენობა გაიზარდა 10.3%-ით. საკლუბო დაწესებულებათა ზრდის ეს ტემპი განსხვავებულია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ცალკეული ზონების მიხედვით. ყველაზე დაბალია იგი მეორე ზონაში შემავალი რაიონებისათვის (1.6%), ყველაზე მაღალი მეშვიდე და მერვე ზონებისთვის (14.7%). სხვა ზონებისათვის ზრდის ტემპი იცვლება 6.6%-დან — 12.8%-ის ფარგლებში.

საქმის ერთი მხარეა საკლუბო დაწესებულებების ამა თუ იმ სოფელში არსებობა და მისი რაოდენობრივი ზრდა, მაგრამ მეორე მხარეა საკლუბო დაწესებულებათა აღჭურვილობა და საჭირო ფართის არსებობა. რაც საჭიროა იმისათვის, რომ კლუბმა განახორციელოს თავისი მრავალმხრივი ფუნქცია. კლუბი, უპირველეს ყოვლისა ის დაწესებულებაა, სადაც უნდა ხდებოდეს სხვადასხვა სანახაობების — კინოს, თეატრის, კონცერტის და სხვათა დემონსტრირება. ამიტომ მას ესაჭიროება სამზერი დარბაზი.

საანალიზო პერიოდში სამ ზონაში (II, IV, IX) აქვს ადგილი სამზერი დარბაზიანი კლუბების ზრდას (87.1%—88.9%, 56.8%—74.3% და 85.3⁰/₀—88.8%).

იმ კლუბების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ ოთახები კულტმასობრივი მუშაობისათვის 1981 წლის პირველი იანვრისათვის მერყეობდა 85.5%-დან (III ზონა) — 86.5%-მდე (IX ზონა). ამ მაჩვენებლის მიხედვით, მეათე ხუთწლეულში ზრდას აქვს ადგილი მეორე (33.9—99.9%), მეოთხე (56.2%—74.3%), მეხუთე (45.6%—65.6%), მეექვსე (48.6%—62.0%), მეშვიდე (61.3⁰/₀—80.4%), მერვე (74.9%—83.5%) და მეცხრე (64.6—86.5%) ზონებში.

საანალიზო პერიოდში შემცირდა იმ კლუბების რაოდენობა, რომელთაც აქვთ სტაციონალური კინოდანადგარები, ასეთი შემცირება აღინიშნა პირველი, მეორე, მესამე, მეექვსე, მერვე და მეცხრე ზონებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამის გვერდით ადგილი აქვს იმ კლუბების რაოდენობის ზრდას, რომლებსაც აქვთ მოძრავი კინოდანადგარები. ასეთებია მეორე (8.1%—15.8%), მესამე (11.33%—28.9%), მეოთხე (15.6%—20.1%), მეხუთე (3.5%—18.6%), მეშვიდე (3.1%—10.1%), მერვე (5.%—22.9%), მეცხრე (8.50—12.4%), მეათე და მეთერთმეტე ზონები.

სოფლის პირობებში საკლებო დაწესებულებების ერთ-ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უმთავრესი როლი და დანიშნულება არის მხატვრული თვითმოქმედების წრეების ჩამოყალიბება და მათი მუშაობისადმი ხელშეწყობა. ამ საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენება საამისო პირობებს მოითხოვს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობა აქვთ კლუბებს კულტმასობრივი მუშაობისათვის საჭირო ფართობის მიხედვით. ამ საქმიანობას მისთვის საჭირო ფართობთან ერთად სჭირდება მატერიალური ბაზა — სხვადასხვა ინსტრუმენტი.

კვლევის მონაცემთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ გაიზარდა კლუბებში ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა პიანინო, როიალი, ბაიანი, აკორდეონი, სახალხო საკრავები. პიანინოსა და როიალის რაოდენობის ზრდას აქვს ადგილი ყველა თერთმეტი ზონის მიხედვით, ხოლო ბაიანის, აკორდეონისა და სახალხო საკრავების ზრდას ცხრა ზონაში, მხოლოდ მეორე (43.5%—41.3%) და მეხუთე (58.5%—54.2%) ზონებში აქვს ადგილი ოდნავ შემცირებას.

მშრომელთა სულიერი მოთხოვნილებების როგორც დაკმაყოფილებისა, ისე მისი განვითარებისა და სრულყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას. მხატვრული თვითმოქმედების განვითარება ორმხრივ არის მნიშვნელოვანი ადამიანის სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში. ჯერ ერთი, ასეთი უნარის მქონე ადამიანის თვითმოქმედების წრეში გაერთიანება აკმაყოფილებს ამ უნარის გამოვლენის მოთხოვნილებას, ხვეწს და სრულყოფილს ქმნის თვით პიროვნებას, მეორე მხრივ, თვითმოქმედთა ხელოვნება, მათი საჭაროდ გამოვლენა ზემოქმედებს მსმენელზე, აკმაყოფილებს მსმენელის მოთხოვნილებას და სრულყოფს მის ესთეტიკურ გემოვნებას. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმოქმედებას, და განსაკუთრებით სოფლის პირობებში, სადაც, ქალაქთან შედარებით, ნაკლებია ასეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მატერიალური ბაზა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, საქართველოს სოფლის რაიონებში საკლებო დაწესებულებებთან არსებული თვითმოქმედების წრეების რაოდენობა 1981 წლის იანვრისათვის, 1976 წლის იანვრის მდგომარეობასთან შედარებით გაიზარდა 45.0%-ით, თვითმოქმედების ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა კი 78.4%-ით.

მასების იდეურ-პოლიტიკური და კულტურული აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება არის სახალხო და კულტურის უნივერსიტეტები, მათში მშრომელთა ჩაბმა.

1981 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონების საკლებო დაწესებულებებთან არსებობდა 100 სახალხო

უნივერსიტეტი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 17525 მსმენელი, 42 კულტურის უნივერსიტეტი 6525 მსმენელით.

აქამდე, ჩვენს მიერ მოტანილი კვლევის მასალა ეხებოდა საკლუბო დაწესებულებების, როგორც კულტურის მატერიალური ბაზის საგნობრივ მხარეს, მაგრამ კულტურის მატერიალური ბაზის ეს ობიექტური მხარე ხალხის სამსახურში რომ ჩადგეს, მასებმა რომ მოიხმარონ და მათი სულიერი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ საჭიროა ადამიანები, კულტურის მატერიალური ბაზის სუბიექტური მხარე, ადამიანები, რომლებიც უხელმძღვანელებენ და წარმართავენ კულტურულ დაწესებულებებს, ამ შემთხვევაში საკლუბო დაწესებულებებს.

ამიტომ სოფლად კულტურულ დაწესებულებათა კადრებით უზრუნველყოფა მშრომელთა გაზრდილი სულიერი მოთხოვნილებების პირობებში, ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია მშრომელთა კულტურული მომსახურების მაღალ დონეზე დასაყენებლად.

კვლევის შედეგათა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვასული ხუთწლედის მანძილზე საკლუბო დაწესებულებათა შტატის, ხელფასიან მუშაკთა რაოდენობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონებში გაიზარდა 24.2%-ით. როცა კვლევის შედეგები განათლების დონისა და სპეციალობის მიხედვით გავანალიზებთ აღმოჩნდა, რომ უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვი საანალიზო პერიოდში გაიზარდა 57.2%-ით, მათ შორის სპეციალური განათლების მქონეთა რიცხვი — 5.7%-ით. საშუალო განათლების მქონეთა რიცხვი გაიზარდა 21.1%-ით, მათ შორის სპეციალური განათლების მქონენი — 11.0%-ით.

1976 წლის იანვრისათვის საკლუბო დაწესებულებების ხელფასიან მუშაკთა შორის არასპეციალური განათლება ჰქონდა ნახევარზე მეტს შვიდ ზონაში (I, II, V, VI, VII, X, XI), ხოლო 1981 წლის 1 იანვრისათვის ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა ცხრა ზონაში (I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX).

როგორც ვხედავთ, საკლუბო დაწესებულებების ხელფასიან მუშაკთა შორის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, ჭარბობს არასპეციალური განათლების მუშაკთა ხვედრითი წილი, რაც უეჭველია იმოქმედებს ამ დაწესებულებათა საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

ბ) ბ ი ბ ი თ ე კ ა. სოფლის პირობებში ბიბლიოთეკა კლუბზე ნაკლებ კულტურულ დაწესებულებას როდი წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში, როცა მშრომელთა განათლებისა და კულტურის ზრდის კვალობაზე, გაიზარდა წიგნის კითხვის მოთხოვნილება, ბიბლიოთეკას და მის მესვეურებს დიდი როლი დაეკისრა მოსახლეობის მომსახურების საქმეში. დღევანდელი ბიბლიოთეკა არა მარტო მსურველებზე წიგნის გამცემი დაწესებულებაა, არამედ იგი არის მოთავე და მოვალე სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისა. დღევანდელ პირობებში ბიბლიოთეკა წარმოადგენს, და უნდა წარმოადგენდეს, დაწესებულებას, სადაც ეწყობა მკითხველთა კონფერენციები. მხატვრული სადამოები, მწერლებთან და ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრა და სხვა. ყველა ამ ღონისძიების ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის პირობებში, სადაც მშრომლები მოკლებული არიან კულტურული დასვენების საშუალებების არჩევას.

ამიტომ სოფლად საბიბლიოთეკო ქსელის ზრდასა და მისი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საანგარიშო პერიოდში სოფლის რაიონებში ბიბლიოთეკების საერთო რაოდენობა გაიზარდა 37.0%-ით. ბიბლიოთეკათა ზრდის მაჩვენებელი განსხვავებულია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით. ეს განსხვავება მერყეობს 27.4%-იდან (I ზონა), 42.6%-მდე (IX ზონა). მაგრამ ყველა ზონაში, გარდა მეცხრე ზონისა (9.9%—16.7%), შემცირდა იმ ბიბლიოთეკათა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ სამკითხველო დარბაზი.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საანალიზო პერიოდში საქართველოს სასოფლო რაიონების ბიბლიოთეკებში წიგნების რაოდენობა გაიზარდა 35.6%-ით. მკითხველებზე გაცემული წიგნების რაოდენობა — 28.0%-ით, მკითხველთა რაოდენობა — 26.1%-ით, ხოლო ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული ღონისძიებები 68.7%-ით.

როცა საკლუბო დაწესებულებების მუშაობას ვეხებოდით, აღვნიშნეთ, რომ მათი მუშაობის წარმატება მთლიანადაა დამოკიდებული კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაზე. იგივე შეიძლება ითქვას ბიბლიოთეკების მიმართაც.

სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მალაკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა აუცილებელი პირობაა თანამედროვე სოფლის მშრომელთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ხელფასიან მუშაკთა შორის უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობა, უმნიშვნელოდ, თუმცა მაინც გაიზარდა პირველ (46.8%—47.4%), მეოთხე (35.6%—39.3%), მეხუთე (25.4%—39.3%), მეექვსე (9.4%—11.6%), მეშვიდე (17.0%—20.9%), მერვე (19.2%—22.3%) და მეცხრე (11.8%—20.1%) ზონებში. შემცირდა მეორე (40.9%—33.5%), მესამე (24%—22.2%) და მეთერთმეტე ზონაში (17.9%—15.5%). მათ შორის სპეციალური განათლების მქონეთა რაოდენობა გაიზარდა პირველ ზონაში 29.7%-ით, მეორეში — 4.2%-ით, მესამეში — 3.2%-ით, მეცხრეში — 11.4%-ით და მეთერთმეტე ზონაში — 13.8%-ით. დანარჩენ ექვს ზონაში კი შემცირდა.

როგორც უმაღლესი ისე საშუალო განათლების მქონე ბიბლიოთეკის ხელფასიან მუშაკთა შორის დიდი ხვედრითი წილი უჭირავთ არასპეციალური განათლების მქონე მუშაკებს.

4. სოფლის ოჯახის კულტურის მატერიალური ბაზა. როცა სოფლის კულტურის მატერიალური ბაზის კვლევის მეთოდს ვანასიათებდით, აღვნიშნეთ, რომ დოკუმენტური მასალის ანალიზის მეთოდთან ერთად გამოყენებული იქნა ინტერვიუს მეთოდი. მოვიტანთ სოფლის ოჯახის კულტურის მატერიალური ბაზისათვის დამახასიათებელ კვლევის შედეგებს. ჩვენი აზრით, ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ვიცოდეთ სოფლის მუშაკი, კულტურის საზოგადოებრივი დაწესებულებების მომსახურების გარდა რა საშუალებებს ფლობს მისი სულიერი და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. კვლევის მასალებიდან მოვიტანთ, აგრეთვე, მონაცემებს, რომლებიც დაგვიხასიათებს სოფლის გამოკითხული ახალგაზრდობის კულტურის დაწესებულებებისადმი დამოკიდებულებას და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მდგომარეობას.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს სოფლის მცხოვრებთა ოჯახებს სხვადასხვა სახის კულტინგენტარი გააჩნიათ. ასე მაგალითად, ტელევიზორი აქვს გამოკითხულთა 88.0%-ს, რადიომიმღები — 64.8%-ს, ტრანზისტორი —

25.5%-ს, რადიოტელევიზორული — 11.6%-ს, ფოტო და კინოაპარატი — 12.4%-ს, მაგნიტოფონი — 38.1%-ს, აკორდეონი, ბაიანი — 8.7%-ს, პიანინო — 22.8%-ს, ფანდური — 15.1%-ს, გიტარა — 25.0%-ს, ჩონგური — 17.1%-ს, მაგიდის სათამაშოები (ჭადრაკი, შაში, დომინო) — 50.7%-ს, სანადირო მოწყობილობა — 20.6%-ს.

დღევანდელ პირობებში, როცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის აბსოლუტური უმრავლესობას, როგორც კვლევამ გვიჩვენა 98.5%-ს, არასრული საშუალო და უფრო მაღალი განათლება აქვს, ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ საიდან იკმაყოფილებენ ისინი წიგნზე მოთხოვნილებას. აქვთ თუ არა საკუთარი ბიბლიოთეკა და რა მოცულობისაა მათი წიგნადი ფონდი.

გამოკითხული ერთობლიობის 71.2%-ს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა. 28.8%-ს არ აქვს ბიბლიოთეკა. ე. ი. გამოკითხული ახალგაზრდობის ასე დიდ რაოდენობას ოჯახში არა აქვს 20-მდე წიგნიც კი (ოცამდე წიგნსაც გარკვეული მოსასრებით ვთვლიდით ბიბლიოთეკად). რასაკვირველია, ეს ძალიან არასახარბიელო ფაქტია.

ოცამდე წიგნი აქვს გამოკითხულთა საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს — 24.35%-ს, 21-დან 100-მდე 50.34%-ს, 101-დან 300-მდე 24.15%-ს, ხოლო სამასი და მეტი წიგნი აქვს საკუთარ ბიბლიოთეკაში მხოლოდ 11.09%-ს.

ცხადია, საკუთარი ბიბლიოთეკის არ ქონებისა და ბიბლიოთეკაში ცოტა წიგნების ქონის შემთხვევაში ადამიანი წიგნზე მოთხოვნილებას სხვა საშუალებით იკმაყოფილებს, რომელთაგან მთავარია საზოგადოებრივი ბიბლიოთეკით სარგებლობა.

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკით სარგებლობს გამოკითხულთა 77.24%, არ სარგებლობს 22.76%. ე. ი. ერთ მეხუთედზე მეტი არ სარგებლობს საზოგადოებრივი ბიბლიოთეკით. ამას, რასაკვირველია, თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს, თორემ სხვაგვარად წარმოუდგენელია ახალგაზრდას თანამედროვე პირობებში არ ჰქონდეს წიგნის კითხვის მოთხოვნილება და არ იკმაყოფილებდეს მას.

ეს მიზეზები შემდეგია: გამოკითხულთა თითქმის ერთ მეხუთედ ნაწილს (19.20%) აკმაყოფილებს საკუთარი ბიბლიოთეკა, მეგობრებისა და ამხანაგების წიგნებით სარგებლობს გამოკითხულთა ერთ მესამედზე მეტი 37.17%. ესენი არიან რესპონდენტები, რომლებიც თავიანთ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ სხვადასხვა გზით. მაგრამ გამოკითხულთა 12.14%-ის მოთხოვნილებას საჭირო ლიტერატურაზე ვერ აკმაყოფილებს მისი სოფლის (რაიონის) ბიბლიოთეკა. ამ კატეგორიის ადამიანთა ხვედრითი წილი მაღალია ამბროლაურის და დღუშეთის (25.0%—20.2%) რაიონში გამოკითხულ რესპონდენტებს შორის. არიან რესპონდენტები, რომლებსაც აქვთ ლიტერატურის კითხვის მოთხოვნილება, მაგრამ გარკვეული ხელისშემშლელი ობიექტური მიზეზები გააჩნიათ: ბიბლიოთეკის დაშორება საცხოვრებელი ადგილიდან (11.22%). ეს მიზეზი დაასახელა ლენინგორისა (37.93%) და ქედის (25.49%) რაიონებში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდმა რაოდენობამ. გამოკითხულთა მთელი ერთობლიობის 3.69% აღნიშნავს, რომ ძალიან იღლება საშუაოს გამო და შემდეგ უკვე აღარ შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკით. ეს მიზეზი, მთელი ერთობლიობის მიმართ განგარიშებულს ჭარბობს ზესტაფონისა და ახმეტის რაიონში გამოკითხულ რეს-

პონდენტებთან (9.9%—8.33%). ერთ-ერთ ხელისშემშლელ მიზეზად დასახელებულია საოჯახო შრომა (7.68%).

პასუხის ბოლო ორი ვარიანტი გამოხატავს საზოგადოებრივი ბიბლიოთეკით სარგებლობისადმი, უფრო სწორად, საერთოდ ლიტერატურის კითხვისადმი რესპონდენტის სუბიექტურ დამოკიდებულებას. მთელი გამოკითხული ერთობლიობის 8.0%-მა განაცხადა, რომ თავისუფალ დროს სხვა საქმიანობაზე იყენებს. ასეთი აზრისაა დუშეთის რაიონში გამოკითხულ რესპონდენტთა 16.46%, ქედის რაიონში — 15.69% და ზესტაფონის რაიონში — 11.76%. გამოკითხულ ახალგაზრდებს შორის არიან, თუმცა ძალიან მცირე ხვედრითი წილი, ისეთებიც, რომლებსაც არ აქვთ ლიტერატურის კითხვის სურვილი (0.92%).

კულტურის მატერიალური ბაზისადმი რესპონდენტის დამოკიდებულების კვლევის შედეგთა ანალიზით შევეცადეთ გვეჩვენებინა ის, თუ რამდენად არიან ისინი ამ ბაზით უზრუნველყოფილი, რამდენად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს და რა სიძნელეებია ამ მიმართებით.

ასეთივე მიზნიდან გამომდინარე შევეცხებით საკლებო დაწესებულებებისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულებას.

როგორც ითქვა, სოფლის კულტურის სახლი ან კლუბი არის, და უნდა იყოს, ისეთი კულტურული დაწესებულება, სადაც სოფლის მშრომელი ატარებს საშუალოაგან თავისუფალ დროს, ყოველ შემთხვევაში ამ დაწესებულებას ისე უნდა ჰქონდეს დაყენებული თავისი საქმიანობა, რომ იგი იზიდავდეს ადამიანებს თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარებისათვის.

როგორც კვლევის მონაცემთა ანალიზმა გვიჩვენა, მთელი გამოკითხული ერთობლიობის 9.28%-მა აღნიშნა რომ მათ სოფელს არ აქვს კულტურის სახლი (კლუბი). ასეთივე პასუხი მოგვცა დუშეთის რაიონში გამოკითხულთა 25.95%-მა, ლენინგორის რაიონში გამოკითხულთა — 19.51%-მა. ამბროლაურის რაიონში გამოკითხულთა — 11.81%-მა. მთელი ერთობლიობის 9.67%-მა გვიპასუხა, რომ მათთან კლუბში ღონისძიებები არ ტარდება. ასეთი პასუხის საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი მოდის ამბროლაურის რაიონში (25.93%), ლენინგორის (24.39%), დუშეთის (22.14%) და ზესტაფონის რაიონებში გამოკითხულ ერთობლიობაზე.

5. თავისუფალი დრო. სოფლის ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი რომ ვერ ახდენს მათი უნარების რეალიზაციას და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაშიც, რომ მათ არ აქვთ თავისუფალი დრო. თავისუფალი დრო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელსაც იგი გამოიყენებდა მისი ცოდნის დონისა და სულიერ, კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, კულტურის ამაღლებისათვის.

სანამ უშუალოდ თავისუფალი დროით კმაყოფილების კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგებს მოვიტანდეთ, გვინდა ერთ გარემოებაზე გავამახვილოთ ყურადღება. მართალია, ჩვენს პირობებში, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, სათანადოდ გაიზარდა სოფლის მცხოვრებთა და, განსაკუთრებით, სოფლის ახალგაზრდა მუშაკთა სულიერი შეხედულებები, მათი კულტურა. აღნიშნავენ, რომ იგი თანდათან უახლოვდება ქალაქის მცხოვრებთა კულტურას და მოთხოვნილებებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათ შორის ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

მოვიტანთ ასეთ მაგალითს: ჩვენს სოფელს არ აქვს კულტურის სახლი—გვპასუხობს დუშეთის რაიონში გამოკითხულთა 25.95%. ლენინგორის რაიონში

გამოკითხულთა 19.51% და ამბროლაურის რაიონში — 14.81%, ხოლო დუშეთის რაიონში — 22.14%. ლენინგორის რაიონში — 24.39% და ამბროლაურის რაიონში გამოკითხულთა 25.93% აღნიშნავს, რომ კულტურის სახლში (კლუბში) მათთან არ ტარდება ღონისძიებები. ამავე დროს ამ რაიონებში გამოკითხული ერთობის საქმოდ დიდი ხვედრითი წილი კმაყოფილია თავისუფალი დროის გამოყენებით. დუშეთის რაიონში 34.96%, ლენინგორის რაიონში — 31.43% და ამბროლაურის რაიონში — 66.0%.

არ შეიძლება არ ვიფიქროთ, რომ მცირედით კმაყოფილება მოთხოვნილებების განუვითარებლობის შედეგი არ იყოს ცალკეულ რეგიონში.

და, თუ ეს ასეა, მაშინ ძალიან დიდი სამუშაოს ჩატარება საჭირო სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ და არა მარტო სოფლის, არამედ კომკავშირის რაიონული კომიტეტების მიერ, რადგან ახალგაზრდობის შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისა და კულტურული აღზრდის საკითხების განხორციელება მათი უშუალო მოვალეობაა. ნაშრომში მოტანილი კვლევის შედეგები კი, რომლებიც ანკეტური გამოკითხვის მასალებს ემყარება, ეხება მხოლოდ 29 წლის ასაკამდე ახალგაზრდობას.

თავისუფალი დროის გამოყენებით არ არის კმაყოფილი, ან აღნიშნულ კითხვაზე ვადაჭრით პასუხის გაცემა უჭირთ მთელი გამოკითხული ერთობლობის 35.86%-ს, ამ კატეგორიის რესპონდენტთა ხვედრითი წილი გამოკითხულთა ნახევარზე მეტს აჭარბებს დუშეთის (65.94%) და ლენინგორის რაიონში (68.57%). სხვა რაიონებში ეს ხვედრითი წილი ამ რაიონებთან შედარებით დაბალია.

ცხადია, რომ სოფლის მუშა ახალგაზრდობა განიცდის თავისუფალი დროის დიდ ნაკლებობას, რაც სასოფლო-სამეურნეო შრომის ხასიათითა და სამუშაო დროის არარეგლამენტირებულობითაც არის განპირობებული. მაგრამ ამ ობიექტურ მიზეზს ხშირად ემატება კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების არასათანადო და ზოგჯერ მოუქნელი მუშაობაც. ყოველივე ამის გამო სოფლის მშრომელი ახალგაზრდობის სულიერი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩება. ამას მოწმობს ჩვენი კვლევის შედეგები.

ჩვენი კვლევის გეგმა ითვალისწინებდა, რომ, ერთი მხრივ, დაგვედგინა ის, თუ როგორ იყენებენ სოფლის ახალგაზრდები მათ განკარგულებაში არსებულ დროს და, მეორე მხრივ, რა სულიერი მოთხოვნილებები გააჩნია მათ, რომელთა დაკმაყოფილებასაც ისურვებდნენ დამატებითი თავისუფალი დროის აღმოჩენის შემთხვევაში.

ამ მხრივ კვლევის შედეგთა ანალიზი ასეთ სურათს იძლევა: მთელი გამოკითხული ერთობლობის 28.3% დაესწრებოდა თეატრის სპექტაკლებს, 34.71% ნახავდა კინოფილმებს, 32.88% დაესწრებოდა სპორტულ შეჯიბრებებს, 34.34% წაიკითხავდა მხატვრულ ლიტერატურას, 15.11% გამოიყენებდა სწავლასა და თვითგანვითარებაზე, 10.62% მოახმარდა საზოგადოებრივ საქმიანობას, 10.0% მოახმარდა სპორტს, 10.53% გამოიყენებდა სახალისო შრომაზე, 25.55% მონაბულებდა ამხანაგ-მეგობრებს და ა. შ.

ამრიგად, დამატებითი თავისუფალი დროის აღმოჩენის შემთხვევაში, ჩვენს მიერ გამოკითხული სოფლის მუშა-ახალგაზრდობა მას გაანაწილებდა მძალად სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

კვლევით დადგენილი ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ ერთი, მძალად სოფლის ახალგაზრდობის სულიერი მოთხოვნილებები და, მეორე, სათანად-

დოდ ვერ კმაყოფილდება ეს მოთხოვნები, რაც სოფლის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის არასათანადო დონითაც არის განპირობებული.

6. კადრების მომზადება და სამუშაო პირობები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის გეგმა ითვალისწინებდა ინტერვიუს საქ. სსრ კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებთან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დაკავშირებული არიან სოფლის რაიონების პირობებში კულტსაგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობასთან.

მოვიტანთ ამ ინტერვიუს შედეგად მოპოვებულ ზოგიერთ მასალას.

საბიბლიოთეკო დარგის უმაღლესი განათლების სპეციალისტებს ამზადებს ქ. თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ბოლო სამი წელია საკლებო დაწესებულებებისათვის უმაღლესი განათლების კადრებს ამზადებს საქართველოს სსრ ქ. თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.

საშუალო განათლების სპეციალისტებს ამზადებს კულტურის სამინისტროს სისტემის საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლები თბილისში, ბათუმში, სოხუმში და ქუთაისში.

ამ სასწავლებლების მსმენელთა 99.0% არის მივლინებული სოფლის რაიონებიდან. ჭერჭერობით ვერ ხერხდება ამ კადრების სათანადოდ გამოყენება.

ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ კვლევის მასალები საბიბლიოთეკო და საკლებო დაწესებულებების ხელფასიან მუშაკთა შემადგენლობის შესახებ განათლებისა და სპეციალობების მიხედვით. განხილულ საკითხს დავუმატებთ იმას, თუ რამდენი ადგილია დაკავებული კვალიფიციური კადრების მიერ.

ამჟამად საქართველოს სოფლის რაიონებს ბიბლიოთეკებში არის 1875 თანამდებობა, რომლებზედაც უნდა მუშაობდეს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი. ფაქტიურად მუშაობს 916, ე. ი. 49,0%. საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების 2000 თანამდებობაზე მუშაობს 1304 სპეციალისტი, 65,2%.

ძალიან მწვავედ დგას საკლებო დაწესებულებების სპეციალური კადრებით დაკომპლექტების საკითხი. საკლებო დაწესებულებებში 570 თანამდებობიდან რომლებზედაც უნდა მუშაობდეს უმაღლესი განათლების სპეციალისტი, მუშაობს ფაქტიურად 39 სპეციალისტი, ე. ი. ამ თანამდებობათა მხოლოდ 6,8% უკავია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს.

საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების ნაკლებობასაც განიცდის საქართველოს სოფლის საკლებო დაწესებულებები. მათ აკლიათ ამ სპეციალობის მუშაკთა 51,0%.

სოფლის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სპეციალური კადრების ნაკლებობის გამო არსებულ სიძნელეს თან ერთვის კიდევ სხვა ობიექტური მიზეზები, რომლებიც აფერხებს ამ დაწესებულებათა ნორმალურ მუშაობას.

საქართველოს სოფლის ბიბლიოთეკების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს საკუთარი შენობა, ისინი განლაგებული არიან სოფლის მცხოვრებთაგან დაქირავებულ ბინებში, რის გამოც მათ არ შეუძლიათ სათანადო დონეზე გაშალონ თავიანთი მუშაობა. ზოგიერთ სოფელში ბიბლიოთეკა მოთავსებულია ისეთ უბადრუკ შენობაში, რომ იქ ბიბლიოთეკის რაიმე ორგანიზაციულ და აღმზრდელი მუშაობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ს. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
გვ. მ. მ. მ.

598.7/1

რესპუბლიკის სოფლებში 1976 წელს იყო სულ 2440 ბიბლიოთეკა. აქედან დაჭირავებულ ბინაში იყო 234 (9.6%) ავარიულ მდგომარეობაში 158 (6.5%). 1982 წელს ბიბლიოთეკების რაოდენობა გაიზარდა 3384-მდე (38.7%). აქედან დაჭირავებული იყო 422 (12.5%). ავარიულ მდგომარეობაში 307 (9.1%).

1982 წლისათვის დაჭირავებულ ბიბლიოთეკათა როდენობა 1976 წელთან შედარებით გაიზარდა 80.3%-ით. ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ბიბლიოთეკების რაოდენობა კი 94.3%-ით.

ამასთან ერთად, არადაამკამყოფილებლად მარაგდება სოფლის ბიბლიოთეკები საჭირო მხატვრული თუ სპეციალური ლიტერატურით.

მოვიტანთ ასეთ ფაქტს: ცუდად მარაგდება სოფლის ბიბლიოთეკები სასოფლო-სამეურნეო და საწარმო-ტექნიკური ლიტერატურით. სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ლიტერატურა საერთო ფონდის 3.5%-ს, ხოლო საწარმო-ტექნიკური 2.7%-ს შეადგენს. ექვი არ არის, რომ ასეთი ხასიათის ლიტერატურაზე მოთხოვნებს ეს რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს.

არც საკულტო დაწესებულებების მდგომარეობაა ყველგან კარგად. დაბალ დონეზე დგას საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის საქმე. ზოგიერთ სოფელში კლუბის შენობები, ისე როგორც ბიბლიოთეკების, ძალიან ღარიბულად და მოუწყობლად გამოიყურებიან.

ისეთ პირობებში, როცა სოფლის მცხოვრებთა საცხოვრებელი ბინები მაღალი გემოვნებით ნაშენი და შერჩეული კომფორტით არის მოწყობილი, როგორ მიიზიდავს ასეთ ბინებში მცხოვრებთ სოფლის მოუწყობელი კლუბი. ამას ისიც უნდა დავმატოს, რომ ბევრ სოფელში კლუბები და ბიბლიოთეკები არ თბება ზამთრის პერიოდში.

ცხადია, სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ასეთი მდგომარეობის პირობებში მშრომელი კმაყოფილდება საკუთარი ოჯახის კულტინვენტარით: ტელევიზორით, რადიომიმღებით, მაგნიტოფონით და ა. შ. და იკეტება საკუთარ ოჯახში. კმაყოფილდება გართობის ინდივიდუალური საშუალებებით, თანდათან წყდება გართობისა და დასვენების საზოგადოებრივ ფორმებს.

მართალია, კულტურულ ღირებულებათა ინდივიდუალური მოხმარება (ოჯახის გარემოში) გარკვეულად დადებითად მოქმედებს პიროვნებაზე, ზრდის და ხეწავს მის სულიერ მოთხოვნილებებს, მაგრამ არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს ამ პროცესის ზოგიერთი უარყოფითი მხარე.

ჭერ ერთი, კულტურულ ღირებულებათა ინდივიდუალურმა მოხმარებამ, თუ მას არ ერთვის აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა, შეიძლება მიგვიყვანოს პიროვნების კულტურისადმი ცალმხრივ მომხმარებლურ დამოკიდებულებამდე, მეორე, კულტურულ ღირებულებათა ინდივიდუალური მოხმარება ნაკლებად ექვემდებარება სოციალურ კონტროლსა და რეგულირებას, ამიტომ იგი ხშირად როდია კულტურული ღირებულების შქონე, ამდენად, კულტურულ ღირებულებათა ინდივიდუალური მოხმარება ყოველთვის არ მიგვიყვანს პიროვნების განვითარებამდე. მესამე, კულტურულ ღირებულებათა მოხმარების ინდივიდუალური ფორმის დროს იკარგება საზეიმო განწყობის მოთხოვნილება, რაც თან ახლავს კულტურის კოლექტიურ მოხმარებას; თანდათან მკრთალდება და ზედმეტი ხდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აუცილებელი ქცევისა და ურთიერთობის ნორმები. პიროვნება იკეტება საკუთარ ოჯახში.

წყდება გართობისა და დასვენების საზოგადოებრივ ფორმებს, რამაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს თვით კულტურულ ღირებულებათა ათვისებაზე.

სოციოლოგიური კვლევის მონაცემები და ხალხთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდა მოწმობს, რომ კულტურულ ღირებულებათა ინდივიდუალური მოხმარება გაიზარდა. ეს უნდა გაითვალისწინონ კულტურის საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა და გარკვეული სახით შეცვალონ თავიანთი ფუნქციები. კლუბებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადამიანთა ოჯახის გარეთ ურთიერთობებს. შექმნან ინტერესთა მიხედვით მოყვარული გაერთიანებები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარება გაზრდის წინააღმდეგობას კულტურულ ღირებულებათა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მოხმარებას შორის.

აქედან გამოსავალი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს შემდეგში: უნდა მოხდეს ადამიანთა ჩაბმა შემოქმედებით კულტურულ მოღვაწეობაში.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მასობრივი ბიბლიოთეკების როლის შესახებ სკკპ XXVI ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია: „სრულყოფით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მათი მატერიალური ბაზა, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად. გავფართოოთ მასობრივი ბიბლიოთეკებისა და კლუბების ქსელი, ავამაღლოთ მათი როლი მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, თვითმოქმედი შემოქმედებისა და დასვენების ორგანიზაციისათვის მუშაობაში“ (1, გვ. 274—275).

სოფლის კლუბებისა და ბიბლიოთეკების ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენი აზრით, პირველ რიგში საჭიროა:

ა) სასოფლო საბჭოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა იზრუნონ კადრების როგორც მატერიალური უზრუნველყოფის, ისე მორალური წახალისებისათვის, რომ რესპუბლიკაში კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მომზადებული კადრები გამოყენებული იქნენ მაქსიმალურად მათი სპეციალობის მიხედვით. აგრეთვე უნდა გამოიზარდოს საჭირო რეზერვები (თანხები, ადამიანები), რათა ზამთრის პირობებში მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდეს კლუბებსა და ბიბლიოთეკებს.

ბ) გადახედვასა და მოგვარებას საჭიროებს სოფლის ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგების საქმე, ზოგიერთი ლიტერატურის ტირაჟის სიმცირის გამო სოფლის ბიბლიოთეკებამდე ვერ აღწევს წიგნები. საწამ ეს მოგვარებობდეს კარგი იქნება, თუ ორგანიზაცია გაუკეთდება ქალაქის წარმოება-დაწესებულებების სოფლებისადმი შეფობას და მოვაწვდით სოფლის ბიბლიოთეკებს წიგნებს. ამ საქმეს უნდა უხელმძღვანელოს საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონების კომკავშირის რაიკომების მეშვეობით. ასეთივე შეფობით შეიძლება სოფლის კლუბებსაც აღმოუჩინოთ დახმარება ზოგიერთი საჭირო ინვენტარით.

გ) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონების დიდი ნაწილი მთის რაიონებია, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ავტობიბლიოთეკებით მომარაგებას, მაგრამ საავტომობილო გზების უქონლობის გამო ეს მომსახურება შეფერხებულია. ჩვენი აზრით, ეს პრობლემა მხოლოდ რაიონის მასშტაბით გადასაწყვეტი პრობლემა არ არის, მას შემდგომი ორგანოების ჩარევა სჭირდება, ხოლო ეს რომ გადასაღები საქმე არ არის ცხადია.

დ) სოფელში კლუბის და ბიბლიოთეკის უქონლობა ან დაქირავებულ და ავარიულ შენობაში მათი მოთავსება ახალგაზრდობის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე რომ უარყოფითად მოქმედებს ცხადია. ისიც ცხადია, რომ რესპუბლიკის სოფლებში ასეთი დიდი რაოდენობით დაქირავებულ და ავარიულ შენობებში მოთავსებული ბიბლიოთეკებისათვის შენობების აშენება დიდ სახსრებს მოითხოვს და ამ საქმის ასე სწრაფად გადაჭრა, ალბათ, არ მოხერხდება.

ჩვენი აზრით, კარგი იქნება თუ ზემდგომი, ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დაიგეგმება და სტუდენტთა შრომითი სემესტრის მანძილზე აშენდება, ან შეკეთდება სოფლის ბიბლიოთეკები და კლუბები. არ შეიძლება ამ საქმეს ადგილებზე არ გამოუჩნდნენ ენთუზიასტები და დამხმარეები.

Ч. А. ЛОМТАТИДЗЕ

МАТЕРИАЛЬНАЯ БАЗА КУЛЬТУРЫ СЕЛА

Резюме

В деле формирования и удовлетворения духовных, культурных потребностей сельской молодежи огромная роль отводится материальной базе сельской культуры.

В работе на основе анализа материалов социологического исследования показано, какие изменения произошли на селе в течение прошедшей десятой пятилетки в деле усовершенствования работы библиотек и клубных учреждений, какие трудности существуют в их работе и каково отношение сельской молодежи к деятельности этих учреждений.

ლიტერატურა

1. სკკპ XXVI ყრილობის მასალები. თბ., 1981.
2. ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა სკკპ ცკ-ის 1983 წ. ივნისის პლენუმებზე. ვაზეთი „კომუნისტი“ 1983, 16 ივნისი.
3. კ. ი. ჩერენკოს მოხსენება „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“. სკკპ ცკ-ის 1983 წ. ივნისის პლენუმებზე. ვაზეთი „კომუნისტი“, 1983, 15 ივნისი.
4. Народное хозяйство Грузинской ССР 1922—1982. Тбилиси, 1982.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ფილოსოფიის ინსტიტუტმა

В. Е. ГОРОЗИЯ

О ПОНЯТИИ СОЦИОЛОГИИ У Р. АРОНА

Резкое обострение идеологической борьбы, сложившейся в условиях общего кризиса капитализма, требует от марксистского исследователя основательного ознакомления со всеми заметными явлениями буржуазной идеологии. В этом отношении фигура Раймона Арона, крупнейшего французского буржуазного социолога, и по сей день занимающего одно из ведущих мест в современной антикоммунистической западной идеологии, заслуживает особое внимания. Темой предлагаемой статьи являются не отдельные социологические воззрения Арона, связанные с теми или иными аспектами политической, экономической и, в широком смысле, социальной действительности, а само понятие социологии, на котором Арон строит всю свою доктрину. Надо полагать, что эффективный критический анализ теории во многом зависит от уяснения лежащих в ее основании предпосылок, и в частности, плодотворная критика воззрений Арона лишь выигрывает от того, что будет опираться на предварительный анализ теоретического фундамента самих этих воззрений, каковым в данном случае является ароновское понимание предмета и назначения социологии. Мы ограничимся анализом этой концепции в том виде, как она представлена в известной и пользующейся особым влиянием на Западе книге Арона «Восемнадцать лекций об индустриальном обществе» [6]. Этот курс, прочитанный в Сорбонне в 1955—56 гг., открывается вводной лекцией, в которой Арон сжато и резюлютивно формулирует свое понимание социологической науки. Но прежде чем перейти к изложению и критическому осмыслению ее содержания, нам представляется целесообразным сказать несколько слов об общей философской специфике взглядов самого Арона.

Арон — не просто социолог, или не только социолог в профессионально-прикладном смысле, столь свойственном, скажем, американским социологам. Он — социолог с философским прошлым, с регулярными, так сказать, выходами в философию. Существенную причину этого следует, по видимому, искать в генезисе и формировании его взглядов, которые с самого начала были отмечены сильнейшим влиянием немецкой философской и социологической мысли (в 1930—1933 гг. Арон работал в качестве ассистента в Кельнском и Берлинском университетах). Не случаен и факт тесного сотрудничества Арона с Ж.-П. Сартром, крупнейшим представителем французского экзистенциализма; до разрыва с Сартром, имевшего место в 1946 г., Арон занимал одно из главных мест в редакции журнала «Temps modernes», издаваемого Сартром. Одной из первых работ Арона была книга «Введение в философию истории» (1933) [5]. Она написана под сильным воздействием феноменологической философии Гуссерля, особенно распространенной во Франции в 30-е гг., и воззрений Макса Вебера, пожалуй, наиболее влиятельного из буржуазных социологов начала XX в. История, по мнению Арона, не является объективной наукой, подобно физике или биологии, и поэтому бессмысленно говорить об исторической закономерности. «Исторический факт, — утверждает Арон, — по

сути своей не сводим к закону, и основой истории является случай» [5, с. 20] Она — знание, нацеленное на историческое бытие человека, и наиболее характерным ее признаком является ее временной характер, подобно тому, как естествознание характеризуется нашим первоначальным опытом пространственности. Нетрудно увидеть в этих мыслях типично феноменологический уклон, данный в сильной хайдеггеровской окраске. «То, что притягивало Арона к феноменологии, — замечает современный французский критик Пьер Тротиньон, — было, несомненно, его стремление обнаружить общую основу существования и знания» [9, с. 120]. Феноменологический метод, примененный к истории, впервые пробудил интерес Арона к связи между знанием и практикой, между мыслью о природе общественного устройства и решением чисто политических задач. Впоследствии Арон не раз будет менять свои взгляды, но отмеченная установка навсегда останется для него ос новополагающей, даже когда он попытается решить ее в негативном смысле, резко выступая (в полемике с Сартром) против всякого рода открытого политического «ангажмента» писателя или ученого.

Концепция социологии Арона несет на себе печать этих философских рефлексий. И хотя, уже после второй мировой войны, Арон достаточно определенно отрекся от своей феноменологической интерпретации истории, предлагая новую социологическую ее интерпретацию, следы первой сохранились и во второй. Даже в стремлении определить социологию не через сведение ее к внеположным дисциплинам, а через самое себя, чувствуется явный привкус бывших феноменологических увлечений. Мы увидим это в самом процессе нижеследующего анализа.

*
* * *

Арон начинает с признания неопределенности самого понятия социологии. «В одном и, быть может, единственном пункте, — пишет он, — согласны все социологи: в трудности определения социологии» [6, с. 13]. Для выяснения этого вопроса он пытается сопоставить социологию с философией, с одной стороны, и с политической экономией — с другой.

Что значит философствовать, спрашивает Арон. Его ответ прост: философствовать — значит спрашивать себя, что такое философия. Одни утверждают, что философы ни в чем не ладят друг с другом, другие настаивают на противоположном, полагая, что философы всегда говорят одно и то же. По Арону, истинны эти оба мнения. Философия ничего не решает окончательно, и тем не менее ее проблематика принадлежит к числу старейших. В конечном счете она не знает, что она есть, но знает, что она не есть, а именно, что она не есть частная наука. Социология, совпадая с философией в незнании того, что она есть, отличается от нее знанием того, чем она хочет быть, а именно — частной наукой.

Что касается политической экономии, которую Арон считает наиболее развитой из всех общественных наук, то ее преимущество он усматривает, во-первых, в ограниченности и изолированности ее сферы и, во-вторых, в выработке собственного метода. Политической экономии присущ одновременный рост исследования действительности и осознания собственных процедур. Законы развития она устанавливает

в строго абстрактных формулах и усиленно применяет их в отношении исторического процесса.

Итак, социология, заключает Арон, отличается от философии своим стремлением стать частной наукой, а от политической экономии ее отделяет нежелание замкнуться в анализе одной изолированной области социальной действительности. Она хочет быть частной наукой, исследующей всю целостность общества. Именно в точке совпадения этих двух притязаний и начинается, согласно Арону, проблема социологии, вызвавшая и продолжающая вызывать к жизни многочисленные споры самых различных концепций и школ.

Арон предвидит возражение в связи с неправомерностью тенденции образовать науку о глобальной социальной действительности. Ведь к моменту возникновения социологии уже существовали отдельные общественные дисциплины, но если так, то в чем же тогда своеобразие социологии как науки? Можно было бы ответить на этот вопрос, сведя оригинальность социологии к нормам научной строгости. Однако Арон отвергает этот вариант. «Никогда», — утверждает он, — наука не определялась в силу одной лишь воли быть наукой. Более того, что касается социологии, существует опасность, что эзмерная щепетильность приведет к бесплодности поиска. Некоторые критики из Соединенных Штатов утверждают в шутку, что тратятся огромные средства и время на то, чтобы все с большей строгостью выставлять все менее интересные положения». [6, с. 17]. Другой вариант ответа заключается в определении социологии через ее предмет; существуют явления, не изучаемые прочими дисциплинами, как-то: семья, социальные прослойки, отношения между секторами действительности, например, между политикой и экономикой. Именно эти явления и образуют специфический предмет социологии. Но Арон сомневается в окончательности и этого ответа. Указанные явления имеют, по его мнению, не обособленную значимость, а возможны лишь в целостном круге общественных феноменов. Исследовать их в отрыве от экономического, политического и религиозного фактора бессмысленно и невозможно. Аналогичным образом терпят крушение и попытки определить социологию через соотносительность с другими общественными науками. Арон рассматривает две такие попытки соотносить социологию с психологией и историей. По отношению к психологии, считает он, социальные явления представляют собою совершенно специфический предмет, требующий своей науки, так как значимость социальных поступков лежит в иной плоскости, чем явления, изучаемые психологией. Что касается истории, то социология совпадает с ней в общности тенденции, стремясь к истолкованию социальных феноменов посредством общих категорий, указывающих на закономерности. И тем не менее, собственный предмет социологии требует большей спецификации.

Арон поясняет свою мысль на примере крупнейшего французского социолога конца XIX — начала XX вв. Э. Дюркгейма. Дюркгейм пытался определить социологию через своеобразие социального феномена, рассматриваемого как нечто выходящее за рамки индивидуальных сознаний; его целью было создание классификации социальных типов, от наиболее простого типа общества («орда») до сложнейших. При этом он намеревался уяснить структуру каждого общества и установить взаимоотношения различных структур в ходе исторического процесса [17].

Этой дюркгеймовской модели Арон противопоставляет концепцию Макса Вебера, оказавшую — хотя и с оговорками — решительное влияние на его собственную концепцию. Макс Вебер преследовал цель

воссоздать целостность общества на основе межличностных отношений; он исходил из политических, экономических, юридических категорий, позволявших ему определять основополагающие типы политических, экономических и юридических структур, и лишь после этого он рассматривал их в становлении исторического процесса [15, с. 1—46]. Опираясь на учение Вебера, Арон выделяет три основные задачи социологии, от реализации которых зависит ее научный статус. Это, во-первых, определение социального, во-вторых, анализ согласованности социальных явлений и, наконец, в-третьих, охват исторически разнообразных типов.

Первая трудность, с которой предстоит столкнуться социологу, состоит, по мысли Арона, в самом определении социального. Если социология хочет быть одновременно и научной и синтетической (всехватывающей) дисциплиной, она должна четко уяснить себе предмет своего исследования. Но здесь ее поджидают весьма сложные затруднения. Можно, например, удовлетвориться формальной дефиницией социального, как сферы межличностных отношений, но тогда социология при всех своих намерениях быть синтетичной окажется частной дисциплиной наряду с прочими общественными науками. Если же, с другой стороны, определить социальное на манер Дюркгейма, то социология будет притязать на глобальное соединение всех общественных наук и на право быть принципом их единства [17, с. 1—46]. Арон отмечает и другую опасность. Определение социального, каким бы оно ни было, считает он, придадо бы социологии не только научную, но и философскую авторитетность. Отсюда, по его мнению, проистекает так называемый социологизм, или стремление объяснить с социальной точки зрения все жизненные явления, включая нравственность и познание [6].

Но социология не может быть сведена к социологизму. «Ничто, — пишет Арон, — не было столь опасным для развития социологии во Франции, как тенденция смешивать социологию с социологизмом» [6]. Влияние Дюркгейма в этом отношении оценивается Ароном в негативном смысле.

Точка зрения самого Арона вкратце сводится к следующему. Он открыто подчеркивает свою враждебность ко всякого рода социологическим интерпретациям, претендующим на глобальность. Вслед за Л. Брюнsvиком [8], он склонен считать за образец социолога мыслителя типа Монтескье. «Примем раз и навсегда, что одной из величайших книг французской социологии является книга «О духе законов», даже если в этой книге Монтескье нет ни одного фактического положения, которое не требовало бы сегодня коррекций соответственно углублению знания.» [6, с. 21]. К чему приводит так называемый социологизм, Арон демонстрирует на примере Ж.-П. Сартра, своего бывшего однокурсника и друга. «Моралистом, затерявшимся в джунглях политики», называет он Сартра [11, с. 50].

Таким образом, социология, по мнению Арона, оказывается зажатой между двумя интенциями: научной, с одной стороны, и синтетической — с другой. В первом случае она сводится к собиранию деталей анкетного порядка, во втором ей грозит опасность быть растворенной в философии. Представители первой крайности избегают принципиально общих вопросов и ограничиваются деталями. «Между тем, — пишет Арон, — само отсутствие этих вопросов... свидетельствует уже об их своеобразной постановке. В социологии, как в философии, не философствовать — значит уже философствовать». [6, с. 22]. Техника обращения с деталями не должна вытеснять целое; в противном слу-

чае социология перестанет быть наукой. С другой стороны, синтетическая установка зиждется на политической основе. Не случайно, что все писавшие на социологические темы были либо участниками, либо наблюдателями политической действительности. Таков Фукидид, автор «Пелопонесской войны», которую он написал, потому что стал жертвой несправедливости афинян; именно благодаря тому, что он потерпел поражение, замечает Арон, ему удалось понять борьбу между Спартой и Афинами. Таков и Макиавелли, автор «Рассуждений о первой декаде Тита Ливия» и «Государя».

По этому же поводу Арон обращается к двум, по его мнению, наиболее «подлинным», типично университетским социологам: Эмилию Дюркгейму и Макс Веберу. Оба, считает он, были в высшей степени одержимы политикой. Арон приводит в этой связи высказывание Дюркгейма о том, что социология не стоила бы и часа труда, если бы она не помогала решать социальные проблемы. Аналогично обстоит дело и с Максом Вебером [13, с. 35]. В этой связи Арон формулирует свое понимание существенной социологической установки: быть в обществе, активно выявлять его проблемы, и в то же время быть оторванным от него, чтобы лучше его понять.

Специфика социолога, по мнению Арона, заключается не просто в способности понимать разнообразие социальных явлений. Эта способность в большей степени характерна для историка, который, подобно ботанику, коллекционирующему редкие виды в своем гербарии, наблюдает различные социальные структуры. Социолог не только фиксирует это разнообразие, но старается понять его и вскрыть его имплицитную логику. В качестве модели социологической науки Арон ссылается на книгу известного французского этнолога К. Леви-Стросса «Элементарные структуры родства» [12], в которой рассматриваются многообразные формы родства, образующие множество вариаций на ограниченный круг основных тем. «Постоянство тем, — пишет Арон, — и разнообразие конкретных реализаций — вот та понятность, к которой стремится социолог». [6, с. 24].

Итак, задача социологии, по Арону, сводится к обнаружению общих принципов в исторической данности различных социальных устройств и типов. Так, например, социолог должен уметь находить общие черты, присущие всем экономическим структурам нашего времени, и при этом рассматривать их как вариации на одну и ту же тему. «Все современные типы экономики, — утверждает Арон, — обнаруживают стремление к росту, применяют научные познания к организации труда, предполагают известное распределение рабочей силы между различными участками. Можно увеличить число общих черт, присущих различным экономикам, и одновременно нужно определить то, что их различает» [6, с. 25].

Понимание путем конфронтации — таков вывод Арона. Он распространяет его и на политические структуры. Основная цель социологии, в этом смысле, заключается не в анализе и не в дефиниции социального, а в определении основных типов социальной организации, скрытой логики общественной жизни. Но и в этом случае Арон предвидит возражение: не значит ли это, что социолог жертвует наукой ради философии?

Приведенное возражение считает Арон лишено резона, так как сама научность социологии далеко не всегда является бесспорной. Если, скажем, социолог интерпретирует общественную жизнь, исходя из экономического режима, то подобная интерпретация приемлема при условии, что она лишена абсолютных притязаний и рассматривает се-

бя в качестве одной из возможных. Но если она сводит к экономическим явлениям всю совокупность жизни и в то же время претендует на то, чтобы считаться научной, она прекращает быть таковою, поскольку она приписывает социальной действительности некую упрощенную структуру, которой та, по сути дела, лишена. «В той мере, в какой эти теории принимают свою партикулярность, они суть научные. В той мере, в какой они притязают быть верной, подлинной, универсально значимой репродукцией социальных структур, они перестают быть научными» [6, с. 26]. Нетрудно убедиться, что в приведенных словах мы сталкиваемся с очередным выпадом французского социолога против марксистской теории, причем выпадом, заведомо искажающим свой объект. Ниже в критическом осмыслении концепции Арона мы с большей подробностью остановимся на прояснении этой фальсификации.

В своей упомянутой нами работе, датированной 1933 г., «Введение в философию истории», отмеченной, как мы говорили уже, сильным влиянием Макса Вебера и гуссерлевской феноменологии, Арон подвергает ревизии собственные воззрения и переосмысляет в этой связи свое отношение к Макс Вебру. Релятивизм последнего коренится, согласно Арону, в неокантианском понятии реальности, из которого исходил Вебер в своей социологической теории. Реальность в понимании Вебера (имеется в виду социальная реальность) бесформенна и распадается на отдельные факты. Поскольку же социолог сталкивается с бессвязными фактами и с помощью понятий вносит в них порядок, позволяющий ему осознать их, то интерпретация очевидным образом приобретает зависимость от системы понятий, в то время как последняя зависит от партикулярной ситуации самого наблюдателя [16]. Арон возражает на это, утверждая, что общество не является бессвязной множественностью факторов. Социальная реальность, по его мнению, ни целостна, ни бессвязна, и, следовательно, всякое догматическое утверждение как универсальной значимости теории социальных типов, так и релятивизма всех теорий, обречено на неудачу. «Если Макс Вебер был прав, — пишет Арон, — если социальные факты бессвязны, тогда всякая интерпретация была бы обложена дополнительными фактами и в силу этого связана с личностью самого социолога». [6, с. 27]. Но, с другой стороны, если бы социальная реальность была бы полностью структурированной, если бы она обладала тотальным единством, или если бы одна часть этой реальности подчиняла себе все остальные, в таком случае существовала бы лишь одна единственная истинная социологическая теория. Неверны, по Арону, обе крайности. Социальную реальность он не мыслит ни в аспекте бессвязности, ни в аспекте целостности; она состоит из множеств частичных порядков и не включает в себя некий глобальный порядок. Социолог, утверждает Арон, не создает произвольно логику анализируемых им социальных поведений. Наблюдая, скажем, экономическую систему, исследователь имеет дело с порядком, присущим самой этой системе, а не внесенным им самим, но этот порядок не однозначен и допускает самые различные возможности подхода.

Таким образом, Арон резюмирует свое понимание социологии в отрицании двух догматических, по его мнению, крайностей, из которых одна претендует быть единственно истинной и универсальной системой общественной жизни, а другая стремится к полной релятивизации социологических интерпретаций. Подтверждение этой концепции он пытается найти в истории развития социологических теорий. Первые шаги социологии отмечены, по его мнению, собиранием фактов; прогресс

научного знания зависит от роста фактического материала. Затем наступает черед проблематики: ставятся новые вопросы, переосмысливаются сами проблемы, возникновение которых было бы нелепо без конкретных фактов. Так, считает Арон, именно перманентная безработица, охватившая Англию в 30-е гг., вызвала к жизни «Общую теорию» Д. М. Кейнса [17]. С другой стороны, социология религий Макса Вебера обусловлена лежащим в ее основаниях протестантским духом, раздираемым необходимостью рационального общества и стремлением к религиозности. И, наконец, проблематика приводит к прогрессу теории, который, по мнению Арона, не сводится ни к собиранию фактов, ни к историческому обновлению проблем. Существенный признак его, пишет Арон, «очистка концептуальных инструментов, с помощью которых пытаются понять социальную действительность» [6, 28].

Такова, согласно Арону, норма социологической теории. Ее реальность, однако, оказывается иной. Арон полагает, что социология на данном этапе развития далека еще от того, чтобы иметь в своем распоряжении систему социологических понятий, которые позволили бы исследователю достоверно охватывать совокупность коллективных устройств. Возможно, что эта система универсально значимых понятий не существует или, по крайней мере, возможно, что она будет доведена (при ее наличии) до такой степени формализации, что перестанет быть пригодной для анализа конкретных социальных отношений. Остается поэтому довольствоваться наличным, теми тремя существенными признаками, которые, по мнению Арона, характеризуют понятие социологии: 1) стремление по возможности точно фиксировать факты, 2) регулярная постановка новых вопросов, исходящая из самих фактических данных, 3) очищение и приведение к большей строгости концептуального аппарата, посредством которого интерпретируется социальная действительность.

*
* *

Переходя теперь к критическому осмыслению вышеизложенного, мы считаем необходимым прежде всего напомнить слова В. И. Ленина, обращенные к социологам-марксистам и являющиеся методологической установкой для всякого марксистского социологического исследования. Говоря о буржуазных социологах, В. И. Ленин призвал марксистских социологов не к огульному отрицанию противоположных взглядов, а к их критической переработке; это значит «уметь отсечь их реакционную тенденцию, уметь вести свою линию и бороться со всей линией враждебных нам сил и классов», но при этом установка В. И. Ленина предполагает и иное умение: «усвоить себе и переработать те завоевания», которые имеются в трудах буржуазных социологов [2, с. 328]. Именно этой установкой следует руководствоваться и в критике ароновского понимания социологии.

Отметим с самого же начала общую логическую неудовлетворительность вышеизложенных мыслей Арона. Отрицая две «догматические» крайности социологической науки, крайность социологического релятивизма, он, по существу, не предлагает взамен ничего нового. Остается неясной его позитивная программа социологии. Перечисленные им три основных признака понятия социологии сами по себе не вызывают возражений по той простой причине, что носят слишком общий характер. Более конкретное логическое рассмотрение выявляет в

них целый ряд вопросов, так и не поставленных Ароном. Что значит, например, стремление по возможности точно фиксировать факты? Не покоится ли сама возможность **точной** фиксации фактов на предварительных установках самого социолога? Ведь если Арон отвергает как бессвязность фактов социальной действительности, так и их единство, полагая, что в том и другом случае наблюдение фактов обуславливается личностью самого социолога, то разве не обуславливается личностью социолога (в данном случае самого Арона) это неопределенное отрицание? Так или иначе, но концепция самого Арона исходит отнюдь не из безличной фиксации фактов. Фальсифицируя, например, марксово экономическое учение приписыванием ему той абсолютности, которой в нем нет, разве не обнаруживает он не только отсутствие безличной установки, но и, напротив, прямую пристрастность? Во всяком случае, трудно предположить незнание Ароном следующего отрывка из письма Ф. Энгельса Иозефу Блоху: «Согласно материалистическому пониманию истории, — пишет Энгельс, — в историческом процессе определяющим моментом **в конечном счете** является производство и воспроизводство действительной жизни. Ни я, ни Маркс большего никогда не утверждали. Если же кто-нибудь искажает это положение в том смысле, что экономический момент является **будто единственно** определяющим моментом, то он превращает это утверждение в ничего не говорящую, абстрактную, бессмысленную фразу. Экономическое положение — это базис, но на ход исторической борьбы также оказывают влияние и во многих случаях определяют преимущественно **форму** ее различные моменты надстройки: политические формы классовой борьбы и ее результаты — государственный строй, установленный победившим классом после выигранного сражения, и т. п., правовые формы и даже отражение всех этих действительных битв в мозгу участников, политические, юридические, философские теории, религиозные воззрения и их дальнейшее развитие в систему догм [1, с. 394—395].

Характерной особенностью ароновской концепции является противоречивость между теоретическими претензиями на строгость научных процедур и чисто практическими, в конечном счете, классовыми установками. Не выдерживает критики уже эта претензия на научную строгость. Арон утверждает, что социологическая наука должна базироваться на эмпирическом и аналитическом фундаменте социальных фактов, из которых затем выводятся теоретические обобщения [7, с. 6]. Советский исследователь В. П. Трофимов справедливо замечает по этому поводу: «Эта плоская схема познания, несомненно претерпевшая сильное влияние идей логического позитивизма, в лучшем случае топчется перед фактами, бессильная вскрыть суть общественного прогресса, так же как сделать научно обоснованное предвидение, касающееся дальнейшего социального развития» [4, с. 66]. С другой стороны, эта «плоская схема познания» обусловлена классовой позицией Арона. Он совершенно верно утверждает реальную политическую подоплеку всех социологических учений от Фукидида (!) до Дюркгейма и М. Вебера. Но почему же, вскрывая, скажем, протестантские симпатии в социологии религий Макса Вебера, он ни словом не обмолвливается о своих симпатиях? Не потому ли, что, обнаружив их, он разоблачит истинную суть своего «теоретического» антикоммунизма? Впрочем, вот еще одна выразительная цитата из его книги: «Подлинная опасность, — пишет он, — в том, что социологи всегда **парциальны**, они изучают часть действительности, претендуя изучать все. Им присуща тенденция замечать особенно красивые стороны обществ, которые они пред-

почитают, и мрачные стороны обществ, к которым они не испытывают симпатий. Социолог становится политиком, даже не желая этого, не тогда, когда он время от времени высказывает оценочное суждение — в конце концов, вы вольны делать это, — но когда он поддается главному греху политика, и, увы, также и ученого, который заключается в том, что видят то, что хочется видеть». [6, с. 30]. Это — очень откровенное признание, и оно проливает свет на концепцию самого Арона. Точная фиксация фактов, на которых должна основываться социологическая наука, оказывается на проверку игрой симпатий и антипатий.

Оценивая концепцию социологии Арона на фоне буржуазной социологии XX в., мы должны сказать, что теоретически она мало что прибавляет к признанным и влиятельным социологическим доктринам Запада. Более того, она даже проигрывает по сравнению с воззрениями как Дюркгейма, так и М. Вебера, которые, при всей их принципиальной неприемлемости для нас, отличаются все-таки гораздо большей основательностью и солидностью. Начав с трудности определения социологии, Арон кончил, по существу, все той же трудностью; предмет социологии и ее назначение хоть и характеризуются им в достаточно ясных выражениях, но так и остаются, в конечном счете, под властью абстракций. Справедливость требует заметить, что в ряде случаев Арон весьма четко фиксирует некоторые слабости и искажения различных концепций социологии. Так, мы можем согласиться с его критикой в адрес теорий, преследующих либо глобальные цели, либо занимающихся бесплодным собиранием деталей. И в этом пункте поучительным остается правило В. И. Ленина, высказанное им в отношении философии, но вполне применимое и к социологии: «Когда один идеалист критикует основы идеализма другого идеалиста, от этого всегда выигрывает материализм». [3, с. 255].

Как бы ни было, решающим остается одно: не правильность теории, взятой обособленно, а правильность или неправильность ее на фоне практики. К каким последствиям привело Арона его понятие социологии — тема особого разговора, выходящая за рамки настоящей статьи. Заметим лишь, что эти последствия не потому оказались антикоммунистическими, что таков был ход объективного научного анализа, проделанного Ароном, а потому, что, оказавшись последствиями в писательской и лекторской деятельности Арона, они на самом деле были и причинами, вынуждавшими его, говоря его же словами, видеть то, что ему хотелось видеть, и не видеть того, что ему не хотелось видеть.

При этом заметим в заключение: даже апелляция к «строгости концептуального аппарата» не спасает буржуазного социолога от признания партийности своей науки; что же такое «партиальность», о которой говорит Арон, как не партийность! Но отличительной чертой марксистского ученого является то, что в противоположность Арону, которому не остается ничего иного, как сетовать на этот факт, он не только полностью осознает ситуацию и считается с ней, но и считает ее необходимым условием своего исследовательского поиска.

ЛИТЕРАТУРА

1. Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 37.
2. Ленин В. И. Соч., т. 14.
3. Ленин В. И. Соч., т. 29.
4. Трофимов В. П. Технологический детерминизм и общественный прогресс. М., 1972.

5. Aron R., Introduction à la philosophie de l'histoire, Paris, 1968.
6. Aron R., Dix-huit leçons sur la société industrielle, Paris, 1962.
7. Aron R., Les desillusions du progres, Paris, 1969.
8. Brunschvicg L., Le progres de la conscience dans la philosophie occidentale, Paris, 1927.
9. Durkheim E., Les regles de la méthode sociologique, Paris, 1956.
10. Keynes J. M., The general theory of employment, interest and money, London, 1936.
11. „Liberation“, edition speciale: Sartre.
12. Levi-Strausse C., Les structures élémentaires de la parenté, Paris, 1949.
13. Mommsen W., Max Weber und die deutsche Politik, München, 1965.
14. Tpotignon P., Les philosophes francais d'aujourd'hui, Paris, 1977.
15. Weber M., Die protestantische Ethik, München—Hamburg, 1965.
16. Weber M., Soziologie, weltgeschichtliche Analysen. Politik, Stuttgart, 1956.
Его же, Gesammelte Aupsätze zur soziologie und sozialpolitik, Tübingen, 1924.
17. Simmel G., Soziologie, Leipzig. 1908.

Представлена членом-корреспондентом АН Грузинской ССР
Джиоевым О. И.

ინერ მუხანებრაჰი

ადამიანი და კანტის რაციონალური რელიგია

საზღვრები, რომელშიც კანტმა ადამიანის უნარები მოაქცია, კარგად ჩანს იმ ნაშრომში, რომელიც რელიგიის საკითხებს ეხება. კანტისათვის რელიგია არ წარმოადგენს მორალური თეორიის საფუძველს, არამედ პირიქით, მისი მთელი რელიგიური პოზიცია ეყრდნობა მორალურ მოძღვრებას. კერძოდ, ადამიანის მორალურ ბუნებას. მოკლედ განვიხილოთ კანტის თვალსაზრისი რელიგიაზე.

რელიგიური რწმენა, კანტის აზრით, ეყრდნობა ჩვენს ზნეობრივ მიდრეკილებას. ამიტომ რელიგიას აქვს ეთიკური ბუნება. პირველმა „კრიტიკამ“ გამოიკვლია, რომ თეორიული შემეცნებითი უნარებია გრძნობა და განსჯა. შემეცნების ობიექტები კი გრძნობადი მოვლენებია, მაგრამ არა ზეგრძნობადი საგნები. ზეგრძნობადი საგნები მოაზრებადია, მაგრამ შეუშეცნებადი. ისინი გონების პოსტულატებია და არა განსჯის ობიექტები, მორალური იდეები და არა შეცნირების საგანი. ის, რაც ქმნის რელიგიის შინაარსს, დემონსტრაციული გზით არ შეიმეცნება, რელიგიურ ობიექტთა არსებობა ამ გზით არ მტკიცდება, ის სულ სხვაგვარად უნდა იქნეს მოძებნილი, ვიდრე ემპირიული ობიექტები. გონების კრიტიკამ უჩვენა გზა შემეცნებაზე მოძღვრებიდან რწმენაზე მოძღვრებისაკენ.

შემეცნება ცდას ვერ გაცდება, უპირობოს შემეცნება შეუძლებელია. მხოლოდ ზნეობრივი კანონი გვაძლევს მითითებას, რომ არსებობს თავისუფლება. თუ დეკარტისათვის არქიმედეს საყრდენი აზროვნების უქვევლობაა, კანტისათვის ასეთია თავისუფლების უ ე ქ ე ლ ო ბ ა. ამიტომ პრაქტიკული გონების კრიტიკამ ღმერთის იდეისა და უკვდავების რელიზაციას მიაღწია თავისუფლების იდეით. ამით მან დაადგინა გონების რწმენის ობიექტები. სათნოებაზე მოძღვრებამ კი მოგვცა გასაღები რელიგიის გაგებისათვის, რახან მორალური კანონმდებლობისადმი რწმენა ეყრდნობა სათნო, ანუ მოვალეობის შესატყვის განწყობილებას.

რელიგია დამოუკიდებელია თეორიული გონებისაგან, მაგრამ ეყრდნობა პრაქტიკულ გონებას. ეს არის კანტის მოძღვრების ქვაკუთხედი. რელიგიისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია 1783 წ. დაწერილი „რელიგია მხოლოდ გონების ფარგლებში“ (ამ საკითხის განხილვისას ჩვენ ძირითადად ამ ნაწარმოებს დავყრდნობით).

პირველ „კრიტიკაში“ კანტი განიხილავს ღმერთის არსებობის მტკიცების არაერთ არგუმენტს და ყველა შემთხვევაში უარყოფს მათი დამტკიცების შესაძლებლობას მოცემული „კრიტიკის“ ფარგლებში. ეს უარყოფა კანტს სულაც არ აღელვებს. რადგან როგორც ერთგან მიუთითებდა იგი, ასეთი საბუთები დიდი ღირებულებისა მაინც არ იქნებოდა, რადგან თუნდაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო ღმერთის ცნების დადგენა წმინდა თეორიული გზით, ანუ ღმერთი, როგორც პირველსაწყისი, გაგებულებით ბუნების უბრალო მიზეზად, აქედან ძალზედ ძნელი იქნებოდა მორალურ სამყაროსთან მისი თანხმობაში მოყვანა.

ლმერთის დასაბუთების ყოველი რაციონალური გზა უნაყოფოა, რადგან მისით მიღწეული შედეგის დაცვაც და უარყოფაც ერთნაირი ძალით ხდება. თუ რატომ — ამაზე პირველმა „კრიტიკამ“ უპასუხა. გონების გაფართოება ცდის მიღმა არის „ფანტაზიორობა“, გონების უკანონო გამოყენება. მას არ ძალუძს ლმერთისა და თავისუფლების შემეცნება, რწმენა ეყრდნობა არა აზრებს, არამედ გონების სურვილს. მისი საფუძველია არა თეორიული, არამედ პრაქტიკული გონება. ეს რწმენა რაციონალურია; მას სჯერა რომ თავისუფლებაა, ღმერთი და უკვდავება არსებობს.

რაციონალური რწმენა თეორიულზე კი არა, გონების პრაქტიკულ მოთხოვნილებაზეა დაყრდნობილი. ეს რწმენა ეხება ისეთ ინტელიგიბელურ ობიექტებს, როგორებიცაა თავისუფლება, ღმერთი, უკვდავება. რწმენაზე მოძღვრებას აქვს მორალური მნიშვნელობა. ჯანსაღი გონება არის რელიგიური რწმენის საფუძველი. თუ რელიგიისა და რწმენის საკითხებში გონებას ხმა არ ექნება, მაშინ გონება კარგავს რწმენას და რწმენა გონებას. რაც, ერთის მხრივ, გზას უხსნის ცრურწმენებს, მეორეს მხრივ — ურწმუნობას.

თუ გონებას ხმა არ ექნება რწმენის სფეროში, მაშინ მოიხსობა აზროვნების თავისუფლება.

კანტის ეთიკის განხილვისას ნათელი ხდება, რომ მორალური კანონის ცნობიერება კანტის აზროვნების ძირითადი ელემენტია. ის არის წმინდა პრაქტიკული გონების აბსოლუტური ფაქტი, რომლიდანაც ამოიზარდა მორალის სისტემა. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი კანტი აშენებს თავის რელიგიურ აზროვნებას, რომლის საფუძველია უმაღლესი სიკეთის ცნება, აღამიანური ცხოვრების სრული და სრულყოფილი მიზნის მორალურად რაციონალური იდეალი.

სამყაროში ერთადერთი ორიენტირი, კომპასი არის ერთ შემთხვევაში გონება შემეცნების სახით, მეორეში გონება რწმენის სახით. ერთია მოძღვრება შემეცნებაზე, მეორეა მოძღვრება სიბრძნეზე (თავისუფლებაზე, ზნეობაზე), რომელიც თანხმობაშია რაციონალურ რწმენასთან და ჯანსაღ აზრთან.

მეორე „კრიტიკაში“ კანტი მიუთითებს, რომ ადამიანს, როგორც გარკვეულ დროში და გარკვეულ სივრცეში მოცემულ ინდივიდს არ ძალუძს ამ სამყაროში მიაღწიოს სრულყოფილებას. რადგან უმთავრესი პირობა უმაღლესი სიკეთისა არის განზრახვათა სრული შესაბამისობა მორალურ კანონთან. ეს კი შეიცავს სრულყოფილების ისეთ ხარისხს, რომელსაც შეუძლებელია მიაღწიოს გონიერმა ადამიანმა გრძნობად სამყაროში. მაგრამ მორალური კანონი გვევალდებულებს უმაღლესი სიკეთისათვის ბრძოლას. ის უნდა დავუშვათ როგორც „ჩვენი ნების რეალური ობიექტი“. ამას კი მხოლოდ მაშინ შევძლებთ თუ დავუშვებთ ისეთი არსების არსებობას, რომლისთვისაც მოაზრებადია სულის უკვდავება: უმაღლესი სიკეთე პრაქტიკულად შესაძლებელია მხოლოდ სულის უკვდავების დაშვების საფუძველზე. ეს სული კი მოუწყვეტლად დავაუშირებელია მორალურ კანონთან, იგი წმინდა პრაქტიკული გონების პოსტულატია.

იმისათვის რომ ეს უმაღლესი სიკეთე იქნეს მიღწეული, რომ ვეზიაროთ ინტელიგიბელურ სამყაროში summum bonum-ს აუცილებელია, როგორც სათნოება, ასევე ბედნიერება (ნეტარება), სათნოება არის მორალური ღირსება, მიღწეული მორალური კანონისადმი დაქვემდებარებით, ხოლო ბედნიერება (ნეტარება) არის ადამიანის (გონიერი არსების) ისეთი მდგომარეობა, როდესაც ნება ბატონობს სურვილებზე.

კანტისათვის მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის სათნო ქცევა. ადამიანმა მისი მოვალეობა უნდა შეასრულოს მორალური კანონისადმი წმინდა პატივისცემით აღძრულმა, და არა მეს ინტერესების დაკმაყოფილების ზრუნვით შეპყრობილმა, ემპირიულ კმაყოფილებას გამოდევნებულმა.

თუმცა სათნოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანტთან, რადგან ის არის უმაღლესი სიკეთე, მაინც ადამიანური ცხოვრების სრულყოფისათვის მას აუცილებლად უნდა დაემატოს ბედნიერებაც (ნეტარება). რაციონალურ-მორალურ სამყაროში ბედნიერება შესაბამისი უნდა იყოს სათნოებისა, უნდა ექვემდებარებოდეს მას და მასთან ერთად ქმნიდეს სრულყოფილ ერთიანობას.

უმაღლესი სიკეთის ცნების ქონა აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანი იმყოფებოდეს თანხმობაში მორალურ მიზნებთან და იყოს დარწმუნებული სამყაროს სისტემატურ მორალურ წესრიგში (ე. ი. იმაში, რომ სამყაროს გამსჭვალავს მორალური წესრიგი).

სათნოება მიიღწევა ნების აქტებით, მაგრამ ადამიანის სამყაროში ბედნიერება დამოკიდებულია სამყაროში არსებულ წესრიგზე. ბუნების კაუზალობა სხვა წესისაა, ვიდრე მორალური; საგანთა პრაქტიკულ წესრიგში ადამიანმა უნდა იბრძოდეს უმაღლესი სიკეთისათვის. აუცილებლად უნდა იქნეს დაშვებული ასეთად ყოფნის პირობა. ჩვენ ყოველთვის უნდა მივსდევდეთ უმაღლეს სიკეთეს, ამიტომ ის სულ ცოტა, შესაძლებელი მაინც უნდა იყოს.

კანტის აზრით, უმაღლესი სიკეთე შესაძლებელია მხოლოდ იმ დაშვების ძალით, რომ არსებობს ბუნების უმაღლესი მიზეზი, რომელშიც კაუზალობა შეესაბამება მორალურ განზრახვას, მაგრამ ეს ორ რამეს მოითხოვს: 1. არსებობას, რომელსაც შეუძლია მოქმედება იდეის თანახმად, რის გამოც ის არის მოაზროვნე არსება და 2. ისეთ არსებობას, რომლისათვისაც კანონთა შესაბამისი კაუზალობა არის მისი საკუთარი ნება. ამიტომ ბუნების უმაღლესი მიზეზი, რომელიც უნდა დაეუშვათ უმაღლესი სიკეთისათვის, არის არსება, რომელიც არის მიზეზი და ამიტომ შემოქმედიც ბუნებისა.

ამრიგად, თუ ჩვენ მივიღებთ მორალურ კარნახს და დავუშვებთ მისი შესრულების შესაძლებლობას, მაშინ უნდა მივიღოთ ღმერთის არსებობაც.

ღმერთის, უკვდავებისა და თავისუფლების ცნებები აუცილებელია იმისათვის, რომ მათ შესაბამისად უზრუნველყონ სათნოება და ბედნიერება. ღმერთის არსებობის დაშვება აუცილებელია მორალურად და არა თეორიულად (ონტოლოგიურად). ეს უფრო სუბიექტური საჭიროებაა, ვიდრე ობიექტური. ღმერთის მორალური აუცილებლობა სავსებით საკმარისია კანტის მიზნისათვის — ღმერთის ნამდვილობის დადგენისა, სულის უკვდავებისა და მორალური წესრიგისათვის.

კანტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ღმერთის არსებობის ეს მორალური არგუმენტი ყველა სხვა შესაძლო არგუმენტს აღემატება. ასე მაგ.: თუ თეორიული საბუთი იქნა გამოყენებული ღმერთის არსებობის დასადგენად, მაშინ აუცილებელი იქნება მორალის თეოლოგიასთან თანხმობაში მოყვანა (ადვილი შესამჩნევია, რომ კანტისათვის საქმის ასეთი ვითარება მიუღებელი იქნებოდა, რადგან ამით მახინჯდება მისეული ცნება გონებისა, ასეთი მორალი გონების წინაგანად აუცილებელი კანონმდებლობის უნარს დაანგრევს. თეოლოგია კი, როგორც ცნობილია, არ ითვალისწინებს სპეკულაციურ გონების საზღვრებს).

კანტის მთელი შრომა და ცდა პირველ „კრიტიკაში“ მიმართულია იმის ნათელყოფისა და დასაბუთებისაკენ, რომ ადამიანის ცოდნა შემოსაზღვრულია შესაძლო გრძნობადი ცდის სფეროთი, ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ იგი ძალზედ ცოტას ლაპარაკობს ღმერთის ბუნებაზე ან ადამიანის მომავალ (საიქო) ცხოვრებაზე.

თუმცა პრაქტიკული გონება გვიცავს ასეთი გადახრებისაგან, ადამიანს მაინც ძალზედ ხშირად უჩნდება სურვილი ღმერთის ცნებას მისცეს შინაარსი. თუ ამ ტენდენციას გავყვებით, მას შეუძლია დაარღვიოს მორალი, ამიტომ კანტი დიდი სიფრთხილით ეძებს იმ ნიშნებს, თვისებებს, რომელიც უნდა ჰქონდეს ღმერთს ადამიანთან მიმართებაში. ბუნებრივია, კანტის არჩევანი მორალურ თვისებებზე ჩერდება. ღმერთი არის ერთადერთი ნეტარი, ბრძენი, რადგან სწორედ ამ ცნებებს არ აქვთ საზღვარი. ღმერთი არის წმინდა, შემოქმედი, კანონების მომცემი, ქველმოქმედი, დამხმარე და სამართლიანი მსაჯული.

ესაა ღმერთის ის ატრიბუტები, რომლის მეშვეობითაც ღმერთი არის რელიგიის ობიექტი. ყველა სხვა ატრიბუტი, რომელსაც ღმერთი არ მოითხოვს, როგორც რელიგიის ობიექტი მას არ უნდა მივაწეროთ. რადგან მათ ადამიანისათვის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება არ აქვთ. ხოლო მათზე მიმართული სპეკულაცია უსარგებლო და არაფრის მომტანია.

ლექციებში რელიგიაზე კანტი აღნიშნავს, რომ ღმერთის დაშვება აუცილებელია მორალისათვის, რადგან სხვანაირად ყველა სუბიექტურად აუცილებელი მოვალეობანი, რომელიც მე მაკისრია, როგორც მოაზროვნე არსებას, შესრულების შემთხვევაშიც კარგავენ ობიექტურ რეალობას. აქ მორალი დროებით დავიწყებულად კია კანტის მიერ. რატომ უნდა ვაქციო მე საკუთარი თავი ბედნიერების ღირსად ჩემი მორალური ქცევის მეშვეობით, თუ არ არსებობს ისეთი არსება, რომელიც ჩემთვის უზრუნველყოფს ამ ბედნიერებას (ეს და სხვა ამის მსგავსი დებულებანი იყო იმის მიზეზი, რომ კანტის რელიგიურ მოძღვრებას პედონიზმის ბრალდება წაუყენეს, თითქოს კანტი სათნოებას ბედნიერებისათვის უბრალოდ ინსტრუმენტად მიიჩნევს).

დავუბრუნდეთ ადამიანის მორალურ კანონთან მიმართების საკითხს. ადამიანმა უნდა იმოქმედოს პრაქტიკული გონების კატეგორიული ბრძანების პატივისცემით და არა რაიმე სხვა გარე მიზნისათვის, მაგრამ ადამიანი როგორც რელიგიური პიროვნება, აცნობიერებს, რომ მისი იდეალები და მიზნები, აგრეთვე ღმერთის იდეალები, მიზნები და კანონებია და ამ აზრით მისი სიკეთის ჩადენის მოტივი კიდევ მეტად ძლიერდება. მეორე „კრიტიკაში“ კანტი ამბობს, რომ მორალზე მოძღვრება გვასწავლის არა იმას, თუ როგორ გავხდეთ ბედნიერნი, „არამედ იმას, თუ როგორ უნდა გავხდეთ ბედნიერების ღირსი. თუ რელიგია დაემატება მორალს, მაშინ შეიძლება გაჩნდეს იმის იმედი, რომ ოდესმე ვიქნებით ბედნიერნი იმდენად, რამდენადაც ამის ღირსნი ვართ“. ეთიკაზე ლექციებში კანტი მიუთითებს: „მორალი როგორც ასეთი იდეალურია, მაგრამ რელიგია მას გამსჭვალავს სიმკაცრით, მშვენიერებითა და სინამდვილით“ [8, გვ. 60].

უფრო მეტის თქმაც შეიძლება: როცა კანტი ცხადყოფს მიმართებას მორალსა და რელიგიას შორის, ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ ასე უფრო მოსახერხებელია, და ასეთი მორალი უფრო მიმზიდველია, არამედ, ყოველთვის, როცა იგი ამ ორ დისციპლინას ეხება, ხაზს უსვამს იმას, რომ მორალს აუცილებლობით შევყავართ რელიგიაში.

ამის დასადასტურებლად, რომ არაფერი ვთქვათ იმ ნაშრომებზე, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება რელიგიას, გამოდგება სამივე „კრიტიკის“ ის ბოლო გვერდები, რომლებიც კანტმა უძღვნა ადამიანის რელიგიურ სწრაფვებს და რომლებშიც ნათლად ჩანს კანტის პოზიცია, მოუნახოს მყარი საფუძველი რელიგიურ ღირებულებებს და არსად არ გვხვდება ამ რელიგიურ ღირებულებათა დაყვანა წმინდა მორალზე.

ე. ი. კანტისათვის არსებითია რელიგიის ცნება, მაგრამ ამასთან იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ რელიგიის მნიშვნელობას და ღირებულებას მორალისაგან დამოუკიდებლად იგი არ ცნობს.

რწმენის შინაარსს მეცნიერება ვერ გახსნის. რწმენის მამოძრავებელი არ შეიძლება ავტორიტეტი ან შიში იყოს. რწმენის საგანია სამყაროს ისეთი წყობა, სადაც სათნოება და ნეტარება ერთმანეთთანაა შერწყმული. ასეთი წყობისაა მორალური სამყარო, სადაც ღვთაებრივი სამართალი ბატონობს. ეს კი მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ის ეთანხმება მსოფლიოს ზნეობრივ მიზანს. ტელეოლოგიურად მოწესრიგებულ სამყაროში ღვთაებრივი ნება ვლინდება მხატვრული სიბრძნის სახით, მორალური სამყაროს რიგში კი ზნეობრივი სიბრძნის სახით. მხატვრული სიბრძნის სისტემა არის ფიზიკო-თეოლოგია; მორალური სიბრძნისა — ეთიკო-თეოლოგია. ამ ორი სისტემის ერთიანობა არის კიდევ რწმენის საგანი. რა თქმა უნდა, ამ ერთიანობისათვის არ მოგვეპოვება მეცნიერული ცნება, ეს რწმენა ეყრდნობა მხოლოდ მორალურ გონებას და სხვას არაფერს.

რელიგია ეყრდნობა მორალს, მორალი კი მდგომარეობს ჩვენს განწყობილებაში. განწყობილება ქმნის რწმენას. მოვალეობასთან თანხმობაში მყოფი განწყობა კანონისადმი პატივისცემაში გამოვლინდება, რომელიც თრგუნავს ჩვენს ეგოისტურ მისწრაფებებს. კანონისადმი ეს პატივისცემა მიუთითებს, რომ ჩვენ არა ვართ სრულყოფილი. არა ვიწინაა კეთილი, ყოველი ჩვენთაგანი უნდა გახდეს კეთილი. ზნეობრივი სრულყოფა მიზანია, რომლისაკენაც უნდა მივისწრაფოდეთ. ეს მისწრაფება ჩვენი შინაგანი მოთხოვნილებაა, ეს კი ქმნის რწმენის საფუძველს.

ზნეობრივ განწყობილებას უკავშირდება მოთხოვნილება, ამ უკანასკნელს კი რწმენა. განწყობილებაში იმალება საკუთარი უღირსობის, არასრულყოფილების გრძნობა. ჩვენი არასრულყოფილი მდგომარეობა მორალური ბუნებისაა. ამ ნაკლოვანებისგან გათავისუფლება კი არის ჩვენი მიზანი (რელიგიის ტერმინოლოგიით — გამოსყიდვა).

ყოველი რწმენა მოთხოვნილებიდან მოდის და ემსახურება ადამიანის გამოსწორებას, ხოლო ეს მოთხოვნილება გონების მიერაა დანახული. ის მოდის მორალური გონებიდან. ამიტომაც რწმენაც, ამ პირობიდან გამომდინარე, არის წმინდა რაციონალური რწმენა, ანუ „რელიგია მხოლოდ გონების ფარგლებში“.

რელიგიაში ბოროტებისაგან გამოსყიდვის პროცესი სამ საფეხუროვანია: 1. როცა ადამიანი ბოროტებაშია ჩაძირული, 2. როცა ის შეებრძოლება ბოროტებას, 3. როცა ბოროტება დაიძლევა.

მაგრამ სიკეთისა და ბოროტების რელიგიური და მორალური გაგება ერთი და იგივე არ არის. ეთიკა გვაძლევს სიკეთისა და ბოროტების განსაზღვრებას. კეთილია ნება, რომელიც მხოლოდ მოვალეობითაა მოტივირებული, ბოროტია ნება, რომელიც მოვალეობას არ მიჰყვება. რწმენა ამ განსაზღვრებებს არაფერს მატებს, მხოლოდ რელიგიური კუთხით აღრმავებს მათ. რწმენის ობიექტია გა-

მოსყიდვა, ანუ სიკეთის დასრულება. გამოსყიდვა რაიმესაგან გათავისუფლებაა, კერძოდ, ამ შემთხვევაში მორალური უბედურებისაგან, ანუ ბოროტებისაგან.

სიკეთის გამარჯვებისათვის საჭიროა ბოროტების დათრგუნვა, ჩვენში ბოროტების ძირის აღმოფხვრა. მორალი ადგენს, თუ რა არის სიკეთე და რა ბოროტება.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სიკეთე მოვალეობასთან თანხმობაში მყოფი განწყობილებაა, ბოროტება მოვალეობის საწინააღმდეგო. მოვალეობის საწინააღმდეგო მაქსიმის მიღება ზდება ბოროტების წყარო. ეს არის გაბოროტების საფუძველი. მიზეზი, რომელიც განწყობილებას ცვლის, ადამიანის ვარეთ ვერ იქნება. ის თვითონ ადამიანში უნდა ვეძიოთ.

კანტის რიგორიზმი მხოლოდ მოვალეობას ცნობს. რაიმე მისწრაფებასთან მისი აღრევა მიუღებელია. ადამიანი განიხილება, როგორც თავისუფალი, რომელიც ატარებს თანდაყოლილ კარგ და ცუდ თვისებებს. სიკეთისა და ბოროტების წყარო უნდა ვეძიოთ ინტელიგიბელურ ხასიათში. ოღონდ ის არ უნდა აეუბროთ სხვა თანდაყოლილ თვისებებში, რომლებიც ნასახთა სახით გვაქვს, მაგრამ მათი გამოწვევა არ შეიძლება, რადგან მათ არჩევანში თავისუფალნი არ ვართ. ნასახები კი ცხადია, არც კეთილია და არც ბოროტი. რახან მათ შექმნაში ნება აუ მონაწილეობს. ნასახები რომ ხასიათს ქმნიდნენ, ხასიათი ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა და მორალზე ლაპარაკი შეწყდებოდა.

ადამიანი ცოცხალი, მოაზროვნე და მორალური არსებია, ორგანული ბუნება მასში ცხოველურს ქმნის, გონიერი მხარე კი ადამიანურს. გონიერი და მორალური მხარის შეერთება კი აყალიბებს პიროვნებას. სიცოცხლის უნარი ცხოველურია, აზროვნებისა ადამიანური, ზნეობისადმი პატივისცემისა მორალური. ყველა ეს უნარი ერთად აღებული ემსახურება სიკეთეს.

ბოროტება გვხვდება მაშინ, როცა ნებას, ზნეობრივ კანონს დათრგუნავს დაბალი მისწრაფება. როცა მოტივი მიიღებს მაქსიმის სახეს. ადამიანის ქვენა, დაბალი ზრახვები იმარჯვებს მაღალზე და ამით ზეიმობს ბოროტება. ე. ი. ერთადერთი სფერო, სადაც ბოროტება და სიკეთე ერთმანეთს ებრძვიან არის ნება, იმის მიხედვით, თუ ნება რა გზას აირჩევს, რა მაქსიმას მიიღებს, ის კეთილია, ან ბოროტი. ნების მიმართულებას საფუძველად უდევს მიდრეკილება, განწყობა. მიდრეკილება ნებისმიერია, მისწრაფება ბუნებრივი. პირველი თავისუფალია, მეორე არათავისუფალი. ბოროტება არის მიდრეკილება ყველაფერი იმისადმი, რაც არ შედის ზნეობრივ კანონში.

ბოროტება ნებიდან მოდის და არა ბუნებიდან, როცა ნება ზნეობრივ კანონს განუდგება და მისწრაფებებს გააბატონებს, იქმნება ბოროტება. ვინაიდან იგი ნების ნაყოფია, ამიტომ შერაცხადიცაა. ეს არის „ადამიანში რადიკალური ბოროტება“. ბოროტების, ისევე როგორც სიკეთის საფუძველი არის თავისუფლება. თვითონ მიდრეკილებაც თვითნებობის აქტია, თავისუფლება ინტელიგიბელური მიზეზია; დროში ბოროტებებს მიზეზს ვერ ვიპოვით. ბოროტებას ვერ ავხსნით რაიმე წინა მდგომარეობით, მაშინ ეს ბოროტი ქცევა აუცილებელი იქნებოდა. ბოროტი მხოლოდ თავისუფალი ქცევიდან მოდის. ჩვენ რომ ცოდვილნი ვართ, ამას ვერ ავხსნით იმით, რომ ჩვენი წინაპარნიც ცოდვილნი იყვნენ. ბოროტება რომ მემკვიდრეობითი იყოს, ის ბუნებრივი იქნებოდა და არა თავისუფალი. ბოროტების მიზეზი ნებაშია. (კანტი ლებულოს ბიბ-

ლიურ დაცემას, ოღონდ უარყოფს მის მემკვიდრეობითობას. დაცემა ნიშნავს ადამიანში ბოროტი ძირის არსებობას, ყოველ ჩვენგანში ზის ადამი.

პრაქტიკული გონება, კატეგორიული იმპერატივი, ცოთხოვს ჩვენში ბოროტების აღმოფხვრას (ჩვენი ბოროტება აბსოლიტური არ არის, კეთილი ნება ბოლომდე არ კვდება ჩვენში; მას შეუძლია შეებრძოლოს ბოროტს). ეს არის ლტოლვის ნაცვლად ნების მიმართვა ზნეობრივ კანონზე.

კანტი გეთავაზობს მორალურ რელიგიას, რომელიც შესაძლებლად თვლის ადამიანის გამოსწორებას, მაგრამ რომელიც სულაც არ გამოიციხავს დეტალურ მადლს. სიკეთე არის ნება, რომლის ერთადერთი კრიტერიუმი, მაქსიმალური ზნეობრივი კანონი, ანუ კაცობრიობა მის სრულყოფილებაში. ასეთი კაცობრიობა კი იდეალია. ის არ არის რეალური, ზნეობრივი მიზანია ასეთი კაცობრიობის აღზრდა. მაგრამ ეს მიზანი არ არსებობს სამყაროს მორალური შემოქმედის გარეშე. ღმერთმა ამ მიზნით შექმნა სამყარო. ამიტომაც სამყარო ღმერთივით მარადიული.

მორალური იდეალი არის ინდივიდში ადამიანობის (კაცობრიობის — მორალური აზრით გაგებულის) იდეა. ეს იდეალური ინდივიდი არის სრულყოფილი, ანუ ღვთაებრივად განწყობილი ადამიანი „გაადამიანებულნი ღვთის ძე“. ზნეობრივი იდეალი ცდის ობიექტი როდია, ის რწმენის საგანია და არა შემეცნების. ჩვენ გვწამს სიკეთე, როგორც მსოფლიო მიზანი; ეს არის მორალური იდეალი.

ჩვენი მიზანია სიკეთე. სიკეთისაკენ პირველი ნაბიჯია გამოსწორება. ემპირიული მე ეგოისტურია, ბოროტი, მას ჭირდება შეცვლა. ჩვენი ემპირიული ცხოვრება დეტერმინირებულია, მისი შეცვლა შეუძლებელია. ის არაა თავისუფალი. გამოსწორებისათვის აუცილებელია მოხდეს ცვლილება ინტელიგიბელურ ხასიათში. აქ ვლინდება თავისუფლების ძალა. ამიტომ ადამიანს ყოველთვის შეუძლია გამოსწორება. ვინც ვერ ჩავა ნების ძირში ის არცაა თავისუფალი, ის სავანთა და გარემოებათა ტყვეა, მხოლოდ თავისუფალ ნებას ძალუმს ემპირიული ბუნების შეცვლა (ქრისტიანობაში ადამიანის გამოსწორებით მიიღწევა გამოსყიდვა). ცოდვას უნდა შეუერთოთ დასჯაც. რადგან ნება ვანუღდა ზნეობრივ კანონს (ამ შემთხვევაში დასჯაში იგულისხმება მორალური დასჯა, რომლის მიზანია დასჯილის გამოსწორება, ეს სასჯელი დაიმსახურა ბოროტმა განზრახვამ. დასჯის საფუძველია მარადიული ღვთაებრივი, და არა სამოქალაქო კანონი).

სიკეთის პრინციპი ადამიანისაგან მოითხოვს: ა) რწმენას მორალური იდეალისა, ბ) სიკეთისაკენ სწრაფვას, გ) ტანჯვის მიღებას, რასაც კეთილი განწყობა მოჰყვება. კეთილი განწყობა არის საფუძველი სიკეთის პრინციპის ბოროტზე გამარჯვებისა. მიზანია კაცობრიობაში სიკეთის გაბატონება. ამისათვის კი საჭიროა ბოროტი ძირის ამოძირკვა, ამით მიიღწევა მორალური სახელმწიფო, ანუ ეთიკური საზოგადოება, სადაც კანონი ბატონობს სულის განწყობით, ძიუღების გარეშე.

ეთიკური სახელმწიფო მიზანია ადამიანთა გვარისა. ამავე დროს ის არის ადამიანის გვარის მოვალეობა. ეთიკური სახელმწიფო „ღვთის სამეფოა“. ესაა უხილავი ეკლესია. უხილავ ეკლესიას ძალა აქვს ყოველი ადამიანისათვის, ის საყოველთაოა და ადამიანებს აერთიანებს ყოველგვარი ძიუღების გარეშე. აქ მიიღწევა თავისუფლების ერთიანობა აუცილებლობასთან.

კანტი შემდეგ ერთმანეთისაგან განასხვავებს უხილავ და ხილულ ეკლესიებს, მოზიემ და მებრძოლ ეკლესიებს. რელიგიურ და საეკლესიო რწმენას და ა. შ. ეხება გამოსყიდვის საიდუმლოს, სამებას, როცა წმინდა რწმენაზე ლაპარაკობს, გამოჰყოფს სამ ძირითად პუნქტს: რადიკალურ ბოროტებას, აღორძინებას და გამოსყიდვას. გარდა ამისა, განიხილავს კულტის, ღვთისმსახურების ცნებებს (ვინაიდან ეს საკითხები თავსდებიან რელიგიის სფეროში, ამიტომ მათ უფრო გამოწვლილვით არც განვიხილავთ).

ჩვენი მიზნისათვის აუცილებელი არ არის დეტალურად განვიხილოთ კანტის თვალსაზრისი ოფიციალური რელიგიის შესახებ, ან მისი დამოკიდებულება ცალკეული ეკლესიებისადმი. საქმარისია იმის თქმა, რომ იგი მიჰყვება ქრისტიანულ რელიგიას. კანტი კარგად იცნობს ბიბლიას და მას ხშირად იყენებს თავის ნაწერებში. ეკლესიების მიმართ კანტი ავრცელებს ერთ წესს: რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ მორალს, ამდენად მისაღებნი არიან, ხოლო რამდენადაც მოითხოვენ მორალის მექანიკურ-ფორმალურ დაცვას, ამით ისინი ბოროტებას ემსახურებიან.

ცხადია, თავისთავად წმინდა საეკლესიო საკითხებს კანტის ანთროპოლოგიისთვის და მასსადამე ჩვენთვისაც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომ დავუბრუნდეთ ჩვენ მთავარ თემას და შევეცადოთ დავამყაროთ კავშირი კანტის რელიგიურ ნააზრევსა და მის ანთროპოლოგიურ ნაშრომს შორის. ასე მაგ.: ნაშრომში: „რელიგია მხოლოდ გონების ფარგლებში“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის განხილული ადამიანში არსებული სიკეთისა და ბოროტების მიმართება, მათ შორის კონფლიქტი. იმავე საკითხს ვხვდებით ნაშრომში: „ანთროპოლოგია პრაგმატული თვალსაზრისით“, დასკვნით ნაწილში. პირველ ნაშრომში ასევე მუდმივად გვხვდება მითითებანი ადამიანის ჩვევებსა და რელიგიურ პრაქტიკაზე. მის ღირსებასა თუ ნაკლოვანებაზე. ხოლო მთლიანად ნაშრომს თუ კარგად დავაკვირდებით ანთროპოლოგიური ნაშრომის ფორმა აქვს, რომელიც მხოლოდ აქა-იქ თუ ბუნდოვანდება, კერძოდ, მაშინ-როცა კანტი მსჯელობს რაციონალური რელიგიის მიზნებზე.

ამას გარდა, არსებობს კანტის რელიგიურ აზროვნებაში უფრო საინტერესო ასპექტები. აქ პირველად არის ადამიანი წარმოდგენილი ერთდროულად, როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ ფენომენად. ადამიანის ის ცნება, რომელსაც კანტი სხვა ნაწარმოებში ვიცნობდით, ამჯერად ახალ, მნიშვნელოვან შინაარსს იძენს.

ადამიანი განხილულია ისეთ რაციონალურ სუბექტად, რომელიც ცხოვრობს (არსებობს) სინამდვილის რაღაც მოცემულ წესრიგში და გარკვეულ ადგილს, პოზიციას იჭერს ამ წესრიგში. ამ კონტექსტში ადამიანს ჩვენ ვხვდავთ ბუნებასთან (ორგანულ სამყაროსთან), სხვა ადამიანებთან და ღმერთთან მიმართებაში.

ცხადია, ადამიანი კანტისათვის ბუნებაზე მეტია, ისაა ბუნების მიზანი, რადგან იგი ეკუთვნის მორალურ სფეროსაც და სწორედ ამით აღემატება ყველა სხვა ცოცხალს. ადამიანი არის ის არსება, რომელსაც შეუძლია დაამყაროს სოციალური და მორალური მიმართება სხვასთან. (სწორედ ესაა მისი ერთ-ერთი არსებითი სპეციფიკა). ადამიანი მიმართულია მიზანთა სამეფოს განხორციელებაზე და ბოლოს, ადამიანი ჩანს მიმართებაში ღმერთთან. უმაღლეს არსებასთან, რომელიც არის მისი პატივისცემისა და თაყვანისცემის ობიექტი და ასევე უმაღლესი სიკეთის მიღწევის იმედი.

ამიტომ, გარკვეული აზრით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კანტის რელიგიური აზროვნება გასაღებია მისი ანთროპოლოგიისა, რადგან მხოლოდ რელიგიურ კონტექსტში იძენს ადამიანი სრულ განზომილებას. მაგრამ ალბათ თვითონ კანტი ეს ინტერპრეტაცია არ მოეწონებოდა, რადგან კანტის ანთროპოლოგია განიხილავს ადამიანის ბუნების ისეთ მხარეებს, რომლებიც მონაწილეობენ როგორც გრძნობად, ასევე ინტელექტუალურ სამყაროში. რელიგია კი, კანტის მიხედვით, არის პრაქტიკული გონებით დადგენილი, მორალურ კანონზე დამყარებული ადამიანური ცდის ფაქტი. ამიტომ, რადგან რელიგიის ცნებები მოდიან ადამიანური ცდიდან, ისინი არ გამოდგებიან ადამიანის კვლევის ლოგიკურ საფუძვლად. პირიქით, კანტისათვის აუცილებელია აჩვენოს, რომ რელიგია მორალის მეშვეობით ეყრდნობა ადამიანის ბუნების ცნებას. რელიგიას შეუძლია ადამიანური ცდის დაგვირგვინება, რომელიც ადამიანს მატებს მნიშვნელობას და ღირებულებას. მაგრამ რელიგიას არ შეუძლია იყოს ის საფუძველი, რომელზედაც შეიძლება ანთროპოლოგიური დასკვნები დაფუძნდეს.

ერთი რამ კი შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კანტის ანთროპოლოგიასა და მის რელიგიურ აზროვნებას შორის მიმართება გვიხსნის იმ გზას, რომლითაც შეიძლება გავგებულნი იქნეს კანტის მოძღვრების ძირითადი აზრი. კერძოდ ის, რომ კანტი ცდილობდა მოეცა სინამდვილის ინტეგრირებული სურათი. დაედგინა ადამიანის ადგილი ამ მოცემულობაში და ის, თუ რა როლი ენიჭება ადამიანის ცოდნასა და რწმენას ამ სინამდვილეში. მხოლოდ ყოველივე ამის გაგების შემდეგ იქნება შესაძლებელი ადამიანმა მართლაც დაადგინოს ის კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც მან უნდა იპოვოს თავისი სრულყოფილების (განხორციელების) გზა. კანტი ცხოვლად იყო დაინტერესებული ადამიანის ამ განხორციელების გზების მიღწევის (მისი ბედის) ძიებით და ეს ძიება მოქმედებდა მისი აზროვნების მთელ სტრუქტურაზე.

Н. З. МШВЕНИЕРАДЗЕ

ЧЕЛОВЕК И РАЦИОНАЛЬНАЯ РЕЛИГИЯ КАНТА

Резюме

Религия независима от теоретического разума, но основывается на практическом разуме. Моральная необходимость Бога совершенно достаточна для цели Канта — установления действительности Бога, бессмертия души и морального порядка.

Религиозное мышление Канта интересно также и в том аспекте, что здесь человек впервые рассмотрен в качестве рационального субъекта, живущего (существующего) в некоем данном порядке действительности. Он находится в отношении к природе, к другим людям и к Богу. В статье показана необходимость для философии Канта показать, что религия при посредстве морали опирается на понятие человеческой природы, и что религия способна увенчать человеческий опыт и тем самым прибавить человеку значимость и ценность.

Л И Т Е Р А Т У Р А

1. Кант И. Религия в пределах только разума. СПб, 1908.
2. Кант И. Трактаты и письма. М., 1980.
3. Паульсен Ф. Иммануил Кант. Его жизнь и учение, СПб, 1905.
4. Паульсен Ф. Философия протестантизма (Кант и протестанство). СПб, 1907.
5. Фишер К. Иммануил Кант и его учение, ч. 1—2, СПб, 1906—1910.
6. Eisler R. Kant-Lexikon. Hildesheim, 1961.
7. Lowith K. Das Verhältnis von Gott, Mensch und Welt in der Metaphysik von Descartes und Kant. Heidelberg, 1964.
8. Pitte F. P. Van de Kant as philosophical Antropologist the Hagua, 1971.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ნ. ტაყაიძემ

ლელა ალაქიძე

შემეცნების საფეხურიანი პროკლე დიალოგოსისა და
იონანი პეტრიწის შრომებში

1. პროკლე დიალოგოსის „კავშირნი ღმრთისმეტყულებითნის“ კომენტარების შესავალსა და §§ 17, 20, 82, 124, 129, 135, 167—170, 174, 186, 197, 198-ში იონანი პეტრიწი, სხვადასხვა წყაროების გათვალისწინებით, იხილავს შემეცნების სახეებს, მათ ურთიერთმიმართებასა და იერარქიას.

„კავშირნის“ პეტრიწისეული თარგმანის 129-ე თავი არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ შემონახულა. პროკლეს ბერძნული დედნის გამომცემელმა, ინგლისურ ენაზე მთარგმნელმა და კომენტატორმა ე. რ. დოდსმა ეს თავი პეტრიწის თხზულებაში გაუგებარ წარმომავლობისად, პროკლესთვის შეუფერებლად და გვიანდელ ჩანართად მიიჩნია.

ქვემოთ მივუთითებ ზოგიერთ მსგავსებაზე, რომლებიც გნოსეოლოგიურ სფეროში შეიმჩნევა პეტრიწის „განმარტებასა“ და მის ერთ-ერთ წყაროს — პლატონის „ტიმაიოსზე“ პროკლეს კომენტარს შორის; აგრეთვე შევეცდები გავარკვიო, შეესაბამება თუ არა „კავშირნის“ ქართული ვარიანტის 129-ე თავი ზოგადად პროკლეს ფილოსოფიას და როგორია ალბათობა ამ თავის დედანშვივ არსებობისა.

2. „კავშირნი ღმრთისმეტყულებითნის“ „განმარტების“ შესავალში პეტრიწი განასხვავებს გონებისა და სულის შემეცნებას, რომელთაც, შესაბამისად, „ნოემასა“ და „დიანასა“ უწოდებს: „ესე დიანაჲ არა არს მარტივი და შეუდგენელი იგი გონებაჲ, არამედ ვითარ მიერგონებაჲ გინა თუ მიდმოგონებაჲ, რამეთუ სულსა მიდმოობასა შორის აქუს ძალი გაგონებისაჲ და შედგულ და არა მარტივი, ვითარ გონებისაჲ [...] ესთადვე და სულიცჲ ამისგან ამისდად მიდგების მცირედ-მცირედ, ვიდრემდის არა ყოველი შემოისახოს და თჳს გუარ ყოს, რაჲც რაჲვე იყოს. ხოლო გონებაჲ ზედ მიესხმის მარტივად“ [2, გვ. 6—7]. მაშასადამე, პეტრიწის აზრით, დიანა სულის შემეცნებაჲ, იგი არ არის მარტივი და შეუდგენელი, როგორც გონება, და გონებისაგან განსხვავებით შესამეცნებელს ერთბაშად კი არა, თანდათანობით სწვდება (ეს დისკურსიული აზროვნება).

პროკლეს „კავშირნი“-ში ტერმინი *διάνοια* გვხვდება მხოლოდ ერთხელ, განმარტების გარეშე (§123). მაშასადამე, დიანვას სულის შემეცნებად განსაზრებისას და მისი თავისებურების აღწერისას პეტრიწი სხვა წყაროებიდან ამოდიოდა; ერთ-ერთ ავტორს, პორფირიოსს, იგი იქვე ასახელებს [2, გვ. 7].

პლატონის „ტიმაიოსზე“ პროკლეს კომენტარებშიც ბევრია თქმული *διάνοια*-ზე. მაგალითად, *διάνοια* განსაზღვრულია როგორც სულის შემეცნება, რომელსაც გარდამავალი სადევხური უკავია აზროვნებასა და შეხედულებას შორის და „რომელიც საგანს გადასვლით (*μεταβαίνων* — ანუ თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ) სწვდება“ [3, გვ. 249].

170-ე თავის განმარტებაში პეტრიწი წერს, რომ სული, გონებისაგან განსხვავებით, დროში იმეცნებს. ამავსე მოწმობს პროკლე: „ღვთაებრივ სულებსაც დრო

ახასიათებს და პლატონიც ამბობს, რომ ისინი არსს დროში ჰკრეტენ, რადგან ყოველგვარი გადასვლითი მოძრაობა დროსთანაა დაკავშირებული“ [4, გვ. 122].

საერთოდ, შემეცნების სახეები პეტრიწის „განმარტებაში“ უფრო ვრცელადაა წარმოდგენილი, ვიდრე „კავშირნიში“, თუმცა „ტიმაიოსის“ კომენტარში პროკლეს ამ საკითხზე გაცილებით მეტი უწერია, ვიდრე პეტრიწს. პროკლეს აზრით, უპირველესია გონების შემეცნება—აზროვნება (*νόησις*), რომელსაც გადასვლა არ ახასიათებს (*ἀναστροφῆς*), მომდევნო—სულის შემეცნება (პროკლესთან ეს არის *ἀρχαῖ*-ი და *δι΄αἴθερον*), შემდეგია შეხედულება (*ἰδέσθαι*), რომელიც ლოგოსით გრძნობადს სწვდება, და ბოლოს—შეგრძნება (*ἄσθησις*) [3, გვ. 248—249]. პროკლე დაწვრილებით იკვლევს შემეცნების თვითიუღ ტიპს, თავისი ქვესახეობებით [3, გვ. 243—252], პეტრიწი კი არსებითად მხოლოდ პირველ ორს ეხება. *Ἀδέξαι*-ს იგი არ განმარტავს, თუმცა რამდენჯერმე ახსენებს („თნებაა“), შეგრძნებაზე კი წერს, რომ, ის, სულას შემეცნებისაგან განსხვავებით, თავისსავე თავში კი არა ჰპოვებს შესამეცნებელს, არამედ მის გარეთ: „მოიღე სახედ, რამეთუ ოდეს რაა გაიგონოს სულმან, არა თუ გარეთაგან უკუნ იქცევის და მიიღებს განაგონსა; ნუ იყოფიან, რამეთუ ეს მოკუდავთაა არს ოდენ გრძნობა და არ გაგონებაა“ [2, გვ. 52]. ანალოგურა წერს პროკლე: „ყველა შემეცნებისათვის საერთო ისაა, რომ შესაცნობა მაგნათ აქვს; რადკა შეგრძნებისაგან შემეცნებას სწორედ ეს განასხვავებს“ [3, გვ. 244].

კიდევ ბევრი მსგავსების აღნიშვნა შეიძლებოდა ამ ასპექტით „ტიმაიოსის“ კომენტარსა და პეტრიწის „განმარტებას“ შორის. მაგალითად: „ჩანს, ყოველგვარი შემეცნება სხვა არაფერია, თუ არა უკუქცევა შესაცნობისკენ, გათვისება და შეწყობა მასთან“; „საკუთარი თავისკენ უკუქცევა შემეცნება თავისა“. წერს პროკლე [4, გვ. 287, 286]. ამავეს ამბობს პეტრიწი 186-ე თავის განმარტებისას: „ხოლო თუ რაა არს უკუქცევა თვსდადვე? ესე იგი არს ცნობაა თვთ თვისსა არსებისაა“ [2, გვ. 194]. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს აზრი „კავშირნის“ 186-ე თავშიცაა გამოხატული. ბევრ სხვა შემთხვევაშიც კომენტარებისას პეტრიწი „კავშირნი“-დანვე ამოღის და წყაროს შორს ძებნა არა გვეჭირდება. 3. პეტრიწის მიერ თარგმნილი „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ ასახავს იმ ბერძნულ ტექსტს, რომელიც ერთი საუკუნით ძველია პროკლეს ტექსტის დღეს არსებულ უძველეს ბერძნულ ხელნაწერზე [6, გვ. XLI]. ამიტომ დედნის აღდგენისათვის და ვარიანტების დადგენისათვის ქართულ თარგმანს თითქოს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ, ე. დოდსის აზრით, პეტრიწის თარგმანის მხოლოდ რამდენიმე ადგილი თუ შეუწყობს ხელს ბერძნული დედნის აღდგენას [იხ. 6, გვ. 343—344]. ძირითადად კი, იგი ფიქრობს, რომ „პეტრიწის თარგმანი ბერძნულ ორიგინალს, სამწუხაროდ, ზუსტად არ ასახავს. ეს თავისუფალი თარგმანია, და მასში ბევრი შეცდომაა, რომელიც ბერძნულში არ უნდა ყოფილიყო. ზოგიერთი მათგანი, ცხადია, რომ პროკლეს შეხედულებათა გაუგებრობის შედეგია [...] ეს კი ამცირებს იმ ღირებულებას, რომელიც ქართულ ვარიანტს ბერძნული ტექტის აღდგენისათვის უნდა ჰქონოდა“ [6, გვ. 343]¹.

¹ ეს აზრი ე. დოდსმა „კავშირნის“ ქართული თარგმანის გამოცემის შემდეგ გამოთქვა. პეტრიწის თარგმანს ე. დოდსი მის გამოცემამდე იცნობდა ს. ყაუხჩიშვილის დახმარებით, რომელმაც მას I—V თავების დედანთან შედარების შედეგები მიაწოდა. მაშინ ე. დოდსმა პეტრიწის თარგმანზე თავისი შეხედულება ასე ჩამოაყალიბა: „პეტრიწი შედარებით თავისუფლად თარგმნის, ზოგჯერ ისეთ სიტყვებს ხმარობს, რომლებიც დედანში არ არის, ცვლის სიტყვებისა და კონსტრუქციების

ერთ-ერთი მიზეზი ე. ლოდის ასეთი შეხედულებისა პეტრიწის თარგმანზე 129-ე თავის ქართულიდან ინგლისურ ენაზე არასწორი თარგმანი იყო.

როგორც უკვე ითქვა, პეტრიწის თარგმანის 129-ე თავი ბერძნულ ხელნაწერებს არ შემოუნახავთ. ამ თავში ლაპარაკია ღვთაებრივი და ეშმაკებრივი სულებისათვის დამახასიათებელ შემეცნებაზე, მის თავისებურებებზე: „ყოველი სული ღმრთებრივი და ეშმაკებრივი გაიგონებს უკუე მიდმოცვალებით, და არა ვითარ. გონებაჲ უცვალებელად“ [1, გვ. 79]. ასე იწყება ეს თავი. ე. ლოდსთან ეს ფრაზა ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად არის თარგმნილი: „Every divine and diabolic soul (so *δαμωνία*) exercises thought in a variable way, and no intelligence does so in an immutable fashion“ [6, გვ. 343]². ამასთან დაკავშირებით მკვლევარი წერს: „ეს დებულება არ შეიძლება ავტორისეული იყოს, იგი ეწინააღმდეგება §170-სა და §184-ს, ხოლო ტერმინები *δαμωνია*, *δαμωνისი* „კავშირნიში“ სხვაგან არა გვხვდება. პარაგრაფის წარმომავლობა ჩემთვის უცნობია“ (იქვე).

ე. ლოდის თარგმანს ხელახლა თუ გადმოეპართულებთ, შემდეგს მივიღებთ: „ყოველი ღვთაებრივი და ეშმაკეული სული იმეცნებს გადასვლით, და არცერთი გონებაჲ არ აკეთებს ამას უძრაობაში“. ეს თარგმანი პეტრიწის ტექსტს არ შეესაბამება, და ამდენად მცდარია.

რაში ეწინააღმდეგება 129-ე თავი § 170-სა და § 184-ს, ამას ე. ლოდი არ განმარტავს. მაგრამ თარგმანიდან და ხსენებული პარაგრაფებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი შეხედულების დადგენა.

§ 170-ში ნათქვამია, რომ ყველა გონება ყველაფერს ერთბაშად იმეცნებს. და არა ერთი ობიექტიდან მეორეზე, ცნობილიდან უცნობზე გადასვლით. ზიარებული გონებაც, რომელიც უზიარებელზე დაბლა მდგომია, იმეცნებს ყველაფერს ერთბაშად და იმავე დროს ცალ-ცალკეც, რაღაც ერთის გამოჩენვით. § 170-ისაგან განსხვავებით, 129-ე თავი ლოდისეული თარგმანის თანახმად უარყოფს უძრაობაში მყოფი გონების შემეცნებას.

§ 184-ში ლაპარაკია სულის სამი ტიპის შესახებ: 1) ღვთაებრივი, ღვთაებრივ გონებას ზიარებული სული; 2) გონით გონებას (*γινεσθαι νοητός*) ზიარებული სული. არც პირველი და არც მეორე სახეობა გონიერებიდან უგონობაში არ გადადის; 3) სული ხან გონიერი, ხან კი უგონო, გონიერებიდან უგონობაში გარდამავალი. 129-ე თავის პეტრიწისეული „მიდმოცვალებით“³ ე. ლოდმა *variable way*-დ თარგმნა. როგორც ჩანს, ამ ტერმინში მან გონიერებიდან უგონობაში გარდამავლობა (*μεταβίβη* — პეტრიწთან „მიდმოქცევა“) იგულისხმა⁴, რაც

მიმდევრობას, ან ერთ ბერძნულ სიტყვას ორი ქართული შესატყვისით გამოხატავს. ეს აბრულებს იმ ბერძნული ვარიანტის რეკონსტრუქციას, რომელიც პეტრიწს ჰქონდა ხელთ“ [6, გვ. XLI—XLII].

² ეს ფრაზა, ისევე როგორც სხვა შერჩეული ადგილები პეტრიწის თარგმანიდან, ე. ლოდს დ. მ. ლანგმა უთარგმნა [იხ. 6, გვ. 343—344].

³ როგორც ჩანს, პეტრიწის „არა ვითარ გონებაჲ“-ს არასწორმა წაკითხვამ (არავითარი გონება) მთარგმნელის შეცდომა გამოიწვია: no intelligence.

⁴ ბერძნული შესატყვისია *παταμιαιαν*, სხვა საბუთების ვარადა, ამაზე პირდაპირ მიუთითებს 129-ე თავის პეტრიწის კომენტარი. სადაც ციტატაში ეს ტერმინი ბერძნული გამოთქმითა მოტანილი: „მეტავატი იოსაჲ“ [2, გვ. 165].

⁵ ლოდის თარგმანის სხვანაირ ვაგებინ შემთხვევაში 129-ე თავს არაფერი სერთოს არ ექნებოდა § 184-თან და მათი შედარებაც აზრს დაკარგავდა.

§184-ის თანახმად ღვთაებრივსა და მეორე ტიპის სულებს, მესამე ტიპისაგან განსხვავებით, არ ახასიათებს; ხოლო მეორე ტიპის სულებში დემონური (ეშმაკებრივი) სულები რომ იგულისხმება და ე. დოდსიც ასე ფიქრობს, ამას ქვემოთ ვნახავთ. მაშასადამე, ე. დოდსის აზრით, პეტრიწის 129-ე თავის თანახმად ღვთაებრივსა და დემონურ სულს შემეცნების პროცესში გონაერებიდან უგონობაში გარდამავლობა ახასიათებს, § 184-ში კი საპირისპირო აზრია გამოთქმული.

მაგრამ ე. დოდსის თარგმანი, როგორც ვთქვით, მცდარია. სინამდვილეში 129-ე თავი, პეტრიწის თარგმანის მიხედვით, გულისხმობს შემდეგს: 1) სული, ღვთაებრივი და ეშმაკებრივი, იმეცნებს გადასვლით (*μεταβατικῶς*), ე. ი. თანდათანობით, არაერთბაშად, რაც სავსებით შესაბამება პროკლესა და პორფირიოსის შეხედულებას ზოგადად სულის შემეცნებაზე (იხ. ზემოთ); 2) სულისაგან განსხვავებით, გონება იმეცნებს გადასვლების გარეშე. „უცვალებელად“ (აქ უეჭვლად აღდგება ბერძნული „*ἀμεταβάτως*“-შდრ. „კავშირნი“, §§ 52, 211, აგრეთვე 3, გვ. 248, 472), რაც ციხნებმა, სხვათა და სხვათა შორის, § 170-საც. ამრიგად, 129-ე თავში ეშმაკებრივის გარდა „კავშირნის“ მკითხველისათვის მოულოდნელი არაფერია⁶.

4. „დემონი“ და „დემონური“ ფართოდ გავრცელებული (ქნებებია ნეოპლატონურ ლიტერატურაში და განსაკუთრებით პროკლეს შრომებში [იხ. 6, გვ. 290]. „კავშირნი“-შიც პროკლე დემონურ სულებზე მიგვანიშნებს, თუმცა პირდაპირ არ ასახელებს.

პროკლეს აზრით, დემონებსა და დემონურს (დემონური კი მრავალი რამ შეიძლება იყოს: რიგი, გვარი, წილი, სული, ძალა, სიცოცხლე, გონება. იხ. 5, 411: index verborum: „*δαίμωνις*“) გარდამავალი საფეხური უკავია ღვთაებრივსა და მოკვდავს შორის [5, გვ. 165]. დემონები ღმერთების თანამგზავრები არიან [3, გვ. 142; 5, გვ. 154], და სამყაროში წესრიგს ამყარებენ [3, გვ. 34, 192]. დემონურ სულს, გარდამავალს ღვთაებრივსა და ნაწილებითს შორის, პროკლე არაერთგზის ახსენებს თავის კომენტარებში [მაგ. 4, გვ. 254]. დემონური სული ღვთაებრივზე დაბლა მდგომია და თუ დროში შემეცნება, როგორც ზემოთ ითქვა, ღვთაებრივ სულსაც ახასიათებს, დემონური სულისათვის ის მოთუშტეს იქნება დამახასიათებელი, „რადგან ყველა სული ასე (იგულისხმება თანდათანობით, გადასვლით — *μεταβατικῶς*) იმეცნებს, და სწორედ ამით განსხვავდება სული გონებისაგან“, წერს პროკლე „ტიმოთისის“ კომენტარებში [4, გვ. 289—290].

ამრიგად, პროკლეს სხვა შრომებში გამოთქმული თვალსაზრისი ღვთაებრივ და დემონურ სულზე, მის შემეცნებასა და გონებისაგან განსხვავებაზე სავსებით ეთანხმება 129-ე თავის შესაბამის დებულებას.

„კავშირნი“-ში დემონურ სულებზე მსჯელობა იმიტომაც არ არის მოულოდნელი, რომ ამავე ნაწარმოების § 183—185-ში ლაპარაკია ღვთაებრივი, ნაწილებითი და იმ სულების შესახებ, რომელთაც მათ შორის გარდამავალი საფეხური უკავიათ. ეს საშუალო სულები დემონურ სულებს შესაბამება. ე. დოდსის აზრითაც, ისინი იგივეობრივნი არიან [6, გვ. 295], და ალბათ, მცდა-

⁶ ე. დოდსის საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც მხარს უჭერს 129-ე თავის დედნი-სულ წარმომავლობას, გამოთქვა გ. თევზაძემ. მისი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი დემონებს ეხება: 129-ე თავში დემონები ისევეა დახასიათებულია, როგორც პროკლეს სხვა თხზულებებში, მაგ. „ტიმოთისზე“ კომენტარებში (10, გვ. 264).

რი თარგმანი რომ არა, ე. დოდსი თვითონვე აღიარებდა 129-ე თავის ორიგინალობის შესაძლებლობას.

პეტრიწი §§ 183—185-ის კომენტარებში საშუალ სულებს დემონურს (ეშმაკებრივს) არ უწოდებს. საშუალი სულის მაგალითად იგი ასახელებს შზის სულს [1, გვ. 193], ცისა და ციურ სხეულთა სულებს [1, გვ. 194]. ეს, თითქოს, არ შეესაბამება პროკლეს შეხედულებას, რომლის თანახმად კოსმიური (ანუ ცის) და ციურ სხეულთა სულიც ღვთაებრივია [4, გვ. 290; 5, გვ. 255. იხ. 6, გვ. 295]. მაგრამ პროკლე ღვთაებრივი და დემონური სულების განსაზღვრებისას თანამიმდევრული არ არის. ღვთაებრივი, მისი აზრით, ზეკოსმიურიც შეიძლება იყოს. „კავშირინი“—ში ღვთაებრივ სულში სწორედ ზეკოსმიური სული იგულისხმება [§ 167, იხ. 6, გვ. 295]. ამიტომ, ბუნებრივია, ამ ნაშრომში (რომელიც „ტიმაიოსის“ კომენტარებისაგან განსხვავებით ფიზიკის კვლევას არ ეძღვნება). ღვთაებრივთან ერთად დემონურ სულთა რანგიც აიწვედა⁷ და ალბათ ამიტომ პეტრიწმა ისინი ცის, შზისა და ციურ სხეულთა სულებად განსაზღვრა.

5. 129-ე თავის კომენტარში პეტრიწი ღვთაებრივ სულებს ასე განსაზღვრავს: „ხოლო ღმრთებრივად ითქუმის სული, ვითარ ზესთ გამგონე და ერთის სახე და ღმრთის სახე, ვითარ სულები ღმერთთა და ირთთაჲ. ხოლო ეშმაკებრივად სულად იტყუან, ვითარ მიდმოთა, ვითარ ჭელოვნებათა შინა მომპარჯუთა, ვითარ არა განმვლელთა სხეულთა სფერობისაგან“ [2, გვ. 165]. დაახლოებით ასევე განსაზღვრავს ღვთაებრივს პროკლეც: „კოსმოსში ყველაფერი მონადური ღვთაებრივია და თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთის ხატს წარმოადგენს [...] რაც მონადური არ არის, წარმოიქმნება და ნადგურდება, მოკვდავი ბუნებისაგან იხრება და ყოველგვარი ღვთაებრივისაგან განსხვავდება“ [3, გვ. 436].

გმირი (ჰერაჲ) პროკლესთან გარდამავალი კატეგორიაა ღვთაებრივსა და მოკვდავს შორის. იგი დემონთა კლასში შედის, ანგელოზებთან და საკუთრივ დემონებთან ერთად [6, გვ. 295]. არ ციცი, რა მონაცემების საფუძველზე ანიჭებს პეტრიწი გმირებს ღვთაებრივ თვისებებს, ეშმაკებრივს კი მათგან განსხვავებულად მიიჩნევს. პროკლესთან გმირი დემონთა კლასში ანგელოზისა და დემონის შემდეგაა მოხსენიებული (იხ. 5, გვ. 165; აქ დაწვრილებითაა აღწერილი ანგელოზების, დემონებისა და გმირთა ფუნქციები), გმირებს სულთა ზეაყვანა და ღმერთთან დაბრუნება აკისრიათ. შეიძლება, ამიტომაც არიან ისინი, პეტრიწის თანახმად, სიმრავლის შემქმნელ დემონებზე მეტად „ერთის სახე“. მაგრამ პროკლესთან, ვიმეორებ, გმირი მაინც დემონთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ღმერთთან.

129-ე თავის განმარტებაში პეტრიწი ღვთაებრივსა და ეშმაკებრივ სულს ერთმანეთს აღარებს: „ორნივე კეთილ და კეთილთა წყაროსაგან. ღმრთებრივი უკუე ვითარ ღმერთი და მადლრთი სულთაჲ. ხოლო ეშმაკებრივი ვითარ ჯელოვნებაჲ და მასუენი აღმქნულთაჲ და ვითარ ერმის თბეთაგანი. ხოლო ზესთ ნეტარი ღმრთებრივი სული ვითარ კრონოას გონიერთა სისაესეთათ დამთრვალი“ [2, გვ. 165].

ნეოპლატონური ემანაციიდან გამომდინარე, ეშმაკებრივი სული, ბუნებრივია, არ შეიძლება ბოროტი საწყისიდან მომდინარეობდეს. პროკლე, ისევე როგორც პეტრიწი, ამას აღნიშნავს. იგი წერს, რომ პლატონთან სულთა წყარო

⁷ პროკლეს აზრით, დემონებიც გარკვეულად ღვთაებრივნი არიან: „ღვთაებრივს იმსაჲც ვუწოდებთ, რაც ანგელოზურია და დემონური და რაც ნაწილებით სულებშია; თვითული მათგანი ღვთაებრივია, რამდენადაც საკუთარ ღმერთთანაა კავშირში“ [3, 436].

კრატერია, ბარბაროსები კი (იგულისხმება ქალდეველები) „ცხოველყოფილ მიზეზს წყაროს სულს უწოდებენ, რომელიც წყაროდან მომდინარე სიკეთესთან ერთად მთელი ცხოველყოფილი ღვთაებრიობის სიღრმეებიდან ამოდის. იგი ყოველგვარი სიცოცხლის წყაროს შეიცავს: ღვთაებრივის, ანგელოზურის, დემონურის, ფსიქიკურის, ფიზიკურის“ [4, გვ. 249].

დემონებისათვის დადებითი თვისებების მინიჭებით პროკლე ანტიკურ ტრადიციას განაგრძობს, სადაც დემონის თვისებები ღვთაებრივს უახლოვდებოდა და ზოგჯერ იგივეობრივიც იყო [9, გვ. 938; აქვე იხ. კეთილი და ბოროტი დემონების გარჩევის შესახებაც ანტიკურ ლიტერატურაში]. „ტიმიასის“ კომენტარში პროკლე იმეორებს ორფიკულ ლექსს, რომელშიც ზევსს დემონი ეწოდება [3, გვ. 451]. ქრისტიანულ ლიტერატურაში კი დემონმა აშკარად უარყოფითი გაგება მიიღო [იხ. 8, გვ. 328—331], რომლის თანახმადაც დემონი იმთავითვე ღმერთის მიერ ბოროტად კი არ იყო შექმნილი, არამედ თავისუფალი არჩევანის (ή *πρᾶξις*) შედეგად გახდა ბოროტი (იქვე). ნიკოლოზ მეთონელის კომენტარებშიც პროკლეს „კავშირნიზე“ ნათქვამია, რომ დემონები „კეთილი ბუნებიდან თავისუფალი არჩევანის შედეგად ბოროტად იქცნენ“ [7, გვ. 26]. შესაძლოა, ქრისტიანი ავტორების უარყოფითი დამოკიდებულება დემონებისადმი იყო მიზეზი იმისა, რომ 129-ე თავი „კავშირნიდან“ ამოიღეს. პეტრიწი კი ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს და დემონის თვისებების განსაზღვრებისას თარგმანშიცა და კომენტარშიც პროკლეს შეხედულებებს იცავს.

ეშმაკებრივი სული რომ არის „მაშუენი აღმქნულთაჲ“, ამასაც მოწმობს პროკლე: „დემონები არიან მცველები და მხსნელები ღმერთებისა, ისინი მათ ქმნილებას უძღვებიან და კოსმოსში ყოველგვარ უწესრიგობას სპობენ“ [3, გვ. 34]. პორფირიოსი, პროკლეს თქმით, მატერიისაკენ მიმართულებებს (ἀλλοίως *πρῶσις*) დემონებს უწოდებდა [3, გვ. 171], ხოლო სულის სხვადასხვა მდგომარეობას, ისევე როგორც პეტრიწი, იგი სხვადასხვა ღმერთს ადარებდა: უმაღლესი სახეობა სულისა გონიერი და კრონოსულია, რამდენიმე სტადიის მერე პერმესული მდგომარეობაა, „პერმესი კი ფიზიკური ლოგოსების მეთაურია“ [3, გვ. 148].

ამრიგად, „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნის“ 129-ე თავის პირველი ფრაზა პროკლეს ფილოსოფიას საესებით შეესატყვისება. პეტრიწის კომენტარიც, ძირითადად, პორფირიოსისა და პროკლეს შეხედულებებს მისდევს. დასაშვებია, რომ 129-ე თავი ორიგინალშივე არსებობდა, ხოლო მოგვიანებით, ქრისტიანი რედაქტორების მიერ დემონის უარყოფითად გააზრების შედეგად, იგი ტექსტიდან ამოიღეს.

Л. З. АЛЕКСИДЗЕ

СТУПЕНИ ПОЗНАНИЯ В ТРУДАХ ПРОКЛА ДИАДОХА И ИОАННА ПЕТРИЦИ

Резюме

В статье рассмотрены те места комментария Прокла к платоновскому «Тимею», которые могли послужить источником Иоанну Петрици при изложении проблемы познания в своих комментариях к «Первоосновам теологии» Прокла. В статье особо обсуждается проблема аутентичности 129-ой главы «Первооснов», которая содержится лишь в

переводе Петрици и отсутствует в ныне существующих греческих вариантах трактата. В итоге неверного перевода с грузинского на английский язык первой фразы вышеуказанной главы, издатель и комментатор «Первооснов» Э. Р. Доддс признал её неаутентичной. По мнению автора статьи, фраза, гласящая о различных способах познания души (божественной и демонической) и ума, вопреки мнению Э. Доддса, не противоречит основным положениям остальных параграфов «Первооснов», так же как и философии Прокла в целом. Вполне допустимо, что 129-ая глава входила в состав первоначального текста. Позднее же, по определенным причинам (отрицательная трактовка термина «демон» в христианском мировоззрении) она была изъята из оригинала, сохранившись, однако, в переводе Иоанна Петрици.

ლიტერატურა

1. იოანე პეტრიცი, შრომები, ტ. I, თბ., 1940.
2. იოანე პეტრიცი, შრომები, ტ. II, თ., 1937.
3. Proclus Diadochus, In Platonis Timaeum commentaria, I, Lipsiae, 1903.
4. Proclus Diadochus, In Platonis Timaeum commentaria, II, Lipsiae, 1904.
5. Proclus Diadochus, In Platonis Timaeum commentaria, III, Lipsiae, 1906.
6. Proclus, The Elements of Theology (A revised Text with Translation, Introduction and Commentary by E. R. Dodds), Oxford, 1963.
7. Nicolai Methonensis Refutatio, Francofurti ad Moenum, 1825.
8. C. W. H. Lampe, A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961.
9. W. H. Roscher, Ausführliches Lexicon der Griechischen und Römischen Mythologie, I, Leipzig, 1884—1890.
10. Иоанн Петрици. Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадокха, (вступительная статья и примечания Г. Тевзадзе), Москва, 1984.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ირინე ზარაზანიძე

რიცხვითი მიმართებების თეორიასთან დაკავშირებული
პითაგორული პრობლემები

პითაგორაიზმს, როგორც აზროვნების ერთიანი პრინციპებიდან გამომდინარე მოძღვრებას მთლიანი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. ამის მიზეზი არ ყოფილა მხოლოდ ის, რომ ანტიკურობაში ადრევე, პითაგორაიზმის ჩამოყალიბებისთანავე ვრცელდებოდა ლეგენდები დაუწერელ პითაგორულ მოძღვრებაზე; და რომ პითაგორული მოძღვრების ჩანაწერები — თუკი ისინი საერთოდ არსებობდა — დღეს ჩვენთვის, ფაქტიურად დაკარგულია. დაკარგულია იმდენად, რამდენადაც ელინისტურ პერიოდში შექმნილმა ე. წ. პითაგორულმა თხზულებებმა წაშალა ზღვარი პითაგორულ მოძღვრებაზე პარაფრაზებსა და მათზე ფალსიფიკაციებს შორის. პითაგორული მოძღვრების ერთიან სისტემად რესტავრაციისათვის არსებითი დაბრკოლება იყო ისიც, რომ აზროვნების ამ მიმართულებამ განვითარების ხანგრძლივი გზა — თითქმის საუქუნენახევარი განვლო და რომ პითაგორული მოძღვრების ცალკეულ ასპექტებზე მოღწეულ პარაფრაზებს შორის დღეს უკვე ძნელია კავშირის აღდგენა.

საქმეში ჩაუხედავ მკითხველს პითაგორული ფრაგმენტები თავდაპირველად შეიძლება აბსურდული აზრების გროვად მოეჩვენოს. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც, პითაგორაიზმის კვლევის ერთმანეთისაგან განსხვავებული მეთოდები არსებობს [5, გვ. 8—18; 8, გვ. 171—2; 10, გვ. 5—7]. განსხვავებებს კი უპირატესად პითაგორული ფრაგმენტების წყაროთა სანდოობის საკითხი განაპირობებდა. ამ ვითარებაში, სრულიად კანონზომიერად, ჩნდებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები აღნიშნული საკითხის თაობაზე. მაგრამ ყველაზე დიდი სირთულე ისაა, რომ პითაგორული ფრაგმენტების წყაროთა შერჩევის, ცალკეულ ფრაგმენტთა ანალიზის და სხვა მოძღვრებებთან პარალელულების ძიების დროს ხშირად უგულვებელყოფილი რჩება პითაგორაიზმის გამაერთიანებელი თეორიული პრინციპები.

პითაგორაიზმის ცალკეული ასპექტების განხილვა, როგორც ერთმანეთისაგან იზოლირებულ ფრაგმენტთა ანალიზის მარტივი შეჯამება, ყოველთვის იძენდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, განვითარების სხვადასხვა სტადიაზე განსხვავებულ დებულებათა უსისტემო ერთობლიობის სახეს. ამ ვითარებაში აუხსნელი რჩება პითაგორაიზმის ის თავისებურება, რომელიც განვითარების ნებისმიერ სტადიაზე თავისებურ სახეს უნარჩუნებდა მას. და რამდენადაც ჩვენ ვეცადეთ განგვეხილა პითაგორაიზმი, როგორც ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული მოძღვრება, წინა პლანზე ამ მოძღვრების შემადგენელ ელემენტთა გამაერთიანებელი პრინციპის ძიებამ წამოიწია; დასადგენი გახდა ის არსებითი თავისებურება, რომელიც არ არღვევდა აზროვნების ამ მიმართულების ერთიანობას. თუმცა მოძღვრებას განვითარების გზაზე მრავალრიცხოვანი გავლენა და წინააღმდეგობა უნდა განეცადა. პითაგორული ფრაგმენტების თარგმანისა და კომენტარებზე მუშაობის გამოცდილებამ ამ მოძღვრების ერთიანობის დამადასტურებელ ძირითად თეორიულ პრინციპად წარმოგვიდგინა დებულება რიცხვთა მიმართებაზე, ანუ, ფაქტიურად, პროპორციათა

თეორიის სამ ელემენტარულ სახესხვაობაზე; ჩვენს ნაშრომში წარმოჩენილია სწორედ ეს პითაგორული პრინციპი, როგორც ყველაზე აქტუალური თეორიული საფუძველი. ჩვენის აზრით, პითაგორაიზმის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და პითაგორული პრობლემების ნებისმიერ სფეროში პროპორციათა თეორიის პრინციპი იმდენად მყარი და ქმედითი იყო, რომ იგი ანტიკური აზროვნების ნებისმიერ სხვა მიმართულების ფონზეც და პითაგორული აზროვნების წიაღშივე აღმოცენებული სირთულეების წინაშეც უცვლელი დარჩა.

რიცხვთა მიმართებებზე დამყარებული პითაგორული პრინციპები დანახული უნდა იყოს პითაგორაიზმისათვის დამახასიათებელი იმ ლოგიკის საფუძველზე, რომელსაც ანტიკური მეცნიერული აზროვნების ტრადიციაც არ ეწინააღმდეგებოდა. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იპყრობს პითაგორული დებულება იმის თაობაზე, რომ სამყაროში ყოველივე არსებული არის რიცხვი და რიცხვითი მიმართებები [6. fragm. 45 B ციკლი]. უფრო კონკრეტულად, —ერთ-ერთ წამყვან პრინციპად პითაგორაიზმი აღიარებდა „პირველად რიცხვებს“, ანუ რიცხვებს 1-დან 10-მდე (ან 12-მდე) [6. fragm. 33A 13]. ეს რიცხვები და მათი შესაბამისი საგნები, მაგ. გეომეტრიული ფიგურები, ციური სხეულები, კოსმიური ელემენტები ღვთაებრივ ხარისხადაც კი იყო აყვანილი [6. fragm. 32A 14]. აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც რომ ამ თუ იმ რიცხვის ან რიცხვთა ღვთაებრივობა უძველესი აღმოსავლური სამყაროს თითქმის ყველა კულტურულ ქვეყანაში იყო აღიარებული. ამასთანავე ყველგან, სადაც კი სცნობდნენ ღვთაებრივ რიცხვს, რიცხვთა შესაბამის საკულტო მნიშვნელობის ზოგიერთ საგანსაც ღვთაებრივად მიიჩნევდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა პლანეტებს, გეომეტრიულ ფიგურებს, და სხვა მათ მსგავსს. ეს კი ხდებოდა იმიტომ, რომ უძველესი აღმოსავლური სიბრძნის თანახმად, სამყაროში არსებულთა შორის უპირველეს ყოვლისა ამ საგნებზე გადმოდიოდა რიცხვის ღვთაებრივი ფუნქცია [4, გვ. 62—71]. რიცხვის განსაკუთრებული ფუნქციის აღიარებით, როგორც აღვნიშნეთ, გამონაკლისს არც პითაგორული აზროვნება არ წარმოადგენდა. მაგრამ პითაგორაიზმისათვის მხოლოდ საგნისა და რიცხვის შესაბამისობათა დადასტურება, როგორც ჩანს, უნდა წარმოგვიდგენდეს თეორიულ მეცნიერებათა წარმოშობის სათავეებთან დაკავშირებული საკითხის ერთ-ერთ და არა ერთადერთ მხარეს. სამყაროში არსებულ საგანთა თუ მოვლენათა გარდაქმნების, იგივეობის, ტოლობების ნათელსაყოფად პითაგორაიზმი წარმოადგენდა მიმართებათა რთულ სახეობებს, ამგვარი მიმართებები, მარტივად რომ ვთქვათ, ნიშნავდა არა მარტო მიმართებას, მაგალითად, საგნისა რიცხვთან, ან რიცხვისა რიცხვთან და ა. შ. არამედ, უმეტეს შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო ამ მიმართებათა ერთობლიობაც. შესაძარებლად შეიძლება დავიმოწმოთ ანტიკურ ტრადიციაში პითაგორელად აღიარებული მოქანდაკის, პოლიკლეტის სახელთან დაკავშირებული ფრაგმენტი [6. fragm. 28A 3], სადაც რთულ მიმართებათა თეორიულ განზოგადობაზე ერთგვარი მინიშნება შეიძლება ამოვიკითხოთ და აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ფრაგმენტებში დამოწმებული ტერმინი „თანაფარდობა“ (*συσμμερία*) კი მოცემულ კონტექსტში „მიმართების“ სინონიმად შეიძლება გაუიზაროთ. მაშასადამე, ცნობა გვაუწყებს: „..... სილამაზე კი არის არა ელემენტა“. (იგულისხმება სხეულის ფიზიკურ შემადგენელთა)“ არამედ ნაწილთა თანაფარდობა (სიმეტრია)—მაგალითად, თანაფარდობა თითისა თითთან, ყველა თითისა—მაჯასთან და მკ. 4. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1984, № 2

ლაფთან, ამ უკანასკნელისა კი—მხართან; მხრის თანაფარდობა ხელთან და საერთოდ ყოველი ნაწილის თანაფარდობა ნებისმიერ სხვა ნაწილთან“.. (De plac. Hipp. et Plat. 425, 14 Müll).

საკმაოდ ძველი წარმომავლობის პითაგორულ ფრაგმენტებში დამოწმებულია უმარტივეს პროპორციათა სამი ელემენტარული შუაწევრის (μέση)—ართიმეტიკულის, გეომეტრიულის და ე.წ. „ურთიერთმიმართებადის“ (ἀπεναντία) სახეობები. ერთ-ერთი ძვ. წ. მე-5 ს. პითაგორელის, ჰიპასოსის სახელთან დაკავშირებული ცნობა [6. fragm. 18 (8), 15] ამ საკითხთან დაკავშირებით გვაუწყებს: „ძველად, პითაგორასა და მის მიმდევარ მათემატიკოსთა წრეში დამოწმებული იყო მხოლოდ სამი შუაწევრი—ართიმეტიკული, გეომეტრიული და რიგით მე-3, ე.წ. ურთიერთმიმართებადი, რომელსაც... ისევე, როგორც ჰიპასოსთან, პარმონიული დაარქვეს...“ (Jambl. in Nicom. P. 100, 19 Pist.) ძვ. წ. მე-4 ს. პითაგორელის, არქიტას სახელთან დაკავშირებული ცნობა კიდევ უფრო ვრცელია (და უფრო სანდო). აღნიშნული ცნობა [6. fragm. 35B2] პითაგორულ პროპორციათა შუაწევრების პრინციპებსაც წარმოგიდგენს... „მუსიკაში არსებობს სამი შუაწევრი—ართიმეტიკული, გეომეტრიული და მესამე, ურთიერთმიმართებადი, რომელსაც პარმონიულსაც უწოდებენ. ართიმეტიკულ (პროპორციაში) სამ კიდურა წევრს შორის გვაქვს შემდეგი მიმართება—რა ნაწილითაც პირველი კიდურა წევრი აღემატება მეორეს, იმ ნაწილით აღემატება მეორე მესამეს და ამ პროპორციის უდიდეს კიდურა წევრთა მიმართება (ინტერვალი) უფრო მეტრეა, უდიდესთან კი, პირიქით, მეტი. გეომეტრიული პროპორციის პირველი კიდურა წევრი ისევე აღემატება მეორეს, როგორც მეორე მესამეს. აქ უდიდეს წევრთა შორის მიმართებები თანაბარია. ხოლო ურთიერთმიმართებად, ე. წ. პარმონიულ პროპორციაში პირველი კიდურა წევრი საკუთარი სიდიდის იმავე ნაწილით აღემატება მეორეს, რა ნაწილითაც მეორე აღემატება მესამეს. ამ პროპორციაში უდიდეს წევრთა შორის მიმართება (ინტერვალი) მეტია, უმცირესთა შორის—ნაკლები“... (Forph in Ptolem. Harm.) მსგავსი განმარტებების პრინციპი სეკუტაკოს მკვლევარებსაც კი ძველ პითაგორულ მოძღვრებაზე დაყავდათ, და სწორედ იმის საფუძველზე, რომ მოგვიანებით, დაახლოებით ძვ. წ. მე-4 ს. შემდეგ, პლატონიკოსებმა და ნეოპითაგორელებმა პროპორციათა სამ, პითაგორულ შუაწევრებს პროპორციათა კიდევ უფრო რთული სახეობებიც დაუმატეს. პითაგორელთა წრეში ადრევე შესაძლებელია, უკვე ძვ. წ. მე-5 ს. დასაწყისისათვისაც კი მოახდინეს პროპორციის შუაწევრთა (μέση) კანონიზაცია და რაც პითაგორია, ეს პრინციპები პითაგორული ფრაგმენტების მიხედვით ყველაზე მკიდრო კავშირს მუსიკის თეორიასთან ამკლავებდნენ. პროპორციის ართიმეტიკული და ე. წ. „ურთიერთმიმართებადი“ (ἀπεναντία), რომელსაც მოგვიანებით დაერქვა „პარმონიული“ — შუაწევრებით დაიყო მუსიკალური ინტერვალი — ოქტავა, ანუ მიმართება 1:2 და მიღებული იყო რიცხვითი ეკვივალენტები ოქტავის შემადგენელი ძირითადი ინტერვალებისათვის — კვინტის, კვარტის და ამ უკანასკნელთა სხვაობისათვის, მთელი ტონისათვის. ეს იყო მიმართებები 4:3, 3:2, 9:8. ძირითად ინტერვალთა თანაფარდი ამ რიცხვებით განისაზღვრა პითაგორული დიატონური სკალა, დორიული კილოს შესაბამისი. ეს სკალა კი შემდგომ, ძვ. წ. მე-5 ს. შუაწლებისათვის პითაგორელად აღიარებულმა ფილოლოასმა ახალი ინტერვალების შესაბამისი ახალი რიცხვებით შეავსო [6. fragm. 32 A26, 32, B2]. ფილოლოასმა გაავრცელა პროპორციის ართიმეტიკული შუაწევრით მიღებულ ინტერვალთა შორის სხვაობების ძიება და ამ

გზით თქტავის ძირითადი ინტერვალები მან კიდევ უფრო მცირე ინტერვალებად დაყო. ასე იქნა მიღებული უმცირესი სხვაობები ტონიდან, კვარტასა და კვინტას შორის სხვაობიდან; ასეთები იყო დიესისი (ლათ.—diesis, ბერძნულად—*ძესის*; ანუ ფსევდონახევარი ტონი (= 243:256), მისი ე. წ. ნახევარი კომე (ლათ. comma, ბერძნ. *ξήμισ*) და აგრეთვე ამ უკანასკნელის ე. წ. ნახევარი დიასქისმა (diaschisma. *διασχισμα*), რომელიც ინტერვალთა ფილოლოაოსისეული წყობისათვის ირაციონალურ წერტილად იყო აღიარებული [6. fragm. 32 A6. Boëth. inst. mus. II 5P. 276, 15 Friedl; 32B2, B 6-Stob. Ecl.-Nicom. Harm. 9. 252, 17 Jani; 1.22—3; 13, 147—155] ირაციონალური იყო ეს წერტილი იმდენად, რამდენადაც რაციონალურ, ანუ მთელ რიცხვთა მიმართებების პითაგორული პრინციპი უარყოფდა უწყვეტ წილადებს. მაგრამ ფილოლოაოსის ირაციონალური ინტერვალებით საქმე არ დასრულებულა, ძე. წ. მე-4 ს. პითაგორელმა არქიტამ ინტერვალთა პარმონიული შუაწევრით კომბინირების გზით კვლავ მიიღო ირაციონალური წერტილი და ა. შ. ამაზე ჩვენ აღარ შევაჩერებთ ყურადღებას, რადგან ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ამგვარი დაყოფის მხოლოდ თეორიული შედეგები.

ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები საშუალებას გვაძლევენ, რათა თვალი გავადევნოთ ამ პროცესს. პითაგორული პროპორციის შუაწევრთა პრინციპით მიღებული ახალი ინტერვალებით არქიტას საშუალება მიეცა აეწყო ენჰარმონიული და ქრომატიული სკალები [6. fr. 35A16, 36 A 17, 36A19]. ამ მეთოდთა ლოგიკური შედეგი იყო საკრავი ინსტრუმენტის სიმთა წყობის ახლებური გადახალისება, ხოლო პროპორციათა შუაწევრებით ინტერვალის დაყოფის პითაგორული პრინციპი კვლავაც არ შეცვლილა. მათემატიკის ისტორიკოსები თქტავის დაყოფის ანალოგიურ ოპერაციებს უკავშირებენ ანტიკურ ტრადიციაში დამკვიდრებულ პროცესს, რომელიც ანტიკურ გეომეტრიაში „თანამიმდეგრული გამოკლების“ (*ἀντανάμειρος*) სახელით იყო ცნობილი. ევკლიდეს „ელემენტთა“ და არისტოტელეს „ტოპიკის“ (Eucl. El. X. 2. Arist. Topica 155, 8) მიხედვით, ამ სიტყვის ვარიანტია *ἀντιμειρος* [2, 72; 13, 72—3; 15, 409]. ეს იყო პრინციპი გამოყენებული საერთო საზომის ძიების დროს. როგორც აღვნიშნეთ, მას იყენებდნენ გეომეტრიული მონაკვეთების მიმართ, მაგრამ მისი აქტუალურობა, როგორც ინტერვალთა დაყოფის ნიმუშებმა გვიჩვენა, მარტოოდენ, გეომეტრიით არ ამოიწურებოდა. თანამიმდეგრული გამოკლების პრინციპს სწორედ მუსიკალურ ინტერვალთა დაყოფასთან დაკავშირებით ვხვდებით ყველა იმ პითაგორულ ფრაგმენტში, რომელთა საფუძველზეც გამოვითქანეთ დასკვნები ინტერვალთა დაყოფის პრინციპებთან დაკავშირებით. ხოლო ცნობები პითაგორელ არქიტაზე ამ პრინციპს სწორედ რიცხვთა მიმართებების თეორიის კერძო შემთხვევას—რიცხვების საერთო ძირთა (*πυμύνη*) ძიების პროცესს უკავშირებდნენ (6. fragm. 35A17).

სანდო წყაროები იმასაც გვიდასტურებენ, რომ პითაგორული რიცხვი და რიცხვითი მიმართებები მოიპოვებოდა საგანშივე და არა საგნისაგან აბსტრაქციის სახით [6. 45 B ციკლი] და, როგორც ჩანს, ამიტომაც რიცხვის თეორიასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგ. ინტერვალთა დაყოფა, პითაგორულ ფრაგმენტებში ყოველთვის რალაც კერძო შემთხვევას ასახავდა. პითაგორელთა წრეში შემუშავებული თეორიული დებულება საგნისა და რიცხვის იგივეობის თაობაზე, მკვლევართა უმეტესობის აზრით, [8; 9; 10; 12], არქაული პერიოდის პითაგორაიზმისათვის უნდა ყოფილიყო სავარაუდო. რაკი

მოძღვრების გვიანდელ სტადიაზე, განსხვავებულ მოძღვრებათა ფონზე იქმნებოდა იმის ტენდენცია, რომ რიცხვი საგნისაგან განყენებულ მათემატიკურ აბსტრაქციად ელიარებინათ. აზრი იმის თაობაზე, რომ გვიანდელ ანტიკურობაში საბოლოოდ გაემიჯნა ერთმანეთს კონკრეტული საგნის ამსახველი რიცხვი და რიცხვი — აბსტრაქცია, პითაგორულ ფრაგმენტებშიც კი არის დადასტურებული. საკუთრივ პითაგორულ ფრაგმენტთა უმეტესობა [6. fragm. 45B] არ მეტყველებს იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც პითაგორელებს, თუნდაც გვიანდელი თაობის პითაგორელებს, უთუოდ უნდა გაეზიარებინათ ტრადიციული აზრი საგნისაგან განყენებული რიცხვების თაობაზე. მეცნიერებათა კონკრეტული ასპექტების მომცველი პითაგორული პარაფრაზები ყოველთვის ჯეროვნად ვერ გამოკვეთდა თეორიას რიცხვთა მიმართებებზე, ანუ, იგივე პროპორციებზე, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ თემატურად ერთმანეთისაგან იზოლირებულ ფრაგმენტებშიც კი ადვილად მიინიშნება მეცნიერებათა სხვადასხვა ასპექტების გამაერთიანებელი პრინციპი. ამდენად, თუკი ამ პრინციპის ძიებაზე და არა ცალკეულ მომენტთა ანალიზზე ავაგებთ გამოკვლევას, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ რიცხვითი მიმართებების ყველა ასპექტის — გეომეტრიის, ასტრონომიის და ა. შ. ფოკუსი კონცენტრირებულია რიცხვთა მარტივ მოქმედებებზე, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ნებისმიერი რიცხვითი მიმართებები არსებითად იყო იგივე პროპორციათა თეორია, ხოლო ამ უკანასკნელს, როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად ედო არა მარტო მიმატების, არამედ გამრავლების ოპერაციებიც. ამ თეორიის მიხედვით, ერთისა და სიმრავლის რთულ მიმართებათა თვალსაზრისით გამრავლება და გაყოფა იგივეობრივად შეიძლება წარმოგვედგინა — რაკი გამრავლებისა და გაყოფის შედეგები არსებითად იყო ერთი და იგივე სიმრავლე (— „არ არსებობს ორი ორმაგის გარეშე“....) [6. fragm. 18(8)14].

აღნიშნული პრინციპი დამოწმებულია ძვ. წ. მე-5 ს. პითაგორელის, ჰიპასოსის სახელთან დაკავშირებული ფრაგმენტის მიხედვით (ap. Boëth. inst. mus. II, 19). თავისთავად, მსგავსი პრინციპი უნდა ყოფილიყო იმ, ანტიკური რიცხვთა თეორიის საერთო საფუძველი, რომელიც ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, პითაგორული პრინციპების მიხედვით რთულ მიმართებებს აღიარებდა. გამოკლება, ამ პრინციპის თანახმად, შეიძლება ყოფილიყო მიმატების, გამრავლების, იგივე გაყოფის რთული კომბინაციები — ეს არითმეტიკული მოქმედებები ყოველთვის მიინიშნებოდა პითაგორული ფრაგმენტების ქვეტექსტებად. მიინიშნებოდა უმეტეს შემთხვევაში მეტისმეტად ბუნდოვნად, მაგრამ ჩვენ მეტნაკლები სიზუსტით თითქმის ყოველთვის შეგვიძლია ამოვიკითხოთ იგი. მიმართებების ერთ-ერთი ძირითადი მომენტის ანუ გამრავლების (და შესაბამისად გაყოფის) ფუნქციათა ნათელსაყოფად შეიძლება წარმოვიდგინოთ პითაგორელებზე არისტოტელეს ერთ-ერთი ცნობა [6. fragm. 45 B 27], სადაც პითაგორულ ამოსავალს, ანუ რიცხვთა რთულ — გამრავლებასა და მიმატებებზე დაფუძნებულ მიმართებას არისტოტელე უპირისპირებს საკუთარ აზრს — „საგანთა გვარს (γέννη), — აღნიშნავს არისტოტელე, განაპირობებს რიცხვთა ჯამი და არა ნამრავლი....“ მაგრამ პითაგორული პროპორციათა თეორია, როგორც აღვნიშნეთ, ცხადყოფდა მიმართებათა ისეთ სახეობას, რომლის პრინციპი ემყარებოდა სწორედ რიცხვთა შეჯამებას, და არა მარტო შეჯამებას, არამედ გამრავლებასაც და ჯამისა და ნამრავლის კომბინაციასაც. შესადაარებლად ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ რიცხვთა მოქმედების, ანუ მიმართებების ორი სახეობა, დაკანონებული, როგორც პითაგორულ, ასევე საერთო ანტიკურ ტრადიციაში — ეს იყო მი-

მართებები—ე. წ. „მრავალჯერადები“ (πῖλλαπλασιασμοί), რაც, მარტივად რომ ვთქვათ, ემყარებოდა გამრავლებას და ე. წ. „ეპიმორული“ (ἐπιμορφές), რაც სიტყვისიტყვით ნიშნავს „ზე-ნაწილობრივი“, ანუ „ამა თუ იმ რიცხვით მნიშვნელობაზე ერთი ნაწილით აღმატებული“ მიმართებები. მათი თანამედროვე ფორმულა არის $\frac{n+1}{n}$ [9, გვ. 85—86]. ამ ფორმულის მიხედვით, ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ მიმართების ელემენტარული პრინციპები—გამრავლება და მიმატება.

ელინისტური პერიოდის მეცნიერის, ევკლიდეს „ელემენტა“ კრებულში წარმოდგენილია ამ მიმართებათა წმინდა თეორიული განმარტებები. პითაგორულ ფრაგმენტებში კი „ეპიმორული“ და „მრავალჯერადი“ მიმართებები დამოწმებულია კერძო შემთხვევებთან დაკავშირებით—მაგალითად, ეპიმორულ მიმართებებს შეესაბამება პითაგორული ძირითადი ინტერვალები. ოქტავა (2:1) კვინტა (3:2), კვარტა (4:3) და მთელი ტონი (9:8). მათ აერთიანებს „ეპიმორულობის“ საერთო პრინციპი— $(n \times 1):n$. [13, გვ. 217]. მსგავსი კერძო შემთხვევები, თუკი მათ საფუძვლად დავუშვებთ თეორიულ პრაქტიკს, ჩვენ შეგვიძლია განვაზოგადოთ იმდენად, რომ წარმოვიდგინოთ აზროვნების შემდეგნაირი ლოგიკა: ყველა ის მოაზროვნე, ვინც მრავალჯერად და ეპიმორულ მიმართებებს აღიარებდა (და მათ შორის არც პითაგორელები ყოფილან გამონაკლისი), სამყაროში არსებულ საგნებსა და მოვლენებს ერთმანეთს დაუკავშირებდა არა რაოდენობრივი მატების, არამედ რაოდენობათა კომბინაციების რთული სისტემის მიხედვით. ასეთი სისტემის კლასიკური ნიმუში კი არის პითაგორული რიცხვითი მიმართებები. ამ შემთხვევაში საგანთა რაობის არსებითი განმსაზღვრელი, ანუ არისტოტელეს ენაზე „გვარი“ ვერ იქნება მხოლოდ რიცხვთა ჯამი. მაშასადამე, პროპორციათა პითაგორული თეორია რაგინდ კერძო შემთხვევის სახით არ უნდა ყოფილიყო იგი წარმოდგენილი, თავისი არსით ცხადყოფდა რთულ მიმართებებს, სადაც მატერიალიზებულ რიცხვთან, იგივე საგანთან დაკავშირებული ყოველი კონკრეტული შემთხვევა დაიყვანებოდა რიცხვთა ჯამზე და ნამრავლზეც, ანუ რიცხვთა პოზიციაზე, ერთი რიცხვის მიმართებაზე მეორე რიცხვთან.

მაგრამ ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ტრადიციული ანტიკური და პითაგორული მოძღვრებიდან გამომდინარე თეორია აუცილებლად გულისხმობდა მთელ რიცხვთა რთულ მიმართებებს. წილადები ამ თეორიისათვის მიუღებელი იყო [9, გვ. 90—1; 15, გვ. 173—4]. მაშინ იბადება კითხვა: რაწარად დაუშვა ირაციონალურობა პითაგორულმა მიმართებების თეორიამ ოქტავის დაყოფასთან დაკავშირებით. პითაგორულ ინტერვალთა სისტემაში ხომ ტონის არც ერთი შემადგენელი—არც ლეიმა, არც დიასქისმა არ ემყარებოდა რაციონალურ, ანუ მთელ რიცხვთა მიმართების პრინციპს იმდენად, რამდენადაც მათი შესაბამისი რიცხვები არც „მრავალჯერადობის“, არც „ეპიმორულობის“ პრინციპს არ ასახავდა. გარდა ამისა, ირაციონალურობის სხვა, დღეს კიდევ უფრო ცნობილი შემთხვევებიც იყო დადასტურებული პითაგორელთა წრეში: მაგალითად გეომეტრიის იმ სფეროში, რომელიც დღეს სპეციალისტთა წრეში პითაგორულ გეომეტრიად არის აღიარებული—რაკი მას რიცხვითი თეორიის პრინციპები უღვევს საფუძვლად—აღმოჩნდა კვადრატის გვერდისა და დიაგონალის, ანუ 1 და 2 რიცხვის შესაბამის მონაკვეთთა უთანაზომობა ($-\sqrt{2}$ ირაციონალურობა). ამ ფესვსაც არ მოჰყვება მთელი რიცხვების შესაბამისი რაციონალური პასუხი, მაგრამ შეიძლება თუ არა ირაციონალურობის ყველა ზემოთ დამოწმებული კერძო შემთხვევა დღევანდელ მკვლევართა კვალდაკვალ [მაგ., 10, გვ. 15] პითაგორ-

ული აზროვნების განვითარებისათვის სერიოზულ დაბრკოლებად ჩაგვეთვალა? საგანგებოდ ვიმოწმებ ამ აზრს, რაკი მას აღიარებს თითქმის ყველა თანამედროვე სპეციალისტი, ვინც კი იკვლევს პითაგორაიზმის ისტორიას; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პითაგორული მეცნიერების ისტორიკოსები [2; 3; 9; 13] ირაციონალურობის კერძო შემთხვევათა აღმოჩენებს პითაგორულ რიცხვთა თეორიისათვის გამოუვალ დაბრკოლებად არც კი აღიარებენ. მაგრამ საერთოდ, პითაგორულ უთანაზომობასთან დაკავშირებით თეორიათა სიმრავლეს განაპირობებს შემდეგი ფაქტი: ჩვენ რიგიანად არც კი ვიცით საქმის რეალური ვითარება, უფრო სწორად ხელთ არა გვაქვს მასალა და შესაბამისად, არა გვაქვს სანდო კრიტერიუმები ტრადიციულ ანტიკურ და პითაგორულ მეცნიერებათა შეპირისპირებისათვის, ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად, ვისაუბროთ პითაგორულ რიცხვთა მიმართებების პრინციპზე, მაგრამ მხოლოდ მიახლოებით თუ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ პითაგორულ-სისტემაში ერთიანობის ამოსავალი, პირველი რიცხვი „ერთი“ (τὸ εἶς, 6.fr.45B28, 29), მისი გამრავლების პრინციპები, მიმართებების შუაწევრები, როგორცდავინახეთ, უფრო ადვილად დასტურდება. ერთ-ერთ სირთულეს ქმნის ის ფაქტიც, რომ პითაგორულ მოძღვრებაში რიცხვი „ერთი“ არ იყო ერთმნიშვნელოვანი, პითაგორელთა მსოფლმხედველობის მიხედვით იგი შეიძლება ყოფილიყო სამყაროც, რიცხვიც და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიცხვითი მიმართებების გამაერთიანებელი პრინციპიც. შეიძლება ყოფილიყო იგი საერთო საზომიც, რომელიც ნებისმიერ სიმრავლეს, ნებისმიერ გარდაქმნას და ცვალებადობას განასახიერებდა. მართალია სიმრავლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიკური მეცნიერული ტრადიციის თანახმად, მრავალი ერთის სახით გაიაზრებოდა, მაგრამ ეს სიმრავლე ანტიკური აზროვნების ნებისმიერი მიმართულების მიმდევარს სხვადასხვაგვარად შეიძლება წარმოგვედგინა.

! არისტოტელესათვის, როგორც ვიცით, ეს სიმრავლე იყო რიცხვთა ჯამი, პითაგორელთათვის—ჯამიცა და ნამრავლიც და მათი კომბინირებაც. ერთიანისა და სიმრავლის მიმართებას კონკრეტულად ასახავდა, მაგალითად პითაგორული კოსმოგონია [6.fr.45B28, 29, 30], ხოლო ამავე მიმართების ზოგად პრინციპს უნდა გვკარნახობდეს ის პითაგორული ფრავმენტი, რომელიც გვაუწყებს პრინციპს—არ არსებობს ნაწილი მთელის გარეშე, ანუ „ორმაგი ორის გარეშე, სამმაგი სამის გარეშე“ და ა. შ. [6. fragm. 18 (8)15] |.

მაშასადამე, რიცხვთან ანტიკური ტრადიციული თეორიის თანახმად, დაუყოფელი ნაწილი შეიძლება წარმოგვედგინა, როგორც იგივე მთელი, ოღონდ დასაშვები იყო ასეთი მთელი ერთიცა და მრავალიც. პითაგორული მოძღვრების მიხედვით, სიმრავლე აღიქმებოდა, როგორც ამ ელემენტარულ მთლიანობათა მიმართება. იყო თუ არა მსგავსი აზრები ასახული და ფიქსირებული ანტიკურ რიცხვთა თეორიაში? სანიშნოდ მოვიყვანოთ რიცხვთა ტრადიციული თეორია, წარმოდგენილი ევკლიდეს „ელემენტთა“ ყველაზე არქაულად აღიარებულ მე-7 წიგნში [7, გვ. 66—7; 3, გვ.47—9] Eucl. Elem. VII def. 3—„რიცხვი არის რიცხვის ნაწილი (μέρος) — იგულისხმება მაშასადამე, დაუყოფელი, რაციონალური ნაწილი—„უმცირესი უდიდესისა, როცა იგი უდიდესის საზომია“ შეად. იქვე def. 4: „ნაწილები არის (იგულისხმება „რიცხვი“), როცა იგი არ არის მისი“ (იგულისხმება მეორე რიცხვის)—„საზომი“. ეს ყოველივე უკვე მოწმობს იმას, რომ რიცხვთა ძველი თეორიაც წინდახედულად ითვალისწინებდა გამოსავალს თეორიულად დაუშვებელი ირაციონალურობისაგან თავის დასაზღვევად. ნაწილისა და ნაწილთა შეუთავსებლობის შემთხვევაში ირაციონალურობას განა-

პირობებდა უწყვეტი წილადი. ევკლიდეს „ელემენტთა“ მე-7 წიგნში დამოწმებულია რაციონალურის და ირაციონალურის სხვადასხვა გამოვლინებების მიმანიშნებელი სხვა, ჩვენის აზრით, საინტერესო დეფინიციები. მაგრამ სანიშნოდ ზემოთ დამოწმებულსაც შეიძლება დავკერძოთ. მეცნიერების თანამედროვე ისტორიკოსები დასაშვებად მიიჩნევენ იმ აზრს, რომ ევკლიდეს „ელემენტთა“ ამ წიგნში დადასტურებული დეფინიციების მსგავსი განსაზღვრებები არსებობდა ჯერ კიდევ არქაულ ხანაშიც, პითაგორელთა ადრინდელი თაობის დროს, და თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, — ფაქტიურად, ამის საწინააღმდეგო საბუთები ჩვენ არ მოგვეპოვება—უნდა დავუშვათ ისიც, რომ უთანაზომო რიცხვების (ანუ იგივე „ნაწილისა“ და „ნაწილების“) აღიარებით ძველი ტრადიციების ამსახველი რიცხვითი თეორია თავად აღიარებდა და შეგნებულადაც დაუშვებდა ირაციონალურობების შემთხვევებს. ჩვენ შეიძლება არ გავიზიაროთ მეცნიერების ისტორიკოსთა კატეგორიული აზრი იმის თაობაზე, რომ ევკლიდეს „ელემენტთა“ მე-7 წიგნის დეფინიციები უთუოდ პითაგორულია [2; 7; 9]. ევკლიდე არასდროს არ ასახელებს თავის წყაროს. მაგრამ, აღნიშნული დეფინიციები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული ძვ. წ. მე-5 ს-ზე. ანუ პითაგორაიზმის მეცნიერულ დებულებათა ჩამოყალიბების საეტაპო სტადიაზე უფრო წინა, რადგან, როგორც გვიმოწმებს იგივე ევკლიდეს „ელემენტთა“ აქ სხვა წიგნებში წარმოდგენილია რიცხვითი მიმართების სხვა, კლასიკურ ტრადიციასთან უფრო შესაბამისი დეფინიციები (მაგ. Eucl. Elem. მე-5 წიგნში), ირაციონალურობისაგან თავაზღვევის მიზნით დაახლ. ძვ. წ. მე-4 ს-დან უკვე შექმნილი იყო ახალი რიცხვითი თეორიები, მაგრამ რაკი ევკლიდეს VII წიგნი არ არის რიცხვის პითაგორულ თეორიებზე უშუალო წყარო, ამ წიგნში მოყვანილი დებულებები ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შევეუბირისპიროთ პითაგორულ მონაცემებს და ამის საფუძველზე ვიმსჯელოთ—ლოგიკურია თუ არა აზრი იმის თაობაზე, რომ პითაგორულ მოძღვრებაში ირაციონალურობასთან დაკავშირებულ შემთხვევებს საფუძვლად უდევს ევკლიდესული, „ნაწილისა“ და „ნაწილების“ მსგავსი პრინციპი, ზემოთ ჩვენ სწორედ ამ მიზნით წარმოვადგინეთ უთანაზომო ინტერვალები, ანუ პითაგორულ ფრაგმენტებში დადასტურებული ინტერვალთა საზომი ერთეული — „ტონი“ და ტონთან შეუფარდებელი მისი ნაწილები მაგ. „ლეიმა“, („ნაშთი“) და „დიესისი“ (დაახლ.—„გაშვებული“).

პითაგორელთა მოძღვრების მიხედვით, ზემოთ დასახელებული ინტერვალები ანუ ტონი ($\tau\acute{o}\nu\sigma$) და მისი შემადგენელი უმცირესი, ტონის რიცხვებთან უკვე შეუფარდებელი ელემენტები მუსიკის თეორიაში გამოხატავენ იმავე პრინციპს, რაც რიცხვთა თეორიაში „ნაწილისა“ და „ნაწილთა“ დიფერენცირებას ელო საფუძვლად. ამ საკითხთან დაკავშირებით, ოქტავის შემადგენელ რიცხვთა ფიზიკურ კომპონენტზეც შეიძლება გავამახვილოთ ყურადღება. ავიღოთ, მაგალითად, ინტერვალთა მთავარი საზომი ერთეული, „ტონი“ — $\tau\acute{o}\nu\sigma$ (ზმნიდან $\tau\acute{\epsilon}\lambda\upsilon\sigma$ რომელიც ბერძნულ ენაზე ნიშნავს „დაძაბულობას“, კონკრეტულ შემთხვევაში კი „ზევრის სიმალეს“. სწორედ რაღაც, ფიზიკური კომპონენტის, მაგ. საკრავის სიმის დაძაბულობის შესაბამისად, გამოხატავენ ტონს რიცვი—9:8. რიცხვისა და მისი ფიზიკური შემადგენლის მიმართებათა თვალსაზრისით საგანგებოდ ყურადღებას იპყრობს პითაგორულ ფრაგმენტებში დადასტურებული ერთი საინტერესო დაკვირვება: პითაგორელთათვის, როგორც ჩანს, არ უნდა ჰქონოდა გადაწყვეტი მნიშვნელობა, თუ რომელი კონკრეტული სხეულით ანუ, რომელი საკრავით იქნებოდა წარმოდგენილი ტონთა თანამიმდევრობა, მთავარი იყო ის, თუ რა

სიმაღლის ბგერებს რომელი რიცხვები შეესაბამებოდა. მაგრამ მიმართებათა პრინციპი ყოველთვის უცვლელად იყო წარმოდგენილი—ერთნაირი მიმართებები ერთნაირი სიმაღლის ტონებს, განსხვავებულები კი—განსხვავებული სიმაღლის ტონებს. მუსიკის თეორიის სპეციალისტები, ზემოთ მოყვანილ აზრს პითაგორულ პრინციპად აღიარებენ. მაგრამ რადგანაც პითაგორულ ფრაგმენტებში ამ თემაზე კონკრეტულად არ არის საუბარი, ამიტომაც თავს ვიკავებთ იმისაგან, რომ ეს დებულება კატეგორიულად პითაგორელთა წრეს მივაკუთვნოთ. თუმცა ვითვალისწინებთ, რომ ტრადიციული და პითაგორული ლოგიკა მოცემულ შემთხვევაში ურთიერთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს (ამას მოწმობს ანტიკური მუსიკის თეორიაზე ჩვენამდე მოღწეული ნებისმიერი ტრაქტატი [11]). მაშასადამე პითაგორაიზმის პოზიციიდანაც შემთხვევითი არ უნდა იყოს დიფერენცირება: „ერთნაირი“ — „განსხვავებული“ სიმაღლის ბგერები და ამასთანავე გამორიცხული უნდა ყოფილიყო ის, რომ განსხვავებული სიმაღლის ტონთათვის განსხვავება მოეცა ტონის შემადგენელ რიცხვებს, 9-სა და 8-ს. ისინი ყოველთვის მუდმივ სიდიდებდა აღიქმებოდა. პითაგორულ სისტემაში „განსხვავებულ სიმაღლეთა შესაბამისი ტონების განსხვავება“ ოქტავის შემადგენელ ინტერვალთა ურთიერთმიმართებებზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული—ოქტავის ინტერვალთა „თანმიმდევრული გამოკლების“ პროცესთა შედეგები ხომ საბოლოოდ არ იყო რაციონალური. თუმცა ტონის ირაციონალურ შემადგენელთათვის ისევე, როგორც ტონისათვის, და საერთოდ, ძირითად ინტერვალთათვის პროპორციათა თეორიის საფუძველზე პითაგორელებს მონახული ჰქონდათ განსაზღვრული რიცხვითი ეკვივალენტები. უმცირეს ინტერვალთა შესაბამის ირაციონალურ რიცხვით მონაცემებს ფიზიკურად არ შეეფარდებოდა სიმის სიგრძე—რალაც გარკვეული სიგრძის სიმზე თანმიმდევრულად ნახევრის, შემდეგ 3/2-ის, 4/3-ის ამ უკანასკნელთა სხვაობის და ა. შ. გადაზომვის პროცესი უსასრულოდ გაგრძელდებოდა. თუმცა ამ შემთხვევაში ირაციონალურობასთან, ანუ უსასრულო დაყოფასთან დაკავშირებული „ხარვეზი“ იყო იმდენად მცირე, რომ ადამიანის სმენა უზუსტობას ვერც კი აღიქვამდა. მაგრამ რიცხვითი მიმართებების პრინციპზე დამყარებული პითაგორული თეორიისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ ფაქტს, რომ 1:2 თანაფარდობის შესაბამისი სიმი, ან სიმები ვერ დაიყოფოდა რაციონალურ ნახევრებად. ეს უნდა ყოფილიყო სერიოზული დაბრკოლება, მაგრამ პითაგორელებზე არც ერთი ცნობა ამგვარ შეფასებას არ გვიღიასტურებს, საბოლოოდ $\frac{n+1}{n}$, „ეპიმორულ“ მიმართებათა, ანუ მუსიკის თეორიაში შესაბამის ინტერვალთა (1:2, 4:3, 3:2, 9:8) ირაციონალურობის დადასტურებით პითაგორელმა არქიტა ტარენტელმა ძვ. წ. მე-4 ს-ში ღირსეულად დააგვირგვინა პროპორციებით ოქტავის დაყოფის პროცესი, დაწყებული ჭერ კიდევ ძველი თაობის დაახლ. ძვ. წ. მე-5 ს. I ნახ. პითაგორელთა წრეში [3, გვ. 160—2; 13, გვ. 148—155; 15, გვ. 409—415] თანაზომად და უთანაზომო ინტერვალთა თეორიულ საფუძველთა დამადასტურებლად შეიძლება დავიმოწმოთ ე. წ. ევკლიდეს ტრაქტატი „კანონის კვება“ [11, გვ. 148 — 166] და, გარდა ამისა მუსიკალურ თეორიასთან დაკავშირებული სხვა ტრაქტატებიც [11].

მართალია, ამ თეორეტიკოსთა მოღვაწეობა თანხვედრებოდა პითაგორელთა მოღვაწეობის შემდგომ პერიოდს, მაგრამ მათ ტრაქტატებშიც ჩანს პითაგორული პრინციპების კვალი. უთანაზომო მონაკვეთები არა მარტო მუსიკის თეორიაში იყო აღიარებული, არამედ აგრეთვე რიცხვით თეორიაზე დაფუძნებულ პითაგო-

რულ გეომეტრიაში. გეომეტრიაში ხომ, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-4 ს-მდე იქნა აღმოჩენილი უთანაზომო რიცხვთა შესაბამისი უთანაზომო მონაკვეთები—კვადრატის გვერდი ($= 1$) და დიაგონალი ($= 2$). ირაციონალურობის აგრეთვე კანონიზაციას გვიანდელ პითაგორულ ტრადიციაში აღასტურებდა აგრეთვე პითაგორელ არქიტასთან დამოწმებული მოძღვრება თანახმოვან (ანუ კონსონანტ — *σύνφωνοι*) და არათანახმოვან (ანუ დისონანტ—*ἑσφαστοι*) მიმართებებზე (*ἀρμονία*), ხოლო რამდენადაც ამ თეორიის თანახმად არათანახმოვან, ანუ არარაციონალურ მიმართებათა შესაბამისი ინტერვალები დაშვებული იყო თანახმოვანი, ანუ რაციონალური მიმართებების შესაბამისი ინტერვალები პარალელურად, ამით არათანახმოვან მიმართებათა არსებობის ფაქტიც უკვე შეგნებულად თეორიის დონეზე იყო აღიარებული. დისონანსები, თუმცა ისინი არსებობდნენ, მაგრამ პითაგორულ ყაიდაზე მოაზროვნე თეორეტიკოსებს, საერთოდ, არ ევალდებოდა მათზე ყურადღების გამახვილება. პითაგორულმა და ტრადიციულმა ანტიკურმა თეორიამ დაადასტურა მხოლოდ ის, რომ დისონანსებს პროპორციის არავითარი შუაწევრი არ შეესაბამებოდა. აღსანიშნავია, რომ უკვე გვიანდელი პერიოდის მუსიკის თეორიული ტრაქტატები გვიდასტურებდა რაციონალური და ირაციონალური ინტერვალების განსაზღვრებათა ერთობ შეუსაბამო ტერმინოლოგიას. „რაციონალურს“ ამ ტრაქტატებში შეესაბამებოდა ტერმინი — *ἄρμονος* („გამოთქმადი“) ხოლო „ირაციონალურს“ — *ἄρμονος* (დაახლ. „უაზრო“). მაგრამ ესეც კი არ მეტყველებს თანაფარდობა-არათანაფარდობის, როგორც ძირითადი თეორიული პრინციპის წინააღმდეგ. საერთოდ, ყველა აღნიშულ შემთხვევაშიც ჩანს იგივე ლოგიკა, რომელიც ასახულია ევკლიდეს „ელემენტთა“ მე-7 წიგნის ღუფინიციებში ურთიერთის მიმართ თანაფარდ და არათანაფარდ რიცხვებზე — „ნაწილსა“ და „ნაწილებზე“. პითაგორული მოძღვრების თანახმად თანაზომადობასა და უთანაზომობაზე მიმანიშნებელი თეორიული პრინციპები, არსებითად, განუსაზღვრელის განსაზღვრების უზოგადეს პრინციპზე შეიძლება დაიყვანოს.

განსაზღვრულის პრინციპი, პითაგორული მოძღვრების მიხედვით, რიცხვით მიმართებაზე, ანუ არსებითად, ნებისმიერ თანაზომად სიდიდეებზე გავრცელდა. თანაზომადი კი პითაგორაიზმის შემადგენელი ნებისმიერი თეორიული მეცნიერების მიხედვით იყო ისეთი სიდიდეები, რომლებიც რიცხვითი მიმართებებით შეიძლება მოწესრიგებულყოფიერად განსაზღვრულიყო. მაშასადამე, სიმრავლეთა ერთიანობის პრინციპთა პარალელურად თავისი ადგილი დაიკავა თეორიაში არათანაფარდი, უთანაზომო სიდიდეთა სიმრავლემ, რომელთა აღმოჩენისა თუ გამოვლინების პროცესში დიდი როლი რიცხვთა მიმართების პითაგორულ თეორიას უნდა ეთამშა; და არ არის გამორიცხული პითაგორელთა თეორიის წვლილი არც უთანაზომობათა თეორიული კანონიზაციის პროცესში. ზემოთ წარმოდგენილი „არქიტას თეორემისა“ და თანახმოვანი და არათანახმოვანი მიმართებების თეორიის გარდა უთანაზომობის პრინციპს პითაგორულ კოსმოგონიურ ფრაგმენტებში წარმოადგენს კონცეპცია „განუსაზღვრელზე“, ანუ „უსასრულოზე“ [6. fr. 45 B ციკლი]. ფიზიკურ ასპექტში ამ სიტყვას შეესაბამებოდა განსაზღვრულ საგნებს შორის არსებული შუალედური სივრცე (*χῶρον*. ნ. 45B29) განსაზღვრელი წერტილებით ანუ კიდურა წევრებით (*ἄκρα*. fr. 33.2); გამოყოფილი ინტერვალი, პითაგორულ მუსიკის თეორიაში ეს შუალედური

მანძილი რიცხვთა მიმართებებს შორის მოქცეულ ინტერვალს (διάστημα) შეესაბამებოდა. ესა თუ ის გეომეტრიული ფიგურა, პითაგორული პრინციპების მიხედვით, უნდა გამოხატულიყო შუალედურ მანძილთან განსხვავებული წერტილების მიმართებით [6.fr. 32 A 12 და ა. შ.]

Небезынтересно, что результаты объективных научных исследований позволяют сделать важные обобщения и выводы, касающиеся индивидуальных особенностей дыхания. Л. Д. Работнов, в частности, считает, что вопрос дыхания решается индивидуально. «Приходится удивляться, — пишет он, — насколько разнообразны и подвержены вариации дыхательные движения у разных лиц при выполнении одних и тех же заданий, при издаваемом звуке при одних и тех же условиях» [15, с. 82].

А вот что говорит В. П. Морозов в своей известной работе «Тайны вокальной речи»: «Аппарат, однако, позволяет обнаружить, что не все дыхательные кривые ведут себя одинаково: между ними могут быть расхождения (подчеркнуто нами — И. Г.), зависящие от индивидуальных особенностей певца» [11, с. 7].

Выходит, что тип дыхания педагогу-вокалисту следует найти для каждого данного ученика в индивидуальном порядке, исходя из особенностей его дыхания, но отнюдь не навязывать ему насильственным путем какой-либо определенный тип дыхания, порой противоречащий его природной основе, не считаясь с индивидуальными особенностями типа его дыхания.

Некоторые педагоги нашего времени, успешно связывающие практические показатели с научно-объективными данными, справедливо считают, что тип дыхания варьируется в зависимости от целого ряда причин, обусловленных характером музыки, типом голоса, возрастом, голосовыми отличиями, положением корпуса, темпераментом и т. д. Исходя из этого, они считают, что усваивать один какой-либо тип певческого дыхания и неотступно держаться за него вредно.

Известная певица М. Н. Максакова вспоминает, что специально певческому дыханию ее учили целый год, после чего ей понадобилось три года, чтобы «разучиться» дышать по рекомендованному способу.

Из признанный известной певицы можно сделать вывод, что ее напрасно учили определенному способу дыхания. Благодаря ее второму педагогу М. Максакову она нашла оптимальный тип дыхания, соответствующий особенностям ее индивидуального типа дыхания и певческим данным.

Непревзойденный мастер дыхания С. И. Мигай считал, что «стандартизация дыхания ограничивает творческие возможности певца» [9, с. 166]. И мы полностью разделяем его мнение.

Практика показывает, что можно с одинаковым успехом петь при любом типе дыхания. Напрасно некоторые считают парадоксальным, что великий Карузо пользовался грудным дыханием. Можно не сомневаться, что если бы педагоги пытались «перестраивать» его дыхание, то вряд ли он достиг бы своего вокально-исполнительского совершенства.

Поэтому предпочтение в вопросе выработки дыхания следует отдавать педагогам-вокалистам, которые не вырабатывают и не навязывают своим ученикам какой-либо один тип дыхания, а не тем, которые ломают индивидуальные дыхательные способности ученика неким стандартным, «заштампованным» дыханием, которым молодой певец обязан пользоваться всегда и во всех случаях своей певческой деятельности.

Следует помнить, что стандартизация дыхательных движений самым отрицательным образом сказывается, с одной стороны, на художественно-исполнительской деятельности певца, а с другой — на развитии и совершенствовании его индивидуальной творческой природы.

Какой вывод можно сделать по вопросу выработки певческого дыхания?

Дыхание разного типа должно вырабатываться на певческом звуке в органической взаимосвязи с освоением художественного произведения, исходя из его содержания и настроения, с учетом индивидуальных особенностей певца, его художественно-эстетической индивидуальности.

Обобщая вышесказанное, считаем необходимым, в целях изучения индивидуальных особенностей певца, а также для разработки целого ряда важнейших проблем вокальной педагогики и исполнительства, в ближайшее время открыть при Тбилисской консерватории им. В. Сарджишвили экспериментальную лабораторию по научному изучению психологии вокального творчества.

ЛИТЕРАТУРА

1. Багадуров В. А. Очерки по истории вокальной методологии., ч. II, М., 1931.
2. Гарсиа М. Школа пения. М., 1967.
3. Заседателов Ф. Ф. Научные основы постановки голоса. М., 1925.
4. Зданович А. П. Некоторые вопросы вокальной методики. М., 1965.
5. Корнилов К. Н. Психология. М., 1946.
6. Крамской И. П. Цит. по сб.: «Мастера искусства об искусстве», т. IV, М. — Л., 1937.
7. Левидов И. И. Певческий голос в здоровом и больном состоянии. М., 1939.
8. Львов М. Л. Из истории вокального искусства. М., 1964.
8. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1984, № 2



9. Мигай С. Дыхание в пении. — В сб.: «Вопросы вокальной педагогики». В. 4, М., 1969.
10. Мильштейн Я. И. Ф. Лист, т. II, М., 1956.
11. Морозов В. П. Тайны вокальной речи. Л., 1967.
12. Материалы конференции по вокальному искусству.—В кн.: Назаренко И. К. «Искусство пения», М., 1968.
13. Нейгауз Г. Г. Об искусстве фортепьянной игры. М., 1967.
14. Прянишников И. П. Советы обучающимся пению. М., 1958.
15. Работнов Л. Д. Основы физиологии и патологии голоса певцов. М., 1932.

Представлена Институтом психологии
им. Д. Н. Узнадзе АН Грузинской ССР

ჩვენს მემკვიდრეობა

რედაქცია აქვეყნებს „თბილისის უნივერსიტეტის მოამბეზე“ (№ 1, 1 ნაკვეთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი)¹ ს. დანელიას ბიბლიოგრაფიული შენიშვნის მეორე ნაწილს. რომელიც პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „განათლებაში“ (1920 წ. № 5). ამ შენიშვნის ერთი ნაწილი დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის 1983 წ. № 1-ში.

სერგი დანელია

რეცენზია შ. ნუცუბიძის წერილზე „ბუნებისათვის ცნებისა“

ზემოთ მე დავპირდი მკითხველს ბ. შ. ნუცუბიძის წერილის „ბუნებისათვის ცნებისა“ გარჩევას.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ავტორი მომწიფებული მკვლევარის სახით გვევლინება. ის სრულიად დამოუკიდებლად გრძნობს თავს თანამედროვე ფილოსოფიის მთავარ წარმომადგენელთა მიმართ.

ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ფილოსოფია 60-იანი წლების შემდეგ დაიპყრეს ეპიგონებმა, რომლებიც მთელ თავიანთ მნიშვნელობას გამოჩენილ ფილოსოფოსთა ნაწერების გადაღებულში ხედავენ. ამ ეპიგონების და უბადრუცი კომენტატორების წინააღმდეგ ნუცუბიძე სამართლიანად ილაშქრებს და ნათელობას „უკან კანტისაკენ“ გაბედულად უპირისპირებს თავის ლოზუნგს: „წინ კანტიდან“¹. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ ავტორს შეგნებული აქვს თანამედროვე ფილოსოფიის ნაკლი, რომლის გამო ავტორიტეტის წინაშე ბრმად მუხლის მოდრეკამ უკიდურეს ზომას მიაღწია და სრულიად მოსპოვებული შემოქმედება: სახელმა, ციტატამ, უსულო სქოლასტიკამ დაიპყრო თავისუფალი აზრი და ლამის სრულად მოკლას იგი. მართალია ამ სქოლასტიკას თავის დროზე ჰქონდა მნიშვნელობა. სქოლასტიკა, როგორც ერთხელ კონდორსემ აღნიშნა, გონების საწვრთნელად საუკეთესო სკოლაა. ასეთი სკოლა გერმანული ფილოსოფიისთვის საჭირო იყო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰეგელის მეტაფიზიკამ დაათრო გერმანელთა აზროვნება და დაუკარგა მას სინამდვილის ალო, მაგრამ სკოლასაც უნდა ჰქონდეს თავისი საზღვარი. ვაი იმას, ვინც სამუდამოდ მოწაფედ რჩება. ნუცუბიძემ შეიგნო, რომ ფილოსოფიისთვის მომავლდინებელი ცოდვაა თავისი აზრიდან განდგომა და ავტორიტეტის წინაშე ბრმად მუხლის მოდრეკა. ამიტომ იგი ეძებს ფილოსოფიაში თავის გზას. როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, მას ეს გზა კიდევაც მოუწაავს და თუ ბოლომდე არ გაუვლია, ყოველ შემთხვევაში ამ გზის მთავარი მიმართულება წარმოდგენილი აქვს. ეს უკვე დიდია ახალგაზრდა მეცნიერისათვის. ვნახოთ, რა გზაა ეს.

¹ თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, გვ. 23.

კვლევა-ძიების მიზნად ნუცუბიძე ისახავს „ალეთოლოგიას“. ეს სრულიად ახალი მოვლენაა ფილოსოფიის ისტორიაში. მისი სავესებით გარკვევა ჯერჯერობით ავტორისთვისაც ამოცანაა. წერილი „ბუნებისათვის ცნებისა“ ერთი ცდაა „ალეთოლოგიის“ გარკვევისა. ცნებისადმი მისი დამოკიდებულების გააზრებით „ალეთოლოგია“ არკვევს ცნების ბუნებას და ამავე დროს თვით „ალეთოლოგიის“ ბუნებაც ირკვევა. ცნების ახალი ინტერპრეტაციის აუცილებლობა ავტორისათვის იმით არის გამოწვეული, რომ არსებული ცნების თეორიები არ აკმაყოფილებენ მას². ამ თეორიებს ნუცუბიძე ორ ჯგუფში ათავსებს. ერთს უწოდებს ტრადიციულ მიმართულებას, მეორეს ტრანსცენდენტალურს. ტრადიციული მიმართულება ცნების ბუნებას მისი გენეზისის განხილვით ხსნიდა. მისთვის ცნება იყო განყენების გზით მიღებული ზოგადი წარმოდგენა. შინაარსის მხრივ ტრადიციული ლოგიკის ცნება უფრო ლარიზია, ვიდრე ის კერძო შემთხვევები, რომლებიც საფუძვლად დაედო განყენების პროცესს. რაც უფრო მოწყვეტილია იგი სინამდვილეს, რაც უფრო ზოგადია მისი შინაარსი, ტრადიციული ლოგიკის თვალსაზრისით, მით უფრო მაღალია ცნების ბუნება. ამ მიმართებას ცნების შინაარსსა და მის მნიშვნელობას შორის ტრადიციული ლოგია გამოხატავდა წრეების საშუალებით. ავტორი აკრიტიკებს ტრადიციული ლოგიკის მოძღვრებას და აღნიშნავს, რომ ის სრულიად ვერ ასაბუთებდა (ან არ ასაბუთებდა — ეს ავტორისთვის ერთი და იგივეა) იმას, თუ რა უფლებით ვაერთებთ სხვადასხვა შემთხვევას მათი შედარების დროს. ეს საკითხი რომ გამოერკვია ტრადიციულ ლოგიკას, იგი მიხვდებოდა, რომ კერძო შემთხვევებიდან ცნების გამოყვანის შესაძლებლობა გულისხმობს ამ ცნების წინასწარმოცემულობას. ამგვარად, შეუგნებლად ტრადიციული ლოგია წრეში ვარდებოდა, როდესაც ის ზოგადის კერძოდან გამოყვანას ცდილობდა განყენების გზით. ვერ ხედავდა, რომ განყენება სრულიად ზედმეტია, რომ ზოგადი უკვე მოცემულია კერძოობითში.

ტრანსცენდენტალური ლოგია სხვაგვარად მიუდგა საქმეს. იგი ეძებს ცნებას არა ზოგად ნიშანთა ერთობლიობაში, როგორც აკეთებდა ტრადიციული ლოგია, არამედ წესში, რომელიც განსაზღვრავს ნიშანთა მიმართებას. ცნება არ არის შინაარსი, ის არის წარმოდგენათა შეერთების ფორმა ანუ წესი, როგორც წმინდა გონების ფუნქცია. ეს ფორმა არ მიიღება გარედან. გარედან მხოლოდ მასალა მოდის, რომელსაც იჭერს გონება ცნების საშუალებით. ცნების ბუნების განსაზღვრისათვის შინაარსს არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. მასალა პასიური მომენტია, ცნების ფორმა კი აქტიური. ტრანსცენდენტალური ლოგია ცნების აღსანიშნავად იყენებს არა წრეს, არამედ სწორ ხაზს. ცნება მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო შორისმწვდომია, რაც უფრო მეტ ფაქტებს ათავსებს თავის ხაზზე. ცნებაზე ასეთი შეხედულება ტრანსცენდენტალურმა ლოგიკამ მიიღო ტრანსცენდენტალური ფილოსოფიიდან, რის გამოც, პირველის ღირებულება განიზომება უკანასკნელის მნიშვნელობით. ამიტომ ავტორი მოკლედ ეხება ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის ზოგიერთ მნიშვნელოვან მომენტს და ასკვნის, რომ ტრანსცენდენტალური ლოგია, რომელიც ასე სასტიკად აკრიტიკებდა (?) ფორმალურ ლოგიკას და აბრალებდა მას ლოგიკურ წრეში ჩაგარდნას თვითონ სჩადის მსგავს შეცდომას. წინასწარ ლებუ-

² ეს საჭიროება როგორც ჩანს ავტორის წინაშე წამოიჭრა უკვე მაშინ, როდესაც ის წერდა გამოკვლევას ბოლცანოზე. იხ. მისი «Большано и теория науки». Вопр. филос. и психол., 1913.

ლობს იმას, რასაც შემდგომ ეძებს. ტრანსცენდენტალური ლოგიკა ვერ ასაბუთებს, რატომაც ცნება სავალდებულო, და ფსიქოლოგიზმის მორევეში იხრჩობა³. საბოლოოდ როგორც ფორმალური, ისე ტრანსცენდენტალური ლოგიკა მათი გარეგნული წინააღმდეგობის მიუხედავად ერთსა და იმავე საფუძველს ეყარება. ესაა დებულება „შეუძლებელია ფენომენი ერთ და იმავე დროს ზოგადი იყოს და კერძობითი“⁴. ტრადიციული ლოგიკა არაცნობიერად უარყოფდა თავის უღრმეს საფუძველს. ის გაცნობიერების გარეშე ლებულობდა, რომ კერძობითში მოცემულია უკვე ზოგადი. მაგრამ ეს გაცნობიერებლობა არაფერს ამტკიცებს. ბოლოს და ბოლოს ფორმალური ლოგიკისთვის ზოგადი არსებობდა კერძობითიდან განყენებულად. რაც შეეხება ტრანსცენდენტალურ ლოგიკას აქ, ეს უფრო ცხადია. ფორმა, როგორც წარმოდგენათა შეერთების წესი, მოდის გონებიდან და შემეცნების მასალისაგან სრულიად განცალკევებულად არსებობს. რაკი ავტორმა მონახა ორი ცალმხრივი ლოგიკური მიმართულების საერთო საფუძველი, ტრადიციულისა და ტრანსცენდენტალურის, ის თავისი არგუმენტაციის უძლიერეს საბუთებს მიმართავს ამ საფუძველის დასანგრევად. მთელი წერილის ძარღვი, თუ ასეთ შემაერთებელ ძარღვზე შეიძლება ლაპარაკი, მდგომარეობს სწორედ იმის მტკიცებაში, რომ მცდარია აზრი, თითქმის ფენომენში შეუძლებელია ზოგადი და კერძობითის შეთავსება. ნუცუბიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფენომენში ერთდროულად მოცემულია როგორც ზოგადი, ისე კერძობითი. ზოგადის და კერძობითის ამ რეალურ და ფენომენალურ სინთეზს გვასწავლის „ალეთოლოგია“, რომელიც ერთნაირად მაღლა დგას ტრადიციულ და ტრანსცენდენტალურ ლოგიკაზეც. რა არის ცნება „ალეთოლოგიის“ თვალსაზრისით? ცნება არის ფორმაც და შინაარსიც. როგორც ფორმა, ის წარმოდგენათა შეერთების წესია, როგორც შინაარსი, მრავალ ნიშანს შეიცავს, ფორმის და შინაარსის სინთეზის საფუძველი ინტუიციია, რომელსაც ნუცუბიძე კანტის ტრანსცენდენტალური ესთეტიკის „გრძობას“ უპირისპირებს. მაშ ცნება, როგორც შინაარსის და ფორმის სინთეზი, მოცემულია განცდაში, შემდეგ განსჯა შლის მას მსჯელობებში, გონება კი აერთებს დაშლილ ელემენტებს სილოგიზმში. ჩვენს შემეცნებაში ცნების დაშლას საფუძველად უდევს ამავე ცნების რეალობაში გაშლა. პირველი არის გზა „ჭეშმარიტებისა ჩვენთვის“ მეორე კი, „ჭეშმარიტებისა თავისთავად“. შემეცნების პროცესი იმაშია, რომ „თავისთავად ჭეშმარიტების“ სისტემის ერთხელ დარღვეული წონასწორობა იწვევს ამ ჭეშმარიტების გაშლას და გადაქცევას „ჭეშმარიტებად ჩვენთვის“.

ნუცუბიძის წერილი ბევრ აზრს აღვიძებს, ამიტომ ბევრ წინააღმდეგობასაც იწვევს. ეს თუ გნებავთ მისი დადებითი მხარეა და არა უარყოფითი. სამწუხაროდ ეს ნაშრომი ისე დაულაგებლად და უსისტემოდაა დაწერილი, რომ ძნელია (მე ვიტყვოდი შეუძლებელია) მისი სახეებით გაგება. იტყობა, რომ ავტორი ებრძვის თავის აზრებს და ჯერ კიდევ ვერ დაუმორჩილებია მათი სიახლე. ეს არაფერია. მთავარია ჭეშმარიტება. აღმოჩენილი ჭეშმარიტების სისტემატური დალაგება შემდეგ არც ისე ძნელი იქნება. „ალეთოლოგია“ ნუცუბიძის ფილოსოფიური შეხედულების საფუძველია. მისი აუცილებლობა გამოდის იმ

³ უნივერსიტეტის ნომზე, გვ. 29.

⁴ იქვე, გვ. 27.

წინააღმდეგობიდან, რომელიც აღმოაჩინა ნუცუბიძემ ფორმალურ და ტრანსცენდენტალურ ლოგიკას შორის, მაგრამ საკითხავია: 1. ფაქტობრივია თუ არა წინააღმდეგობა, რომელიც აღმოაჩინა ნუცუბიძემ ტრანსცენდენტალურ და ტრადიციულ ლოგიკას შორის. როდესაც ეს საკითხი გაირკვევა ისიც უნდა გამოვიკვლიოთ. 2. სწორად აღნიშნა ნუცუბიძემ თუ არა ამ წინააღმდეგობის მიზეზი. თუ ორივე საკითხი დადებითად გადაწყდა მაშინ დგება ახალი. 3. აუცილებელია თუ არა აღმოჩენილი წინააღმდეგობის მოსასპობად სწორედ „ალეთოლოგიის“ მიღება. თუ ამ კითხვამდე დადებითი პასუხი მივიღეთ, მაშინ ნუცუბიძის თეორია ცნების ბუნების შესახებ შეიძლება გახდეს ჩვენი მსჯელობის საგანი. განვიხილოთ პირველი საკითხი. რამდენად მართებულია მტკიცება ტრანსცენდენტალურ და ფორმალურ ლოგიკას შორის წინააღმდეგობის არსებობაზე. თუ ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის მამამთავარს კანტს მოვუსმენთ, ის იმას გვეუბნებოდა, რომ ტრანსცენდენტალური ლოგიკა არა თუ არ ეწინააღმდეგება ფორმალურს, არამედ კიდევაც გულისხმობს მას. როგორც ვიცით, კანტმა ტრანსცენდენტალური კატეგორიების ცხრილი ააგო ფორმალური ლოგიკის მოძღვრებაზე. ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ „წმინდა გონების კრიტიკას“ საფუძვლად უდევს ფორმალური ლოგიკის მოძღვრება ცნებასა, მსჯელობასა და სილოგიზმზე. მაშასადამე, თუ კანტი, ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის დამაარსებელი, ვერ ხედავდა წინააღმდეგობას ტრანსცენდენტალურ და ფორმალურ ლოგიკას შორის, ნუცუბიძეს უნდა ჰქონდეს მძლავრი საბუთები, როდესაც ის ფიქრობს, რომ ასეთი წინააღმდეგობა არსებობს. მართალია კანტის შემდეგ შექმნილ ბურჟუაზიულ საზღვრები წაიშალა და შეხლა-შემოხლის ქაოსში თავისიანი თავისიანს ვერ ცნობდა, მართალია ისიც, რომ ფორმალური ლოგიკის ტრანსცენდენტალურთან დამოკიდებულება ბევრმა ვერ გაიგო, მაგრამ რა გამოდის აქედან? გაუგებრობის არსებობის მხოლოდ ისტორიული ფაქტი და მეტი არაფერი. თავისთავად შეიძლება ტრანსცენდენტალური ლოგიკა არც ეწინააღმდეგება ფორმალურს. და ის კორიანტელი, რომელიც ამ ბოლო ხანებში ატყდა ამ ორ დისციპლინას შორის დამოკიდებულების გარშემო (უმთავრესად ჰუსერლის მეშვეობით), შეიძლება მხოლოდ დიდი გაუგებრობის შედეგი იყოს. მაშასადამე ამას დასაბუთება სჭირდება. ნუცუბიძე კი ამ დასაბუთებას არ აქცევს საკმაო ყურადღებას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი დასაბუთებელ დებულებას ცვლის საწინააღმდეგოთი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ. ნუცუბიძის წერაში არ არის დამტკიცებული ის დებულება, რომ ცნების გაგებაში ტრანსცენდენტალურ და ფორმალურ ლოგიკას შორის არსებობს წინააღმდეგობა. ჩემი აზრით, ეს დებულება არა თუ არ არის დამტკიცებული ნუცუბიძის წერაში, მისი დამტკიცება სრულიად შეუძლებელია, ვინაიდან მართალია მისი უარყოფელი დებულება, რომ ტრანსცენდენტალურ და ფორმალურ ლოგიკას შორის არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა. თუ ამ წინააღმდეგობის ფაქტი დაუმტკიცებელია, მიუღებელია ის არგუმენტაცია, რომელიც ექვს ამ გამოგონილი წინააღმდეგობის მიზეზს. ამის გამო შეიძლება გამოგვეტოვებინა მეორე საკითხის განხილვა. მართალია თუ არა, რომ ტრანსცენდენტალურ და ტრადიციულ ლოგიკას შორის ცნების საკითხში წინააღმდეგობის მიზეზი სწორად აქვს აღნიშნული ნუცუბიძეს, მაგრამ ვინაიდან ამ საკითხის გაშუქებაში ნათლად ისახება ნუცუბიძის შეხედულება, საჭიროდ მიმაჩნია მასზე შეჩერება. ნუცუბიძე თავისი არგუმენტაციის ძირითად ნაკადს მიმართავს თეზისისაკენ; როგორც ფორმალური ისე ტრანსცენდენტალური ლოგიკა

ეყრდნობა იმ დებულებას, რომ „რაიმე ფენომენი შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს იყოს ზოგადიც და კერძობითიც“⁵. ეს თეზისი, სხვათა შორის, კარგად აქვს გამოთქმული ინტუიციონიზმის ავტორს ნ. ლოსკის, რომელთან ერთად ნუცუბიძე ენერგიულად ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს დებულება არ არის მართალი, რომ ფენომენი შეიძლება ერთსა და იმავე დროს ზოგადიც იყოს და კერძობითიც. მერე ვინ უარყოფს ამას? ტრანსცენდენტალური ფილოსოფია, რომელსაც ნუცუბიძე ამ დებულებას მიაწერს, შორსაა იმ აზრიდან, რომ ზოგადი როგორც რეალობა არსებობს ფენომენის გარეშე. ზოგადი ანუ მოვლენათა გაშლილი წესი ჩანასკვლია თვით მოვლენებში და მათ გარე არ არსებობს. რა არის მოვლენა? იგი არის ნაყოფი გონების შემოქმედი ფორმის და შეგრძნების პასიური მასალის სინთეზისა. ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის განსხვავება დოგმატური პლატონიზმისაგან სწორედ იმაშია, რომ მისთვის არ არსებობს კითხვა, რა უფლება აქვთ ამ ფორმებს მოვლენებში შეჭრის. ფორმა ფაქტია. შეიძლება კითხვა დაისვას მისი ტრანსცენდენტალური დედუქციის შესახებ, მაგრამ ეს დედუქცია არაფერს მატებს ფორმის ღირებულებას. ის არ ამართლებს მას და არც ფორმის წარმოშობის ახსნაა. პირიქით, ფორმის სიცხადე თვითონ ფენს ნათელს მსოფლიოს აგებულებას. ეს დედუქცია შეიძლება იყოს მხოლოდ განმარტება ფორმის მიღების ლოგიკური პირობებისა წინააღმდეგობის პრინციპის დაცვით. ამგვარად, ვინც ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიას ფორმის გამართლებას მოთხოვს (ასე აკეთებს ნუცუბიძე), ის უარყოფს განსხვავებას პლატონის იდეალიზმსა და ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიას შორის. მისთვის კრიტიციზმის განსაკუთრებული თვალსაზრისი (შემეცნების შესაძლებლობის მტკიცების შეუძლებლობა, როგორც ფილოსოფიის აშენების ამოსავალი წერტილი) რჩება შეგნების გარეშე. სად ვხვდებით ჩვენ ფორმებს? მოვლენებში. მოვლენების გარეშე მათ მნიშვნელობა ეკარგებათ, ამიტომ მოვლენების გარეშე მათ არსებობაც არა აქვთ, ვერ ხორციელდებიან და მხოლოდ განყენებულ წარმოდგენებად რჩებიან. ამ შემთხვევაში ფორმის წარმოდგენა არ განსხვავდება ფერის წარმოდგენისაგან, ისე როგორც წითელი ფერი არ არსებობს მოვლენების გარეშე, მიზეზობრიობაც არაა. ამას აღნიშნავს კანტი, როდესაც ამტკიცებს, რომ ჩვენი გონების პირველი ნაყოფი არის ცდა. და რა არის მოვლენა, თუ არა ცდის ნაყოფი. აქედან გამომდინარეობს, რომ მოვლენაში ან ფენომენში უკვე მოცემულია ფორმა. ცხადია შინაარსიც, ვინაიდან ცდა გონებისა და შეგრძნების ურთიერთობის პროცესში იქმნება. ამნაირად ზოგადი (ფორმა) და კერძობითი (მოვლენა) არა თუ გათიშული არ არიან, კანტის ფილოსოფიის მთავარი დამსახურება მათი ერთიანობის დასაბუთებაა. ყოველი შესაცნობი შეიმეცნება მოვლენაში — ფორმაც და შინაარსიც. მოვლენა კერძობითია (დრო და სივრცეში მოცემული ინდივიდუალობა), ფორმა ზოგადი. მაშასადამე, კერძობითობაში ზოგადი მჭიდროდ არის ჩანასკვლი ისე, რომ მისი გამოყოფა ძნელ რეფლექსიას მოითხოვს. ზოგადის კერძობითობაში ჩასმის შედეგია ფენომენი ანუ მოვლენა, ცდის ნაყოფი. მართალია კანტი ხშირად ისე ლაპარაკობს აღქმაზე, თითქოს ის არ იყოს ცდა, მაგრამ არასდროს არ შებარვია ექვი იმაში, რომ ცდა არის გარედან მიღებული მასალის გაფორმება და ამიტომ მასში ფორმა და შინაარსი, ზოგადი და კერძობითი განუყოფლად არიან დაკავშირებული.

⁵ უნივერსიტეტის მოამბე, გვ. 27.

ბოლოს და ბოლოს ამას ნუცუბიძეც აღიარებს⁶. მაშ, რას ეძებს ნუცუბიძე, თუ საძებნი ხელთ აქვს კანტის ფილოსოფიის სახით. და თუ ტრანსცენდენტალური ფილოსოფია არაფერ შუაშია, თუ მან ზოგადის და კერძობითის ერთიანობით მათი შეთავსება შეუძლებლად არ ცნო. ზოგიერთი ადგილიდან ჩანს, რომ ნუცუბიძეს ტრანსცენდენტალური ფილოსოფია არ მოსწონს იმისათვის, რომ მან ვერ მოუწახა საფუძველი ცნებაში ზოგადისა და კერძობითის, განყენებულის და კონკრეტულის ერთიანობას. როგორ ესმის ნუცუბიძეს სიტყვა „საფუძველი“, როგორც *ratio essendi*. მაგრამ მაშინ მისი სიტყვები უმართებულოა, რადგან ტრანსცენდენტალური ფილოსოფია ცდილობს ასეთი საფუძვლის მონახვას. ნუცუბიძე ამ ცდას „მითოლოგიურ ფსიქოლოგიაში“ და „ანთროპოლოგიაში“ ეძახის, მაგრამ სხვა საქმა, რამდენად მისაღებია შემეცნების ფაქტის კანტისეული დასაბუთება. ამის გასარკვევად უნდა დავალაგოთ კანტი და ყოველ მუხლში აღვნიშნოთ მისი შეცდომა. ამას ნუცუბიძე არ აკეთებს და თავის მოკლე წერილში ვერც გააკეთებდა. ამრიგად, დაუმტკიცებელია მოსაზრება, რომ კანტმა საფუძველი როგორც *ratio essendi* შემეცნების ფაქტს ვერ მოუწახა, ე. ი. მოვლენაში შინაარსისა და ფორმის კავშირს. მაგრამ ჩვენ იმის საბუთიც გვაქვს, რომ ნუცუბიძეს „საფუძველი“ ქვეშ შეიძლება ესმის ლოგიკური საბუთი ანუ *ratio cognoscendi*. რა უფლების ძალით ვეერთებთ ელემენტებს, კითხულობს ნუცუბიძე და საყვედურობს, ტრანსცენდენტალური ფილოსოფია რომ ვერ ჭრის ამ საკითხს. მაშასადამე, ნუცუბიძე ტრანსცენდენტალური ფილოსოფიიდან მოითხოვს დამტკიცებას, რატომ არის მოვლენაში მოცემული ფორმა და შინაარსის სინთეზი. რამდენად კანონიერია ეს მოთხოვნა და ვის შეუძლია მისი შესრულება. განა ჩვენი შემეცნების საფუძველები შესაძლებლად ზდიან მათ დამტკიცებას? არა. ვინაიდან ყოველი მტკიცება თვით უნდა ემყარებოდეს მტკიცების შესაძლებლობის საფუძველს (აღსანიშნავია, რომ ნუცუბიძე სხვა თხზულებაში (ბოლცანის შესახებ) ცნობს არგუმენტს). ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის უმთავრესი აზრი ისაა, რომ მან პირველად ისტორიაში შეიგნო ეს ფაქტი სათანადო სიღრმით. ვინც ამას არ იზიარებს, მან უნდა დაასაბუთოს თავისი შეხედულება. ნუცუბიძე ამას არ აკეთებს და არც აპირებს, რადგან მისი წერილიდან არ ჩანს, რომ ის არჩევდეს საფუძვლის ორმაგ მნიშვნელობას ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიაში. მაშასადამე, დაუმტკიცებელი, კიდევ მეტი, სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა დებულება, რომელიც ნუცუბიძის არგუმენტაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. თითქოს ტრანსცენდენტალურმა ლოგიკამ უარყო ზოგადის და კერძობითის ერთ მოვლენაში შეთავსება და თითქოს, ტრანსცენდენტალურმა ფილოსოფიამ ვერ მოუწახა საფუძველი მათ სინთეზს.

დაგვრჩა საკითხის მეორე ნახევარი. ნუცუბიძე იმავე ბრალს დებს ფორმალურ ლოგიკას, რომ შეუძლებელია ერთ და იმავე დროს რაიმე ფენომენი ზოგადიც იყოს და კერძობითიც ფორმალური ლოგიკის მიხედვით. ნუცუბიძის არგუმენტაციის ეს მუხლიც საფუძველს მოკლებულია, რადგან ფორმალური ლოგიკა ვერ გაიხიდა თავის საფუძველად იმას, რაც ლოგიკის სფეროს გარეთაა. საკითხი ფენომენის აგებულების შესახებ გნოსეოლოგიურია და ფორმალური ლოგიკა განურჩეველია სხვადასხვა გნოსეოლოგიური თეორიების მი-

⁶ უნივერსიტეტის ზომზე, გვ. 37, 27 და სხვაგანა.

მართ. ფორმალურ ლოგიკასა და გნოსეოლოგიას შორის ისეთივე მიმართება: როგორც ლოგიკასა და ფიზიკას ან ქიმიას შორის. ლოგიკა სხვა დისციპლინაა, გნოსეოლოგია სხვა. მართალია, ნუცუბიძის აზრით, ესენი უნდა შეერთდნენ ალეთოლოგიაში, მაგრამ განა შეიძლება ალეთოლოგიის ამოცანების საზომით მივედგეთ რეალურად არსებულ მეცნიერებას ლოგიკას და პასუხი ვაგებინოთ იმისათვის, რისთვისაც თავის დანიშნულების მიხედვით არ აგებს პასუხს. ფორმალურ ლოგიკას არ ესაქმება იმ საკითხთან, როგორ არის ფენომენში შესაძლებელი ზოგადისა და კერძობობის ყოფნა. ფორმალური ლოგიკა ღებულობს როგორც ფაქტს მოვლენის მრავალსახიანიზობას და იწყებს თავის მოქმედებას მოვლენის გადასამუშავებლად. თვით ნუცუბიძეც აღიარებს თავის არგუმენტის უსწორობას, როდესაც ამტკიცებს, რომ ფორმალური ლოგიკა შეუცნობლად იღებს ფაქტში იმას, რასაც ის შემდეგ ცნებაში გამოყოფს (გვ. 17). ამით ნუცუბიძემ ცნო, რომ ფორმალური ლოგიკისთვის არ არსებობს ზოგადისა და კერძობობის შეუთავსებლობა. ზემოთქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, 1. ნუცუბიძეს არ დაუმტკიცებია წინააღმდეგობის არსებობა ფორმალურ და ტრანსცენდენტალურ ლოგიკას შორის. 2. ნუცუბიძეს არ დაუმტკიცებია, რომ ამ წინააღმდეგობის მიზეზია მცდარი დებულება, ფენომენში ზოგადისა და კერძობობის შეუთავსებლობაზე, რომელსაც თითქოს ემყარება ტრანსცენდენტალური და ფორმალური ლოგიკა. აქედან ცხადია, რომ ნუცუბიძეს არ დაუმტკიცებია ისიც, რომ გადაუწყვეტელი საკითხების გადასაწყვეტად ახალი თეორია უნდა ვეძიოთ. მეცნიერული ინტერესების შეუღლებლად, აქ შეიძლებოდა შეჩერება, მაგრამ სხვა, უკვე არამეცნიერული ინტერესის გამო მივეყვით ნუცუბიძეს და ვნახოთ, რას გვიჩვენებს იგი. როგორც ჩანს, ნუცუბიძეს ფორმალური და ტრანსცენდენტალური ლოგიკის ცალ-ცალკე არსებობა არ მოსწონს. მას ორივე მიაჩნია ცალმხრივად. მისი აზრით, საჭიროა ორივეს შეერთება ალეთოლოგიაში, რომელიც ამ ცალმხრივობის გადამღებელია. დავუშვათ, ავტორის სასარგებლოდ, რომ ტრანსცენდენტალური და ფორმალური ლოგიკა ცალმხრივია (ზემოთ მე შევეცადე მეჩვენებინა, რომ ეს არ არის დამტკიცებული), მერე რა გამოდის აქედან? განა ის გამოვა, რომ ამ ნაკლოვანებების გამოსწორება უნდა მოხდეს მათი შეერთებით? ვაი თუ ეს კოჭლების და ცალმხრივების ალეთოლოგიაში შეერთებით ორთავიანი მონსტრი მივიღეთ, რომელიც თვითონვე მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით. ამიტომ საჭიროა იმის დასაბუთება, რომ ფორმალური და ტრანსცენდენტალური ლოგიკის ნაკლოვანებანი ალეთოლოგიაში გათქვეფით მოისპობიან და რომ ალეთოლოგია ერთადერთი ან ყოველ შემთხვევაში საუკეთესო საშუალებაა ამ ნაკლოვანებათა მოსასპობად. როგორც პირველი, ისე მეორე დამტკიცება ღრმა დავიკრებებს და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. თავის წერილში კი ნუცუბიძეს სერიოზული ცდა არ გაუკეთებია ალეთოლოგიის საჭიროების დასამტკიცებლად. ის უბრალოდ დეკლარაციას აკეთებს და რისთვის, როგორ, რა საბუთის ძალით, ამაზე საკმაო პასუხს ნუცუბიძე თავის წერილში არ იძლევა და ვერც მოგვეცემს. განა ფილოსოფიაში ახალი მიმართულების დასაბუთება ასე ადვილია? მე ვიზიარებ ნუცუბიძის ლოზუნგს: „წინ კანტიდან“, მაგრამ თათოეული ახალი ნაბიჯი უნდა გადადგმულ იქნეს ხანგრძლივი დაკვირვების, არგუმენტების დაწერილებითი ანალიზის შემდეგ. ამის გარეშე ფილოსოფიური პროგრესი შეუძლებელია. მე კუთვითებ მხოლოდ იმ დებულებების დაუმტკიცებლობაზე, რომელთაც ეყრდნობა ნუცუბიძე. მე არ ვამბობ, რომ ნუცუბიძის კონსტრუქციაში (ალეთო-

ლოგიაში) რაიმე შეცდომაა. შეიძლება ის დაბრკოლებები, რომლებიც ნუცუბიძის თხზულებების დაკვირვებულ კითხვის დროს ჩემს წინაშე წამოიჭრა, თვით ავტორის მიერ უკვე დაძლეული იქნა, ან დაძლეული თუ არ არის, შეიძლება ავტორმა იცის მათი დაძლევის ხერხი. ამას მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ აღსანიშნავია: მომავალში ავტორი უნდა მოერიდოს იმ გზას, რომელსაც ჰუსერლი მიყვება. ჰუსერლს ვასახელებ, რადგან ფილოსოფიური განვითარების გზა როგორც ჩანს, ნუცუბიძეს და ჰუსერლს ერთი და იგივე ჰქონიათ. ეს არის გზა ბოლცანოდან გამოსული. ჰუსერლი გადაიჩეხა *ignoratio elenchi*-ს დიდ ხრამში. ბოლცანოს „ჰეშმარიტება თავისთავად“ (რომელზედაც ასე ჩინებულად მოგვითხრობს ნუცუბიძე, თავის ნამდვილად მეცნიერულ გამოკვლევაში, „Больцано и теория науки“) ჰუსერლმა ლოგიკურ ჰეშმარიტებად მიიღო და, ზიგვარტის თქმისა არ იყოს, მისტიციზმის უფსკრულში შეცურდა. უეჭველია ნუცუბიძე იცნობს ზიგვარტის მიერ ჰუსერლის კრიტიკას და თავის მოძღვრების დასაბუთებაში ლოსკის უხეირო გავლენის მიუხედავად მეტ წინდახედულებას გამოიჩენს ვიდრე მისი თანამოაზრე ჰუსერლი. დავგრჩა უკანასკნელი საკითხი. მისაღებია თუ არა ცნების ბუნების ნუცუბიძისეული განმარტება. ჩვენ ვნახეთ რომ ეს განმარტება ემყარებოდა შემდეგ დებულებებს: 1. ფორმალური და ტრანსცენდენტალური ლოგიკა ერთიმეორის საწინააღმდეგოა; 2. ამ წინააღმდეგობის მიზეზია მოვლენის უმართებლო გაგება; 3. ამ წინააღმდეგობის მოსასპობად საჭიროა ალეთოლოგია. არც ერთი ეს დებულება არ ყოფილა დამტკიცებული. აქედან გამომდინარეობს, რომ არც ცნების ბუნების ნუცუბიძისეული განმარტებაა დამტკიცებული.



ქართულმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის პედაგოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ყსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სკკ წევრი 1952 წლიდან რევაზ გრიგოლის ძე ნათაძე.

რ. ნათაძის მეცნიერული მოღვაწეობა გამოირჩეოდა ექსპერიმენტული კვლევის მაღალი კულტურით. მან განსაკუთრებული ღვაწლი დასდო დიმიტრი უზნაძის მიერ შემუშავებული ორიგინალური განწყობის თეორიის ზოგად ფსიქოლოგიური პროფილით შემდგომ განვითარებას. ამ მიმართულებით შესრულებული ნაშრომები, თვით დ. უზნაძის აღიარებით, განწყობის ფსიქოლოგიის ახალ ეტაპს ქმნის.

რ. ნათაძე დაიბადა 1903 წლის 11 ნოემბერს, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის გ. ნათაძის ოჯახში. 1922 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამთავრებს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ფსიქოლოგიის სპეციალობით, რის შემდეგაც ჩაირიცხა უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1928 წლიდან იგი მუშაობდა უნივერსიტეტში ჭერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად. 1940 წლიდან კათედრის პროფესორად, ხოლო 1950 წლიდან იგი აირჩიეს ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის გამგედ, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

1939 წელს რ. ნათაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ზოგად ფსიქოლოგიაში, ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია ფსიქოლოგიაში, რომელიც შესრულდა საქართველოში.

უნივერსიტეტში მუშაობისას პარალელურად სხვადასხვა დრჩის იგი მუშაობდა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

რ. ნათაძე ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილებას.

რ. ნათაძე ერთნაირი წარმატებით ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი მეცნიერის სამეცნიერო კვლევა-ძიებების დიაპაზონი, იგი ნაყოფიერად მუშაობდა ფსიქოლოგიის ისეთ დარგებში, როგორცაა ზოგადი, ბავშვისა და პედაგოგიური, შრომის, შემოქმედების, განწყობის ფსიქოლოგია და ფსიქოლოგიის ისტორია. მას ეკუთვნის მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომლებმაც დიდი

ალიარება ჰპოვეს. მის კალამს ეკუთვნის ორასამდე გამოცვლევა, მათ შორის რამოდენიმე მონოგრაფია. მისი გამოცვლევების ძირითადი მონაცემები გამოქვეყნებულია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, უნგრულ და სხვა ენებზე.

რ. ნათაძის გამოცვლევების შედეგები აისახა მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ქრესტომათიებში. საუკვეთაოდ არის ცნობილი მისი სახელმძღვანელოები ფსიქოლოგიაში — საშუალო სკოლისათვის, უნივერსიტეტის არაფსიქოლოგიური ფაკულტეტისათვის, ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, მისმა „ზოგადმა ფსიქოლოგიამ“ 1956 წელს უნივერსიტეტის პირველი პრემია დაიმსახურა.

უდიდესი წვლილი შეიტანა რ. ნათაძემ საქართველოს ფსიქოლოგთა კადრების მომზადების საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულდა მრავალი სპანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

მრავალი წლის მანძილზე რ. ნათაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, მთელი რიგი საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო ჟურნალების რედაქციების წევრი, ფსიქოლოგთა საკავშირო საზოგადოების საპატიო წევრი; წლების განმავლობაში იყო საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე და აგრეთვე ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ხარისხების მინიჭების სპეციალიზებულ საბჭოს ფსიქოლოგიაში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასა რევან ნათაძის ნაყოფიერი მეცნიერული, მეცნიერულ-ორგანიზაციული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა. იგი დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობის ორდენით და მრავალი მედლით.

შესანიშნავი კომუნისტა მეცნიერის, მგზნებარე პატრიოტის, პრინციპული, თავმდაბალი, უაღრესად გულისხმიერი ადამიანის რევან ნათაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, ახლობლებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მცენიერებათა პალატიის დ. უზნაძის
 სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოხუჭვენიებული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი
(ჟურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია

652/160

ფასი 85 კობ.

ინდექსი 76195

